დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2022 წლის 23 - 29 მაისი

N 22 1434

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

ფაშისტმა კვესიტაძემ „ასავალ-დასავალი“ დახია! 2







სად ერეკლე, სად ლევანი?

ბერძენიშვილო, „ტრაქტატს“ ნუ ათამაშებ! 8



თემურ გვინიანი:

ლევან ბერძენიშვილი გეგა კობახიძესთან ციხეში „ნასედკად“ იჯდა!



„ლადო გუდიაშვილის ცოლი ოთახში ჩაიკეტა, ყველაფერს გადავწვავო, იმუქრებოდა... ჩაფარცხეს მისი საქმე...“ 10

თამაზ წივწივაძე: ეკა, ჩამოხტი სააკაშვილის მუხლებიდან! 4

ლია ქრიალაშვილი:



სააკაშვილი ციხეში უნდა ჩალპეს!

კარგია, ნაძირალა გვარამია სააკაშვილს გვერდით რომ მიუსვეს! 4

კობა არაბული





7

ტელე-მყეფარებისა და „პეტუხების“ დრო უნდა დამთავრდეს!

6



ლაშაბუღაძე უნიტაზის გარეშე ვერ იცნეს!

სტალინი და ჩიბუხი! ჩერჩილი და სიგარა! ლენინი და სათვალე! ბუღაძე და უნიტაზი!

პრეზიდენტო, არ შეიწყალო გვარამია! 14

დავით მარტიაშვილი:





20

აკია ბარბაქაძევ, შე რუსეთის დაზვერვის გამოზრდილო პოლკოვნიკო, ვის რუსეთუმეობაზე ლაპარაკობ?

მახვალა ბერიანიძე:



12

ამ საქმეში ედუარდ შევარდნაძე და შოთა კვირაია ერთად იყვნენ!

ნიკოლოზ მჟავანაძე:





ღარიბაშვილის ნაცვლად პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ან გახარია რომ ყოფილიყვნენ, საქართველოს ომში ჩაითრევდნენ! 19

კიბოს ნაადრევი ნიშნები 26

იგორ კვესელავა:



23

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ შეცდომა არ დაუშვია!



27

ლექსო თორაძე საქართველოში... დაბრუნდა!

ორი გაზეთი ერთ გაზეთში!



გენერალისიმუსი

№3 (127) ★ 2022 წლის 23 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან

გამარჯვებული სტალინი და გაბრიყვებული ბუში

დღეს იყო ბუშინ!

1945 წლის 24 მაისს, გამარჯვების აღსანიშნავ საზეიმო სადილზე, საბჭოეთის ბელადმა მიიღო გადაწყვეტილება ერთი თვის შემდეგ გრანდიოზული აღლუმის ჩატარების შესახებ



წაიკითხეთ უკვე მე-3 ნომერი!

# ფაშისტმა ეკა კვესიტაძემ «ასავალ-დასავალი» დახია!



***2022 წლის 16 მაისს, როცა „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა ნაციონალური მოძრაობისა და მისი ტელეპროპაგანდისტების ფაშისტური ბუნება — ნაცმოძრაობის პარტიული ტელეკანალიზაციისა და სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთმა პროპაგანდისტმა ეკა კვესიტაძემ სასამართლოს ეზოში მოქალაქეს ხელიდან „ასავალ-დასავალის“ იმდღევანდელი ნომერი გამოსტაცა, ნაკუწებად აქცია და ფეხებით გათელა.***

ამ ვანდალიზმის ჩადენისას **ეკა კვესიტაძეს** სახეზე ეწერა **უსაშველო ზიზღი და აგრესია** არამხოლოდ „ასავალ-დასავალის“, არამედ მთელი სამყაროს მიმართ, რომელიც ნაცსექტას საშინლად არ წყალობს და კვანტს უდებს ყოველ ჯერზე, როცა იგი ქართველი ხალხის მიერ მშვიდობიანად წართმეული ძალაუფლების არამშვიდობიანი გზებით დაბრუნებას ცდილობს.

ამდენად, **კოლექტიური კვესიტაძენი მთელ საქართველოზე, მთელ სამყაროზე, მთელ გალაქტიკაზე არიან დაბოღმილი და მთელი ეს ბოღმა იმ დღეს „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ ამოანთხიეს!**

ვინც „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარის დახევისა და ფეხებით გათელვის დროს **ღვარძლისა და ბოროტებისაგან დაღრეჯილი კვესიტაძის სიფათი** ტელეეკრანზე ან პირდაპირ სასამართლოს ეზოში იხილა, შეუძლებელია, მის მიმართ სიბრალულის გრძნობა არ დაუფლებოდა, რადგან **სააკაშვილის ტელეკანალიზაციელის ქმედება** მთელი ნაცსექტის ხელმოცარულობისა და სასოწარკვეთის გამოძახილი იყო!

**ეკა კვესიტაძემ „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარი დახია და გაზეთის ნაკუწებს ფეხებით შედგა, რადგან კარგად აქვს გაცნობიერებული** — „ასავალ-დასავალის“ ბრალია, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში არ არის!

**ეკა კვესიტაძემ „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარი დახია და ფეხებით გასრისა, რადგან „ასავალ-დასავალის“ გამოისობით ნაცბანდას აღარ აქვს საშუალება,** ძარცვოს საქართველო და ქართველი ხალხი, ატეროროს ბიზნესი და სასამართლო, ხოცოს უდანაშაულო ახალგაზრდები, აწამოს და აუპატიუროს პატიმრები, რუსეთს მიჰყიდოს სტრატეგიული ობიექტები და ქვეყნის ომში ჩათრევის ხარჯზე მილიარდები ჩაიჯიბოს!

დიახ, **ეკა კვესიტაძემ „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარი დახია, რადგან „ასავალ-დასავალის“ დიდი წვლილია იმაში,** რომ სააკაშვილის ფავორიტმა ჟურნალისტებმა, მომღერლებმა, მსახიობებმა და ელიტურმა კახპებმა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე გრიალისა და ძვირადღირებული საჩუქრების მიღების საშუალება დაკარგეს!

**ხევდა ეკა კვესიტაძე „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარს და ამას წარმოიდგენდა, როგორც შურისძიების**









**ამიტომაც არის ნაციონალური მოძრაობა ფაშისტური პარტია, რომლის „ჯიბის ფიურერიც“ ახლა კლინიკა „ვივამედშია“ წამოკოტრიალებული და ჰიტლერისაგან განსხვავებით არასოდეს გადაყლაპავს კალიუმის ციანიდს, რადგან თავის ძაღლუმადურ სიცოცხლეზე პანიკურად არის შეყვარებული!**

***მოქალაქე, რომელსაც „მთავარი არხის“ ჟურნალისტმა ეკა კვესიტაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარი ხელიდან გამოგლიჯა, დაუხია და ფეხებით გაუთელა, ნაცრეჟიმის მიერ რეპრესირებული ზუგდიდელი ბიზნესმენი, საქციო საზოგადოება „ზუგდიდვაჭრობის“ თავმჯდომარე თამაზ წულაია გახლავთ, რომელიც ინციდენტის დეტალებს გვიყვება:***

## თამაზ წულაია:

# ეკა კვესიტაძეს ვუთხარი – შე უზრდელო ქალო, მამაკაცი რომ იყო, ამ საქციელისათვის იცემებოდი–მეთქი!

— 16 მაისს, ორშაბათს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩემს საქმეზე მივედი და ეზოში ჩოჩქოლს შევესწარი. როგორც აღმოჩნდა, ნიკა გვარამიასთვის პატიმრობა მიუსჯიათ და პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაუკავებიათ, რის გამოც მისი მხარდამჭერები ხმაურობდნენ. დავინახე, რომ ჟურნალისტ გოგოს, რომელსაც ხელში მიკროფონი ეჭირა და ლაპარაკობდა, ორმა ქალმა კამათი დაუწყო, რაღაცებს უყვიროდნენ და საუბარში ხელს უშლიდნენ. ახლოს მივედი და ქალებს, რომლებიც ჟურნალისტს ეჩხუბებოდნენ, ვუთხარი — **გვარამია უფრო ადრე იყო დასაჭერი, მე ნაცების რეჟიმის მიერ დაჩაგრული კაცი ვარ, როლანდ ახალაიამ ქონება წამართვა და ციხეში უკანონოდ ჩამსვა-მეთქი!**

**— იმ მომენტში არ იცოდით, რომ ეკა კვესიტაძეს ესაუბრებოდით?**

— კვესიტაძეს ტელევიზორში ვხედავ ხოლმე, მაგრამ სასამართლოს ეზოში სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვერ ვიცანი. ხელში გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მეჭირა, გადავუშალე და ვაჩვენე — **აგერ არის დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუ, დეტალურად წერია, ნაციონალებმა რა დამმართეს-მეთქი!** ამის თქმა იყო და,

## კვესიტაძე ხელებში მეცა, „ასავალ-დასავალი“

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ჩვენ, ჩვენი ეროვნული, პრაგმატული, მშვიდობიანი პოლიტიკით უნდა შევძლოთ ჩვენი ძმების — ჩვენი ოსების, ჩვენი აფხაზების დაბრუნება.**

მე ვარ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, **გვარამია იყო კერძო კომპანიის დირექტორი, რომელმაც მოიპარა ფული თუ გააკოტრა კომპანია.** მე და ჩემი ოჯახის წევრებს რომ გვადარებთ, **რატომ სარგებლობს, თურმე, პრემიერ-მინისტრის ოჯახი სახელმწიფო მანქანებით, ამას ეუბნებით ხალხს, ეს არის ტყუილი.** მე კანონით მეკუთვნის სახელმწიფო მანქანები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ჩემი მანქანით გადავაადგილდები.**

„ინტერპრესნიუსი“



**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*

გავმართე შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან,** ნატოს ახლო პარტნიორთან. **ნატო სრულად უჭერს მხარს** ყველა ერის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და საკუთარი გზის არჩევის უფლებას, მათ შორის, **საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*

გვარამია განსაკუთრებით პრეზიდენტის მიმართ გამოირჩეოდა ბილწსიტყვაობით — **თუ ზურაბიშვილი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რასაც შეწყალება ჰქვია,** გამოდის, რომ ის არ იცავს პრეზიდენტის ინსტიტუტს. **საელჩოების განცხადებებმაც 2017-19 წელს გვარამიას საშუალება მისცა, განეგრძო „რუსთავი-2“-ის ძარცვა,** სამწუხაროდ, დღესაც ვხედავთ იმავეს, რაც არის ძალიან მძიმე და სამწუხარო მოვლენა.

„ინტერპრესნიუსი“



**პეტრე მამრაძე**
*ექსპერტი*

გვარამია **იყო ერთ-ერთი საფრთხობელა,** რომელიც საზოგადოებას მუდმივად ახსენებდა, რომ **„ჩვენ არსად არ წავსულვართ და ხელისუფლებაში როცა დავბრუნდებით, ვაი თქვენი ბრალიო“.** გვახსოვს მისი ავტორობით შექმნილი ფილმი **„ნოემბრიდან — ნოემბრამდე“,** ეს იყო მისი ხელწერა; ამიტომაც რეალური მხარდამჭერები არ ჰყავს, მათ შორის, არც ნაცმოძრაობაში.

„რეზონანსი“

# ბიძინა ივანიშვილი, რომელიც „ასავალ-დასავალს“ კითხულობს და არ ხევს, „ასავალ-დასავალისა“ და ქართველი ხალხის ხმას ბოლომდე რომ მიჰყოლოდა, ფაშისტური ნაცხროვის ხელისუფლებაში დაბრუნების საფრთხე დიდი ხნის წინათ იქნებოდა აღმოფხვრილი!

## კითხულობს და არ ხევს!



**აქტს ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის მიმართ, რომელმაც ნაცხროვა პოლიტიკურ მოუსავლეთში გაისტუმრა!**

— **აი, აი, ასე დამთავრდება თქვენი დღე!** — გაჰკიოდა „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარზე ფეხებით შემდგარი კვესიტაძე და ამით საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომელიც ნაცბანდის ხელისუფლება-ში დაბრუნების წინააღმდეგია, ეუბნებოდა — **ასე გაგთელავთ, ასე გაგსრესთ, ასე გაგანადგურებთ, როცა კვლავ ძალაუფლებას ჩავიგდებთ ხელში!**

ვინ იცის, **როცა „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარს ანაკუწებდა და ფეხქვეშ თელავდა, კვესიტაძე თავის წარმოსახვაში ბიძინა ივანიშვილსაც უსწორდებოდა, როგორც ნაცბანდის უბედურების მთავარ მიზეზსა და „ასავალ-დასავალისადმი“ სიმპათიაში ბრალდებულს.** აკი, ნაცსექტის წარმომადგენლებს დღემდე პირზე აკერიათ — **„ასავალ-დასავალი“ ბიძინას საყვარელი გაზეთია, ბიძინა „ასავალ-დასავალს“ კითხულობსო** და ამას ისეთი ტონით ამბობენ, თითქოს ივანიშვილს რაღაც კომპრომატი გამოუჩხრიკეს!

„ასავალ-დასავალს“ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ათიათასობით ადამიანი კითხულობს და ყველა ეს მკითხველი **კოლექტიურ კვესიტაძეს** ზუსტად ისე ეჯავრება, როგორც ბიძინა ივანიშვილი!

**კოლექტიურ კვესიტაძეს რომ შეეძლოს, „ასავალ-დასავალის“ მრავალრიცხოვან მკითხველს თავის ბიძინა ივანიშვილიანად ჯოჯოხეთს მოუწყობდა და კოცონზე დახრუკავდა, პირადად ეკა კვესიტაძე კი იმ კოცონს ფიჩხს შეუკეთებდა, როგორც ჩეხური რეფორმაციის ლიდერისა და ეროვნული გმირის იან ჰუსის ინკვიზიციის კოცონზე დაწვისას ქნა ერთმა დედაკაცმა.**

სწორედ ამიტომ არიან **კვესიტაძე და მთელი ნაცბანდა** მენტალური ინკვიზიტორები და პირწავარდნილი ფაშისტები, რომლებიც დღემდე ნანობენ, რომ 2007 წელს „ასავალ-დასავალს“ მხოლოდ დარბევა და გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან გამოძევება აკმარეს!

**– შეცდომა დავუშვით, რომ „ასავალ-დასავალი“ მაშინ ბოლომდე არ მოვაშთეთ და მოვგუდეთ! გამომცემლობა „სამშობლოს“ ფანჯრებიდან მხოლოდ წიგნები კი არ უნდა გადაგვეყარა, „ასავალ-დასავალის“ მთელი კოლექტივიც ზედ უნდა მიგვეყოლებინა! – სწორედ ეს იკითხებოდა ეკა კვესიტაძის გამომეტყველებაში, როცა იგი „ასავალ-დასავალის“ ეგზემპლარს ხევდა და ფეხებით თელავდა.**

ამიტომაც არის ეკა კვესიტაძე ლიბერალიზმის მანტიაში გახვეული ფაშისტი!

ამიტომაც არის ნაციონალური მოძრაობა **ფაშისტური პარტია,** რომლის „ჯიბის ფიურერიც“ ახლა კლინიკა „ვივამედშია“ წამოკოტრიალებული და ჰიტლერისაგან განსხვავებით არასოდეს გადაყლაპავს კალიუმის ციანიდს, რადგან თავის ძაღლუმადურ სიცოცხლეზე პანიკურად არის შეყვარებული.

**ეკა კვესიტაძეს, რომელიც „ასავალ-დასავალს“ კითხულობს და ხევს, კიდევ დიდხანს მოუწევს თავისივე ბოღმისა და ღვარძლის ქვაბში თუხთუხი, რადგან „ასავალ-დასავალი“ ძველებურად ყველა ღონეს იხმარს, რომ ფაშისტური ნაცხროვა ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდეს!**

ისე, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც „ასავალ-დასავალს“ კითხულობს და არ ხევს, „ასავალ-დასავალისა“ და ქართველი ხალხის ხმას ბოლომდე რომ მიჰყოლოდა, ფაშისტური ნაცხროვის ხელისუფლებაში დაბრუნების საფრთხე დიდი ხნის წინათ იქნებოდა აღმოფხვრილი!

მაშინ დაისვენებდა საქართველოც, ბიძინა ივანიშვილიც და „ასავალ-დასავალიც“, რადგან ნაცფაშისტური ხროვის სახით სამივეს ერთი მტერი ჰყავს!

***ჯაბა ხუბუა***

*თემის გაგრძელება მე-4-5 გვერდებზე*



## გამომგლიჯა, დახია, ძირს დაყარა და ფეხებით შედგა, თან მიყვიროდა – მოგზავნილი ხარო!

უპასუხოდ მეც არ დამიტოვებია — **რას აკეთებ, შე უზრდელო ქალო, გაზეთს, რომელიც შევიძინე და ჩემი საკუთრებაა, რა უფლებით მიხევ, მამაკაცი რომ იყო, ამ საქციელისათვის იცემებოდი-მეთქი!**

**— კვესიტაძის გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ ცხვირწინ „ასავალ-დასავალი“ გადაუშალეთ?**

— დიახ, კვესიტაძე გაჰკიოდა — **ეს პროპაგანდისტული გაზეთია, ყველანი პუტინისტები ხართო!** რა თქმა უნდა, უკან არ დავიხიე და სულ მთლად გადავიყვანე ჭკუიდან — **ვენაცვალე ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც პოლიტიკურ სანაგვეზე გადაგაგდოთ და თქვენისთანა ნაძირალები მოგვაშორა-მეთქი!**

**— საბოლოოდ როგორ დამთავრდა თქვენი და კვესიტაძის შელაპარაკება?**

— კვესიტაძემ ვიღაც ქალს, რომელიც გვერდით ედგა, უთხრა — **წავიდეთ, აქ არაფერი გვესაქმებაო** და იქაურობას გაეცალნენ. მერე რამდენიმე მოქალაქე მოვიდა და შემაქო — ყოჩაღ, რომ სიმართლე პირში მიახალეო!

**იმ დღეს კვესიტაძის საქციელის შემხედვარე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნაცების ხელისუფლებაში მობრუნება ნამდვილი ჯოჯოხეთი იქნება,**

რადგან ყველას, ვინც მათკენ არ არის, დაგვერევიან და რაც იმ 9 წლის განმავლობაში დაგვაკლეს, ბოლომდე აგვისრულებენ — დაჭერასაც აღარ გვაკმარებენ, პირდაპირ დახვრეტენ ხალხს!

**— სხვათაშორის, „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული თქვენი ინტერვიუს კვალდაკვალ დაგვიკავშირდა ყოფილი ნოტარიუსი მადონა სახოკია, რომელსაც ყალბი ოქმის დამოწმებაში ადანაშაულებდით. მან თქვენი ყველა ბრალდება კატეგორიულად უარყო, განაცხადა, რომ მოიტყუეთ და აპირებს, სასამართლოში გიჩივლოთ!**

— ჩემს ყველა სიტყვაზე, რომელიც წინა ინტერვიუში ვთქვი, თავიდან ბოლომდე ვაგებ პასუხს და ყველაფრის დამადასტურებელი საბუთები გამაჩნია! **ძალიან კარგი იქნება, თუ მადონა სახოკია სასამართლოში მიჩივლებს, ხელ-ფეხი გამეხსნება და ბოლომდე ვიტყვი ყველაფერს, რაც ინტერვიუში არ მითქვამს.** მართალი კაცი ვარ, უსამართლოდ დავიჩაგრე და არაფრის მეშინია, ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცო და კანონიერი გზით დავიბრუნო ის, რაც ნაცების რეჟიმმა და **როლანდ ახალაიამ** უკანონოდ წამართვეს!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



**სააკაშვილის რეჟიმის ვანდალები გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან წიგნებს ყრიან. 2007 წლის 10 აგვისტო**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**სამართალს, კანონს თუ არ დავიცავთ,** აღმოჩნდება, რომ პოლიტიკოსობა, „სელებრითობა“ არ იქნება დასჯადი, **გლეხი კაცის საქმიანობა დასჯადია?** ასეთი დიფერენცირება არ ჯდება ევროკავშირის ინტერესებში.

რაც არ უნდა **„ფეიკითა“ და იდეოლოგიით** კვებო მოსახლეობა, ხალხი მაინც ხედავს, რომ **ამ ქვეყანაში, მიუხედავად ყველაფრისა, მზე მაინც ამოდის.**

„ახალი თაობა“

**გიგლა ბარამიძე**
*პოლიტიკოსი, ადმინისტრატორი*



ვგულისხმობდი და ვიაზრებდი რა **სააკაშვილისა და მისი პარტიული ამქრის წუნკალ ბუნებას,** მათთან მიმართებაში **„ასავალ-დასავალის“ მეშვეობით** დავამკვიდრე ტერმინ-ეპითეტები: **სააკაშვილი — მრავალჯერადი გამოყენების საერთაშორისო მაწანწალა; ნაციონალური მოძრაობა — ნაცსექტა, ნაცბანდა, ნაცპარაზიტები, მაოხრებელი მკვდრები...** ახლა კი დადგა დრო, **ნაცსექტის პარტიულ ტელევიზია-პრესსამსახურებს** დავარქვათ სახელი — **ტყუილთუხუცესები!**

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი-2“-ის დირექტორის პოსტზე **ნიკა გვარამიას** ყოველთვიური ხელფასი **100 000 ლარს** შეადგენდა, მან 2019 წლის თებერვალში მეუღლესთან ერთად პორშეს ცენტრიდან თავისი ოჯახისთვის გამოიყვანა **232 000 ლარად** ღირებული ბოლო მოდელის ავტომობილი „Porsce Macan S“, რაშიც პირადი თანხიდან **არცერთი თეთრი** არ გადაუხდია. **გვარამია** მანქანის საფასურს იხდიდა „რუსთავი-2“-დან.

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



უნდათ, საზოგადოებას მიჰყიდონ ნარატივი, რომ **გვარამია** მხოლოდ სამსახურებრივი მანქანის არამიზნობრივად გამოყენებისთვის დაიჭირეს. არადა, კრინტს არ ძრავენ **გვარამიას** მიერ „რუსთავი-2“-სთვის **7 მილიონამდე ზიანის მიყენების** ფაქტზე.

„იმედინიუსი“

# ლიტერატურული საქართველო



## თამაზ წივწივაძე

# ეკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, სააკაშვილის მუხლებიდან!

როგორ მინდა, ეს, ერთი შეხედვით, თითქოს უწმაწური სათაური მკითხველის ყურს მეტისმეტად არ ეხამუშოს!

არადა, **არა ვარ მე ის ლიტერატორი, ჩემს ნაწერებში უხერხული გამოთქმები შემთხვევით გამეპაროს!**

**ასე იყო საჭირო და დავწერე კიდეც!**

თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ ეს სათაური ცნობილი ნოვატორი პედაგოგის **შალვა ამონაშვილის** ახალი სწავლების მეთოდზეა აგებული!

ბატონი შალვა კი, თუ გახსოვთ, დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ასე მოკლე-მოკლე განკარგულებებით მიმართავდა:

***„დახარეთ თავები და დახუჭეთ თვალები!“***

***„ასწიეთ თავები და... პასუხი ყურში მიჩურჩულეთ!“***

***„მარიკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, მუხლებიდან!“***

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, რაც ნოვატორ პედაგოგს უწმაწურობაში არ ეთვლება, რაღა ჩემს ნაწერებში უნდა მიიჩნიოთ იგი ქვეყნის დაქცევად!

ამიტომ ახლა თქვენც ასწიეთ თავები მაღლა და მე კიდევ ერთხელ მივმართავ **ჟურნალისტ კვესიტაძეს!**

**„ეკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, სააკაშვილის მუხლებიდან!..**

ბატონებო! მე ეს გოგონა, **ეკა კვესიტაძე,** ათასჯერ მაინც ვამხილე ამ ბიჭთან, მიხეილ სააკაშვილთან ცუღლუტურ **(უფრო ზუსტად, ჟურნალისტურ)** გარიგებაში!

**ის ათობით წერილი, რაც მწერალთა კავშირსა და მის ამჟამინდელ თავმჯდომარეს დაატყდა თავს, მიშა ბიჭის შეკვეთილი და ეკა გოგოს შესრულებულია!**

ერთი სიტყვით, ახლაც დაახლოებით ისეა, როგორც კარგა ხნის წინათ **შალვა ამონაშვილის** შემთხვევაში ვწერდი:

***„აი, ნახეთ, ჩვენ რომ თავები გვქონდა დახრილი და თვალები დახუჭული, პატარა მარიკას დრო უშოვია და შალვა მასწავლებელს კალთაში ჩასჯდომია!***

***როცა ეს შალვა მასწავლებელმა შეამჩნია, უკვე გვიანი იყო: ბავშვს საგანგებო თხოვნა დასჭირდა — „მარიკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, მუხლებიდან!“..“***

პატარა მარიკაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, **ეკა კვესიტაძეს** ისე გაუტკბა ამ მდგომარეობაში ყოფნა — ცუღლუტურ ჟურნალისტურ გარიგებას ვგულისხმობ — **კიდევ კარგა ხანს არ მოისურვებს სააკაშვილის მუხლებიდან ჩამოხტომას!**

არადა, აქ ის შემთხვევა არაა, როგორც ეს ჩვენ გვახსოვს ხალხურ მოტივზე დაწერილი **გალაკტიონის** ერთი ლექსიდან!

**გულო, ოცნებას მალავ!**
**ცაო, ლურჯდება ზოლი!**
**ვაჟი: — დაიცა, ქალავ!**
**ქალი: — დაგიბრმა თოლი!**
**შორით ბრუნდება წყალი,**
**ნისლი იცრება მთაში.**
**— არა! —**
**ჩურჩულებს ქალი.**
**— კარგი! —**
**ამშვიდებს ვაჟი.**

როგორც ვხედავთ, გალაკტიონთან, ქალი არ თანაუგრძნობს ვაჟს!

ამათი, ეკასა და მიშას მდგომარეობა, გაცილებით უპრობლემოა — ჩვენი გენიალური პოეტის ენაზე ეს შემთხვევა შეიძლება, ასედაც ჩამოყალიბებულიყო:

— **მიდი!** — აქეზებს ვაჟი!

— **კარგი!** — თანხმდება ქალი!

**ამ წაქეზებაში და „მიდი-მიდიში“ კი ბატონმა სააკაშვილმა ყველაფერში მორჩილ ამ გოგონას უკვე 27 წერილი მაინც დააწერინა მწერალთა კავშირისა და მისი ამჟამინდელი თავმჯდომარის წინააღმდეგ!**

და, საერთოდაც, ამ ცრურეფორმატორთა გუნდს სპეციალური სამსახურები აქვთ შექმნილი **უფულო და უპატრონო ჟურნალისტი გოგო-ბიჭების გადმოსაბირებლად!**

ჯერ იყო და, ეს ლამაზი ჭილყვავების გუნდი **ვაჟა ლორთქიფანიძეს** მიუსიეს, აქაოდა, პრეზიდენტის სავარძლისკენ თვალი არ გაგექცეს — ის ჩვენ გვინდაო!

ახლაა და, ეს ლამაზი ჭილყვავების გუნდი **ნიკო ლეკიშვილს** მიუსიეს, არც ამას გაექცეს თვალი პრეზიდენტის სავარძლისკენ — ის ხომ ჩვენ გვინდაო!

ჩემგან რა უნდათ, ეს არ ვიცი, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ ჩემ წინააღმდეგ მიმართული დემაგოგიის საწარმოებლად დრო ყოველთვის აქვთ!

**მლანძღავენ და მლანძღავენ!**

**მთათხავენ და მთათხავენ!**

მლანძღავენ: იზები და აზები!

მთათხავენ: ვახუშტები და უიხუშტურები!..

ახლა თავიანთი პარტიის თავმჯდომარესა და თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტსაც კი მოადგნენ — მართლაც კონსტიტუციური ვადით, კიდევ ხუთ წელიწადს ხომ არ აპირებთ პრეზიდენტად ყოფნასო!

ნეტავი შენო!..

და, აი, ნახეთ? ედუარდ შევარდნაძე საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტმა (ცოტა მეტმა ან ცოტა ნაკლებმა) აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად და ეს პატარა გოგონა, **ეკა კვესიტაძე** კი დაახლოებით ერთი თვის შემდეგ — **17 მაისის გაზეთ „7 დღის“** ნომერში ასკვნის:

***„შევარდნაძემ შესაძლოა, უკვე ამოწურა ის ნდობა, რომელიც მას მოსახლეობამ კიდევ ერთხელ ავანსად მისცა“-ო!***

კი მაგრამ, ეკა, თუ ამასაც სააკაშვილი არ გეჩურჩულება ყურში — არჩევიდან ერთ თვეში როგორ ამოწურავდა ხალხის ნდობას?

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც მე ვწერდი — **თუ პრეზიდენტი მეტ სიმკაცრეს არ გამოიჩენს, იმ მგელი ტოტიას ბედი არ ასცდება, მისივე გამოზრდილმა ლეკვებმა რომ შეჭამეს!..**

ამ მცირე საუბარს კი იმით დავამთავრებ, რითიც დავიწყე!

**„ეკა, ჩამოხტი, თუ შეიძლება, სააკაშვილის მუხლებიდან!..“**

*2000 წელი*



# ამ ცრურეფორმატორთა გუნდს სპეციალური სამსახურები აქვთ შექმნილი უფულო და უპატრონო ჟურნალისტი გოგო-ბიჭების გადმოსაბირებლად!

თემის დასაწყისი მე-2 გვერდზე

*13 წლის წინათ, 2009 წლის 20 მაისს, სააკაშვილის ბრძანება აღსრულდა — ადგილზე დახვრიტეს პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი! ორი წლით ადრე, 2007 წლის იმავე 20 მაისს ვერაგულად მოკლული გურამ შარაძის შემდეგ ეს სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი იყო! დღეს მიხეილ სააკაშვილი გალიაშია გამომწყვდეული, ოღონდ სასჯელს შარაძის ან კრიალაშვილის მკვლელობის გამო როდი იხდის, მეტიც, მკურნალობის კურსს კერძო კლინიკაში გადის და საზღვარგარეთ გაძრომას ლამობს. როგორც ე.წ. მუხროვანის ამბოხის დროს მოკლული გია კრიალაშვილის და ლია კრიალაშვილი ამბობს, არავითარი დანდობა სააკაშვილს — ძმების, მამებისა და შვილების მკვლელი ციხეში უნდა ჩალპეს:*



## ლია კრიალაშვილი:

# ლაშა ნადარეიშვილის გაზეთს რომ დახევ, უკვე მკვდარი ხარ!

**„ხელისუფლების სამართლიან რისხვას რომც გადაურჩნენ, ნაცსექტის სახსენებელს ისევე აკუწავს საზოგადოება, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ კვესიტაძემ კამერების წინ „ასავალ-დასავალი“ დახია!“**

— მადლობა **„ასავალ-დასავალს“,** რომ გახსოვთ სააკაშვილის ბრძანებით მოკლული გია კრიალაშვილი! **გაზაფხული გამიუფერულა ნაძირალა სააკაშვილმა, მაისის მოსვლა აღარ მიხარია, თვალწინ მიდგას, როგორ ჩაცხრილეს ჩემი უდანაშაულო ძმა ისე, რომ სიტყვის თქმის საშუალებაც არ მისცეს.** არ ამოდის თვალიდან 20 მაისს მელიქიშვილის გამზირზე მოკლული გურამ შარაძეც, რომელსაც მხოლოდ იმიტომ დაახალეს შუბლში ტყვია, რომ სამშობლო უყვარდა და ქვეყნის ღირსებას იცავდა!!!

როდესაც უტიფარი ნაციონალების გამოსვლებს ვისმენ — მესამე პრეზიდენტი ციხეში კვდება და უნდა ვუშველოთო — კიდევ უფრო მიმძაფრდება ემოციები, სიბრაზისგან ლამის გავგიჟდე. სააკაშვილს **გია კრიალაშვილისა და გურამ შარაძის** მკვლელობის გამო მისჯილიც არა აქვს, მათ კი ჰყოფნით თავხედობა, რომ მის უდანაშაულობაზე ისაუბრონ. განსაკუთრებით ვმწარდები **გიული ალასანიაზე.** მისი შემხედვარე აღარ მიკვირს, რატომ არის სააკაშვილი ასეთი ნაძირალა.



# „განსაკუთრებით ვმწარდები გიული ალასანიაზე. მისი შემხედვარე აღარ მიკვირს, რატომ არის სააკაშვილი ასეთი ნაძირალა!“

**ლაშა ნადარეიშვილი**

**ქვესკნელიდან**
**მონაბერი**
**გადალეწავს**
**ქარი ალვას...**
**ნუ გეშინინ, მოწამეო:**
**ბნელი წარვალს!**
**ბნელი წარვალს!**

**იქნებ ქარი**
**გოლგოთაზე**
**უკვდავების**
**მიმტანია...**
**აპატიე,**
**აპატიე**
**შენი სულის**
**ლიტანია;**

**და თუ ქარმა,**
**და თუ ქარმა,**
**და თუ ქარმა**
**დაგაშინა...**
**რა გინდოდა**
**ასე მაღლა?!**
**ვინ გელოდა**
**ცათა შინა?!**

# 20 მაისი სააკაშვილის რეჟიმის მიერ გურამ შარაძისა და გია კრიალაშვილის დახვრეტის დღეა!







„ეყოს ხელისუფლებას, დასავლელი პარტნიორების გამო რა დათმობაზეც წავიდა. მისი დამსახურებაა, დღეს დამნაშავეების მთელი ბატალიონი რომ ყელყელაობს!“

**— გიული ალასანია თავის შვილს იცავს!**

— მისი შვილი არის უნამუსო, მოღალატე, მკვლელი და ქვეყნის გამყიდველი! თურმე, ვერ ხვდება, რატომ ზის ციხეში, ვერ ეგუება მის საკანში ყოფნას. **კარგად მომისმინოს** — „ასავალ-დასავალის“ საშუალებით ვეტყვი, რატომ არ უნდა იხილოს მისმა ნაგავმა შვილმა დღის სინათლე — **მიხეილ სააკაშვილმა ჩემი ძმა და არაერთი უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის, ახალგაზრდები მიწაში დასალპობად გაიმეტა. ისე აცხადებდა, ნულოვანი ტოლერანტობა და ყველანი ციხეშიო, წარბიც არ უტოკდებოდა. მისი დამსახურებაა, საქართველომ ტერიტორიების 20 პროცენტი რომ დაკარგა. ასე რომ, სააკაშვილისთვის 6 წელი ბაირამობაა!**

არავითარი კერძო კლინიკა და თავზე ხელის გადასმა, რაც შეიძლება დროულად უნდა გადაათრიონ საავადმყოფოდან ციხეში, იქ უნდა ჩალპეს! **ისე გამწარებულმა უნდა იაროს გიული ალასანიამ ამ ქვეყანაზე, როგორც დედაჩემი დადიოდა შვილის სიკვდილის შემდეგ.**

ამასწინათ **სოფო ნიჟარაძეც** აჰყვა მეორე ხმაში, თურმე, ძნელია მისთვის მკვლელი სააკაშვილის ამ მდგომარეობაში ნახვა. **სოფო ნიჟარაძევ, შენც გაიგონე, რასაც ვამბობ — მადლობა თქვი, რომ ტვინით ავადმყოფი სააკაშვილი ციხეში გდია. მან 20 მაისს ორი წლის შუალედით ორი დიდებული ქართველი გაისტუმრა იმქვეყნად.** შენ ციხეში არ გსურს მისი ნახვა, მე მკითხე, როგორი ძნელია ძმის საფლავზე მისვლა?! **ნუ მიმიყვან იმ ზომამდე, იგივე გისურვო, რასაც განვიცდი.** ჩაიგდე ენა მუცელში და ნაკლები ილაყბე ნაძირალა სააკაშვილზე, თავს რომ ისაწყლებს და იგიჟიანებს.

**— არ გჯერათ მისი ავადმყოფობის?**

— სააკაშვილი სიმულანტობს! პროფესიონალი მატყუარა და მსახიობია! წესით, ამ სიმულანტობისთვის ცალკე სასჯელი უნდა დაადონ და ზედ მიაყოლონ ყველა ის ადამიანი, ვისაც საზოგადოება სიცრუეში შეჰყავს, ტელეეკრანებიდან გაიძახის — ხელისუფლება მესამე პრეზიდენტს კლავსო.

სააკაშვილი ვერავის შეაცოდებს თავს ამ აფერით. ყველა ხედავს, რომ თავს იკატუნებს. დედაჩემმა შვილი რომ დაკრძალა, 8 წელი მაინც ელოდებოდა გიას სახლში მისვლას. მინდა, ასევე ელოდებოდეს გიული ალასანია თავისი შვილის ნახვას! **თუმცა, არა მგონია, ამ უტიფარ დედაკაცს დიდად ადარდებდეს შვილი. წინაამდეგ შემთხვევაში, ნაირ-ნაირი, ძვირადღირებული ბრენდებით არ იპოზიორებდა ციხესა თუ ტელევიზიებში.**

სააკაშვილის ძმამაც რომ გამოყო თავი — ბოლომდე ვიბრძოლებ მიშას სიცოცხლისთვისო? მისი მკვლელი ძმა სიცოცხლეს იმსახურებს და ჩემი ძმა მიწაში უნდა ლპებოდეს? **რითია ჩემს ძმაზე უკეთესი?** ყველაფერთან ერთად სააკაშვილი კურდღელი და ლაჩარიცაა. იმის ვაჟკაცობაც არ ჰყოფნის, ღირსეულად მოიხადოს სასჯელი. ციხიდან თავის დახსნას სიმულანტობით ცდილობს. ბოლოს და ბოლოს, ვინ გდია ან რატომ უნდა ჰქონდეს პრივილეგიები?! მისი მმართველობის დროს ვინ ზრუნავდა ასე პატიმრებზე?! **ციხეში გვამზე აკრავდნენ ადამიანებს და ყველაზე სასტიკი ფორმებით აწამებდნენ. მასზე მძიმე დანაშაული არცერთ პატიმარს არა აქვს ჩადენილი. სააკაშვილს და მის უტიფარ დამცველებს თუ დაავიწყდათ, ჩვენ გვახსოვს ქუჩაში ჩახოცილი ძმები, შვილები, მამები და ვიდრე ჩუმად ვართ, დროულად გადაათრიონ ციხეში!**

**— ამას ხელისუფლების მი**

„იმედი მაქვს, ირაკლი ღარიბაშვილის შემდგომი ნაბიჯი გია კრიალაშვილისა და გურამ შარაძის საქმეების გახსნა იქნება. პირადად მე მზად ვარ, სააკაშვილის სასამართლო პროცესზე მივიდე. მეტიც, მოვითხოვ, სასწრაფოდ გამომიძახონ დასაკითხად!“



„გია ბარამიძე რომ იმუქრება, პირობას გაძლევთ, ხელისუფლებას 24 საათში გადავატრიალებთო, სად არის შესაბამისი ორგანოები, რატომ არ იღებენ მიწიდან ამ უტიფარ მკვლელს?!“

**სამართით ამბობთ?**

— **ეყოს ხელისუფლებას, დასავლელი პარტნიორების გამო რა დათმობაზეც წავიდა. მისი დამსახურებაა, დღეს დამნაშავეების მთელი ბატალიონი რომ ყელყელაობს.**

ამერიკასა და ევროპას გული რომ შესტკიოდეს საქართველოზე, ხელისუფლებას აქამდე 9-ჯერ მოსთხოვდა პასუხს დამნაშავეების დაუსჯელობის გამო, მაგრამ სწორედ მათგან აქვთ მიღებული დირექტივა, სამართალი არ აღდგეს, ჩემი ძმისა და ბევრი სხვა საქმე თაროზე იყოს შემოდებული!

ერთადერთი ნათელი წერტილი პრემიერია, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული ადამიანები იმედის თვალით ვუყურებთ. ამ ხელისუფლების მხარდამჭერი არ ვარ, მეტიც, ძალიან გულნატკენი ვარ იმის გამო, რომ დღემდე ჩემი ძმის საქმეზე ძვრა არ არის, მაგრამ მე მხარს ვუჭერ ირაკლი ღარიბაშვილს, იცით, რატომ?

**— რატომ?**

— **ირაკლი ღარიბაშვილმა არჩევანი გააკეთა ქართველ ხალხსა და მუდმივად შეშფოთებულ დასავლეთს შორის, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მოწყობილ გენოციდს დღემდე ამართლებს.** მადლობა უფალს, ეს არჩევანი ქართველი ხალხის სასარგებლოდ არის გაკეთებული. **ირაკლი ღარიბაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მის გვერდით ვართ და არ დავაღალატებთ. უკან არ დაიხიოს!**

იმედი მაქვს, ირაკლი ღარიბაშვილის შემდგომი ნაბიჯი გია კრიალაშვილისა და გურამ შარაძის საქმეების გახსნა იქნება. პირადად მე მზად ვარ, სააკაშვილის სასამართლო პროცესზე მივიდე. მეტიც, მოვითხოვ, სასწრაფოდ გამომიძახონ დასაკითხად. დიდი სიამოვნებით მივცემ ჩვენებას და ვიტყვი იმ სიმართლეს, რომელსაც ბევრი უფრთხის.

**სამშობლოს ღალატისა და სახელმწიფოს გადატრიალების ბრალდებით რომ დააკალეს ჩემს ძმას ტყვია, მაინტერესებს, ამ წლების განმავლობაში რამდენჯერ ჰქონდათ ნაციონალებს სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობა?** დღესაც არ ისვენებენ, ომში ჩათრევით სურთ, ქვეყანაში სიტუაცია არიონ.

## ნუთუ არ შეუძლია ხელისუფლებას, ღალატის მუხლი აღადგინოს და სწორედ ამ ბრალდებით გაასამართლონ ეს მოღალატეები?!

გია ბარამიძე რომ იმუქრება, პირობას გაძლევთ, ხელისუფლებას 24 საათში გადავატრიალებთო, სად არის შესაბამისი ორგანოები, რატომ არ იღებენ მიწიდან ამ უტიფარ მკვლელს?! ამ ნაგვის სიკვდილი არავის უნდა, მაგრამ მან და მისნაირმა ნაძირალებმა პასუხი ხომ უნდა აგონ ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებისთვის?!

კარგია, ცინიკოსი და ნაძირალა გვარამია რომ მიუსვეს სააკაშვილს გვერდით. მეტსაც იმსახურებს. 3-4 წელი ცოტაა მისნაირი შხამიანი გველისთვის, რომელიც წლების განმავლობაში უწამლავდა საზოგადოებას გონებას. **ეკა კვესიტაძეს** კი ჰგონია, ქათამი გვარამიას დაპატიმრებით ქვეყანა ჩამოიქცა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ხელისუფლების სამართლიან რისხვას რომც გადაურჩნენ, ნაცსექტის სახსენებელს ისევე აკუწავს საზოგადოება, როგორც ამ რამდენიმე დღის წინათ კვესიტაძემ კამერების წინ „ასავალ-დასავალი“ დახია.

ამ იაფფასიანი ტრიუკით საბოლოოდ გაიფარჩაკეთ თავი — **ლაშა ნადარეიშვილის გაზეთს რომ დახევ, უკვე მკვდარი ხარ!** დიახ,

## ლაშა ნადარეიშვილთან შებრძოლება ერთხელ უკვე სცადა თქვენმა ბელადმა და რაც მიიღო, ყველამ კარგად დავინახეთ! ვიდრე „ასავალ-დასავალის“ საშუალებით მართალი სიტყვა ჯერ კიდევ ცოცხლობს, ტყუილად ზეიმობთ გამარჯვებას!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



„კარგია, ცინიკოსი და ნაძირალა გვარამია რომ მიუსვეს სააკაშვილს გვერდით. მეტსაც იმსახურებს. 3-4 წელი ცოტაა მისნაირი შხამიანი გველისთვის!“

„ძმების, მამებისა და შვილების მკვლელი ციხეში უნდა ჩალპეს!“



„სოფო ნიჟარაძევ, შენც გაიგონე, რასაც ვამბობ – მადლობა თქვი, რომ ტვინით ავადმყოფი სააკაშვილი ციხეში გდია. მან 20 მაისს ორი წლის შუალედით ორი დიდებული ქართველი გაისტუმრა იმქვეყნად!“

# ლაშა ბულაძე უნიტაზის გარეშე ვერ იცნეს!

***ამა წლის 16 მაისს, როცა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ ტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გამწარებულმა ნაცჟურნალისტებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა სასამართლოს ეზოში ერთგვარი პერფორმანსი თუ ფლეშმობი მოაწყვეს.***

კერძოდ, **ნაცტელეკანალიზაცია „მთავარი არხის“** ერთ-ერთი სახე **ეკა კვესიტაძე,** იმავე არხის გადაცემა **„ლიტერატურული სამკუთხედის“** თანაწამყვანი, **ცნობილი „ტუალეტის მჯღაბნელი“ ლაშა ბულაძე,** ტელეარხ „კავკასიის“ დირექტორი **ნინო ჯანგირაშვილი** და ქართველი ულტრალიბერალების დივა **ნინია კაკაბაძე** ჯიქურ მიეჭრნენ „იმედის“ კორესპონდენტ **მარიამ ქართველიშვილს,** რომელიც სასამართლოს ეზოდან საკუთარი ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ერთვებოდა. გვარამიას დაპატიმრების გამო ნამეტნავად გაღიზიანებულმა თუ აღგზნებულმა ნაცლიბერასტულმა ოთხეულმა „იმედის“ ჟურნალისტს საუბრის საშუალება არ მისცა და პირდაპირ ეთერში ტრადიციული ლოზუნგების კანონადა დასცხო: **„„ივანიშვილს ქვეყანა რუსეთის უკანალისკენ მიჰყავს!“; „ქოცების პუტინისტური რეჟიმი დამოუკიდებელ მედიას ებრძვის!“; „თავისუფლებას გვართმევენ!“** და ა.შ.

იმ დღეს გვარამიას დაპატიმრება და მისი ამფსონების მიერ „იმედის“ პირდაპირ ეთერში ჩატარებული „კარატე“ მთავარი სასაუბრო თემა იყო არამხოლოდ მედიაში, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც — ტრანსპორტი იქნებოდა, სუპერმარკეტი, ბაზრობა თუ სკვერი... მაგალითად, დიღმის მასივში, ე.წ. მაიაკოვსკის ბაღში, სადაც საღამო ხანს ბავშვთან ერთად ვსეირნობდი, სიჭარმაგეში შესულ ორ მამაკაცს შორის ასეთ საუბარს შევესწარი **(სტილი დაცულია. რედ.):**

— რას გავდა ახლა იმგენის საქციელი, პაპუასებივით რო მიუხტნენ იმ ჟურნალისტ გოგოს და ყველა ერთად ჯაჯღანებდა?

—რა ქნან, ბიჭო, გამწარებული ხალხია, ბელადი ხომ ციხეში უზით და ახლა გვარამიას დაჭერა მთლად დაქცევას ნიშნავს მაგათთვის.

— ვინ იყვნენ „ვაბშე“, იცანი შენე? მე იგი კი ვიცანი — **კვესიტაძის** ქალი და კიდო ის — **ჯანგირაშვილი** როა, **აქუს** ცოლი. ის ქუდიანი კაცი და კიდო ერთი ქალი რომ იყო, იგენი ვინ სიკვტილია, ვერ გევიგე!

— ის ქალი **ნინია კაკაბაძე** იყო, პატრიარქს და ეკლესიას რომ აგინებს ხშირად, როგორ ვერ იცანი? **ირაკლი კაკაბაძის** დაა მაგი. ირაკლი კაი ბიჭია, ხოშიანი გამოსვლები აქვს, ახურავს ნაცებსაც და ქოცებსაც, მაგრამ ეს მაგის და — ნინია — სუფთა ქრისტეს ფეხის მკვნეტელია, ელგებეტეს დაცვაშია სულ.

— ი კაცი რომელი იყო?

— ეგ **ლაშა ბულაძეა,** მწერალი.

— ეგი რომელი ბულაძეა, ბიჭო, თამარ მეფე რო ბოზად გამეიყვანა და იმისმა რუსმა ქმარმა პირველ ღამეს კრუხი იხმარაო, რო დაწერა?

— კი, ეგ არის, ეგ!

— უი, მაგის პატრონს და მყვარებელს... ეგია, ბიჭო, ტუალეტში უნიტაზზე რო წამეიდრანცა და იძახის — აქანა იწერება ნაღდი ლექსი და მოთხრობაო? უბორნიაში მარტო კითხვა კი არა, წერაც ქე შეიძლებაო, რო ამბობს, ის ბულაძე იყო მაგი?

— კი, ეგ ბულაძეა, განათლების მიღება ტუალეტშიც შეიძლებაო, რომ ამბობს!

— ხედავ, შენე? მაგი მე რაფერ მყავს დამახსოვრებული, თუ იცი? უნიტაზზე რომ ზის ფეხი ფეხზე გადაკვანტილებული და წიგნები ულაგია გარდიგარდმო! უნიტაზის გარეშე ვერ ვიცანი, თვარა უნიტაზით რომ ყოფილიყო, რავა ვერ ვიცნობდი, მაგ ოჯახდაქცეულს!

— ახლა, სასამართლოში უნიტაზიანად ხომ არ მივიდოდა, შე კაი კაცო!

წკიპზე შევიკავე თავი, რომ არ გადამეხარხარა. მიმიხვდებოდნენ, ნელი ნაბიჯებით სპეციალურად რომ მივყვებოდი უკან და მათ დიალოგს ვაყურადებდი. უხერხული იქნებოდა.

არადა, მეტი სახარხარო რა გინდა — **კაცმა თქვა, რომ ლაშა ბულაძეს უნიტაზის გარეშე ვერ ცნობს!** ე.ი. უნიტაზზე მჯდომი და ტუალეტიდან მოლაპარაკე რომ დაინახოს, მაშინვე იცნობს, მაგრამ უნიტაზზე თუ არ ზის და ტუალეტიდან არ ლაპარაკობს, ვერ მიხვდება, ვინ არის! „ტუალეტის მჯღაბნელის“ სახე-ხატიც ასეთი უნდა: „საბას“ პრემიის ოთხგზის ლაურეატი **ლაშა ბულაძე** უნიტაზზე ზის და განმანათლებლურ სენტენციებს ისვრის პირდაპირ მამუკა ხაზარაძის ფეხსალაგიდან!

**სტალინი და ჩიბუხი!**
**ჩერჩილი და სიგარა!**
**ლენონი და სათვალე!**
**ბულაძე და უნიტაზი!**

ვერაფერს იტყვი, იზრუნა საკუთარ იმიჯზე ლაშა ბულაძემ!

**აბა, სხვა რით შეეძლო, ქართველებისათვის თავი დაემახსოვრებინა?!**

***ჯაბა ხუბუა***






**„მაგი მე რაფერ მყავს დამახსოვრებული, თუ იცი? უნიტაზზე რომ ზის ფეხი ფეხზე გადაკვანტილებული და წიგნები ულაგია გარდიგარდმო! უნიტაზის გარეშე ვერ ვიცანი, თვარა უნიტაზით რომ ყოფილიყო, რავა ვერ ვიცნობდი, მაგ ოჯახდაქცეულს!“**



**სტალინი და ჩიბუხი! ჩერჩილი და სიგარა! ლენონი და სათვალე! ბულაძე და უნიტაზი!**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



**ვერც** პოლიტიკოსის და **ვერც** მედიაში მუშაობის სტატუსი კანონის მოქმედებას **ვერ** შეაჩერებს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სოფო ნიკოლაიშვილი**
*ჟურნალისტი*



„TV მთავარს“, ალბათ, მაყურებელი შემოაკლდა, რადგან მისი წამყვანები **„იმედის“ პირდაპირ ეთერში ვარდებიან.** მე ყველას და, პირველ რიგში, მათ, ნაციონალური მოძრაობის ამ აქტივისტებს, მინდა, ვუთხრა, რომ **„იმედის“ თანამშრომლებს კომპლექსს ვერ აჭკიდებენ.** ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ დღეს ვდგავართ ისტორიის სწორ მხარეს. **მინიმუმ სააკაშვილის სადისტური რეჟიმის მობრუნებას არ ვემსახურებით.**

„იმედინიუსი“

**ქიბარ ხალვაში**
*ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის მფლობელი*



დადასტურდა, რომ **ნიკა გვარამიამ „რუსთავი-2“-ს განზრახ 6,7 მილიონი ლარის ფინანსური ზიანი მიაყენა.** მოვუწოდებ დამნაშავეებს, სრულად აანაზღაურონ **ტელეკომპანიისთვის მიყენებული მრავალმილიონიანი ზიანი.** ამ მიზნით, სისხლის სამართლის განაჩენის საფუძველზე, **დაუყოვნებლივ წარვადგენ სამოქალაქო სარჩელს სასამართლოში.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ბაქურ სვანიძე**
*ჟურნალისტი*



შენ, **ადამიანების მწამებელი,** გამაუბედურებელი უმძიმესი დამნაშავე, **„ცილების ნაკლებობის“** გამო გამოგიშვან ციხიდან? **ცოლების ნაკლებობასაც** ხომ არ განიცდი, ნეტავ?

„ალია“

***ერთ თავის ბრწყინვალე წერილში — „რა არის თავისუფლება“ — ვაჟა-ფშაველა ამბობს:***

*„ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავისი ყოფა-ქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მითუმეტეს, საზოგადოებას“... თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, რადგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის. მხოლოდ ამაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო — არა! ყოველ სიტყვას და მოქმედებას უნდა საზოგადო, საერთო ბედნიერება ედოს სარჩულად!..“*

***დიდი ვაჟას ეს დასკვნა არის ჩვენი ავადმყოფი ტელევიზიებისა და ავაზაკი პარტიების უზუსტესი დიაგნოზი.***



## კობა არაბული

# ტელე-მყეფარებისა და „პეტუხების“ დრო უნდა დამთავრდეს!



ამ მორალზე წუხდა და ფიქრობდა კულტურული მსოფლიო დასაბამიდან დღემდე. ამისთვის ქმნიდა რჯულის კაცთა საბჭო მორალის კანონებს ჰამურაბიდან მოყოლებული, **ვახტანგ მეექვსის** ჩათვლით, თუ გნებავთ, ხალხური ანდრეზული სამართალით.

ერთ მაგალითს მოვიტან რჯულის კაცთა საბჭოდან:

**რჯულის კაცებს ამბავი მიუტანეს, რომ დამნაშავე ჩაბარუხი სახლის ბანზე გამოვიდა, ჯიხვის ტყავი გაბერტყა და ზედ ნებიერად წამოწვა, თან ყალიონი გააბოლა.** რჯულმა **ჩაბარუხს** ამგვარი „გამოხატვის თავისუფლება“ მისი საქმის განხილვის დროს მკრეხელობად **(სასამართლოს უპატივცემულობად)** ჩაუთვალა და დამატებით ჯარიმად **(„ჯურუმად“)** 5 ცხვარი დააკისრა.

ხალხური სამართლის ერთ მაგალითსაც მოვიტან ზნეობის სფეროდან:

**მოკლულისთვის მკვლელის მიერ სახეში ჩაშტერება ან თვალებში ჩახედვა მძიმე ამორალურ საქციელად, მიცვალებულის დამცირებად, ცოდვად ითვლებოდა და 5 ძროხით „ჯურუმდებოდა“.** ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცა სააკაშვილი ცხინვალთან ომის დროს.

ახლა, რატომღაც, ძალიან უკვირს სექტანტურ ოპოზიციას, არასამთავრობოების კლანურ-ლიბერასტულ კასტას **(ეგრეთ წოდებული სახალხო დამცველიანად)**, როცა სამართალი პასუხს სთხოვს ვიღაცებს დანაშაულისთვის და, თუ გნებავთ, კანონის თავხედური უარყოფისთვის.

**ჩვენს ახლანდელ ქუჩაში მოარულ ჯალათებს და მათთან მიერთებულ „ვირისთავებს“ არაფრად მიაჩნიათ სახურავზე გაკოჭილი, ბორკილდადებული მკვდრების შემოდებაც კი და „ორი ტრუპის“ მოთხოვნა, არც ის, რომ „სვანური ვენდეტის“ ავტორი „კუბდარა“ ახლა ქუჩიდან მუქარანარევ მორალს გვიკითხავს!**

ირკვევა, რომ გლობალური მსოფლიო მონსტრის მიზანია ჩვენი ხელისუფლების პარალიზება, ხალხისგან იზოლაცია და საზოგადოების დაყოფა. ისინი ქმნიან და აფინანსებენ „სხვა“, **არასამთავრობოთა მთავრობებს,** რათა ალაპარაკონ ხალხისა და სამართლის სახელით. საქართველოს სწორედ ეს **„სხვა“ მთავრობები** აშანტაჟებენ და ანგრევენ. ჩვენ ალყაში ვართ. **ისინი მფარველობენ და აცოცხლებენ მკვდარ პარტიებს, როგორც მკვდარი ტბების ქვეწარმავლებს და უსევენ ხელისუფლებასა და ერს.**

მთლიანად მოიწამლა ერის ზნეობრივი სივრცე ამათი ტელევიზიებით, ამათი ეგრეთ წოდებული „გამოხატვისა და ქცევის“ თავისუფლებით, ამათი „დემოკრატიის“ ამორალური ძალადობით!

40 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს რაღაც მინოტარულ ტექსტს სახელმწიფოს წინააღმდეგ და აგზავნის ყველა მიმართულებით სამშობლოს დასასმენად.

**60 თითოკაციანი პარტია — დამნაშავე, კომპრომეტირებულ სექტანტთა ჯგუფი გამოდის ქუჩაში, თითხნის ყველაფერს, პარლამენტს ბოქლომებს ადებს, აგინებს ხელისუფლებას, ეკლესიას. დიახ, ისინი თხზავენ კომპრომატებს. ავრცელებენ სიცრუის ეპიდემიას, მათი გახსნილი პანდორას ყუთებიდან იფრქვევა უამრავი ბაქტერია ყველა კონტინენტის მიმართულებით.**

ეტყობა, მათი „ჭაობის ორკესტრის“ ხმა კარგად სწვდება ატლანტის ოკეანეს, ჩამოდიან „აღშფოთებულნი“ თუ „შეშფოთებულნი“ და დიდი თევზებივით ყურს უგდებენ ამ მუსიკას. **ეტყობა, მათ სულაც არ აინტერესებთ, რომ შენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა გყავდა, ხოლო თამარ მეფემ მე-12 საუკუნეში სიკვდილით დასჯა გააუქმა.**

თუმცა, ეს მათ კარგად იციან!..

კვლავ პირველსავე სიტყვას მოვალ და ვიტყვი:

**უმთავრესი თემა და პრობლემა მაინც ერის მორალური სივრცის დაცვა და საზოგადოების ზნეობრივი გადარჩენაა სიტყვიერი პანდემიისგან, პარანოიდული ტელევიზიებისა და ახლად გაჩენილი პარაზიტი ორგანიზაციებისგან.**

●

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის კლანური კასტა, რომელიც პლასტებად დაედო ერთმანეთს.

— **სახიფათო მკვლელების კლანი** (ადამიანთა მსხვერპლშეწირვას რომ ითხოვენ);

— **ანტიქრისტე მოგვთა სექტა** (ეკლესიასა და პატრიარქს მოურიდებლად რომ დევნიან);

— **თითქოს კეთილგანწყობილი, მაგრამ უტვინო ადამიანების კლანი;**

— **დასავლეთს შეფარებული არამზადების კლანი;**

— **პოლიტიკიდან ჩამოწერილთა კლანი;**

— **ხაზარაძის ტიპის მტაცებელ მევახშეთა კასტა;**

— **არასამთავრობოთა ხროვა და კიდევ მრავალი,** რომლებიც ერთად და ცალ-ცალკე ებრძვიან საკუთარ ქვეყანას, მის კულტურას, რელიგიას, ტრადიციებს...

●

**როგორ გაუძლებს ჩვენი საზოგადოება ამდენ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას** — გამოხატვის ველური თავისუფლებიდან მომდინარე ლექის ნიაღვარს?

**ვინ დაიცავს მას აღვირახსნილი ფლუიდური დარტყმებიდან და მაზომბირებელი სფინქსისგან,** რომელიც დაჟინებით გვითვალთვალებს?

**ვინ უნდა იცავდეს ერს და საზოგადოებას — ხელისუფლება, ეკლესია თუ რომელიმე სხვა ინსტიტუტი? თუ კანონი და კონსტიტუცია?**

**ვინ დაიცავს საზოგადოებას ზნეობრივი დეპრესიისგან, როდესაც თვით ეკლესიაც კი დაუცველია?**

**ვინ უნდა შეაჩეროს ეს ქოფაკები, აღვირახსნილი მიკროფონებიანი ტერორისტები, გამოხატვის თავისუფლების ზღვარს გადასული თავხედები,** ტაძრების საკურთხეველშიც რომ იჭრებიან?

ალბათ, კანონმა და საზოგადოებამ ერთად! თუკი არ ემორჩილებიან კანონს, მაშინ შეიძლება საზოგადოება იქცეს კანონის აღმსრულებლად!

ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ: **თუ სატელევიზიო „პანდორას ყუთები“ არ დაიკეტა და ლიბერასტთა ჯინი არ ჩაცხრა, სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი იქნება. ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყნის გადარჩენას!**

●

დასასრულ ბატონი პრემიერის **ირაკლი ღარიბაშვილის** საყურადღებოდ გვინდა, ვთქვათ:

უცხოეთიდან მოლაპარაკების მხარედ უნდა დადგეს ერის რჩეული საზოგადოება. **უცხოელებს უნდა დაელაპარაკოს საერთო კრება, რჩეული და კითხული ხალხი საქართველოსი — მათი თემებიდან და ისტორიული კუთხეებიდან, ინტელიგენცია აკადემიური და სახელოვნებო კულტურული სივრციდან.**

**ჩვენ, ქართველი საზოგადოება, არ ვუშვებთ და არ დავუშვებთ სააკაშვილისა და მისი პარტიის მობრუნებას!** — ეს უნდა იცოდეს ყველამ — შინაურმა და გარეულმაც.

გვერდით დაიყენეთ ეროვნული ცნობიერებით და ნიჭით აღჭურვილნი — ასეთი პიროვნებები არ აკლია ჩვენს სამშობლოს.

მოიყვანეთ თემის კაცი, რეგიონის (კუთხის) კაცი, მითის და ეთნოკულტურის, ისტორიის კაცი!

თუ სახელმწიფოს არა აქვს ერის დაცვის კანონები, უნდა მიიღოს ასეთი კანონები დაუყოვნებლივ!

**თუ სახელმწიფო ამ კანონს არ მიიღებს, ვერასოდეს შეაჩერებს სატელევიზიო ომს ერის წინააღმდეგ, ვერ აღკვეთს ვირტუალური ძალადობის პანდემიას!**

ტელე-მყეფარებისა და „პეტუხების“ დრო უნდა დამთავრდეს!

## კვირგვინოსნები

**ანდრია გვიდიანი**
*ექსპერტი*



გვარამიამ **ბიუჯეტში არ გადაიხადა 24 მილიონი ლარის გადასახადები.** ამის მიზანს კი წარმოადგენდა ის, რომ ტელეკომპანიის ნამდვილ მესაკუთრესთან დაბრუნების შემთხვევაში, **ეს კომპანია ყოფილიყო სრულიად გაკოტრებული** და ათეულობით მილიონი ლარის დავალიანება ჰქონოდა ბიუჯეტის წინაშე, რაც **ნიკა გვარამიამ** შეასრულა კიდეც.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



უნდა მოიკვეთოს ის ჯგუფი, **ვინც უარყოფით პროცესებს ავითარებს ოპოზიციის პლატფორმაზე და შეფუთულები არიან, როგორც ოპოზიციის ქომაგები.** დღეს **ნიკა გვარამიას** დაკავება არ გვაძლევს ჩვენ უფლებას, გავხდეთ ჭირისუფლები.

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ნიკა გვარამიას „განაჩენი“** სინამდვილეში საქართველოში ხელისუფლების მიმტაცებლების მიერ **საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენია.** ეს რეჟიმის ლპობის ბოლო სტადიაა. **ახლა ცხვირის ჩამოშვების დრო კი არა, ბრძოლის დროა.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



გასაგებია, პოლიტიკურად აქტიურ პირზეა საუბარი, მაგრამ **ჩადენილია დანაშაული.** იმის გამო, რომ სადღაც ვინმე ნეგატიურად შეიძლება იყოს განწყობილი სასამართლოს მიმართ, უნდა გაჩერდეს მართლმსაჯულება პირების მიმართ, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილნი?! **ნაციონალური მოძრაობის პერიოდში ამ სიმძიმის დანაშაულისთვის შეიძლება, ციმბირი უკან მოეტოვებინათ.**

„ინტერპრესნიუსი“

# პირბოზო ლევან ბერძენიშვილო, „ტრაქტატს“ ნუ ათამაშებ!



*ვიდრე მთავარ სათქმელს მოგახსენებდეთ, მანამდე მივმართავ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს: „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო“, გამოაპანღურეთ, უნივერსიტეტის კიბიდან დააგორეთ, აუდიტორიას არ გააკაროთ და ქალაქის ცენტრში, დიდი მეფე ერეკლეს ძეგლთან სახედრის გამხმარი ფალოსით გაამათრახეთ ცნობილი „ჩამშვები“ და, როგორც თავის თავს უწოდებდა, „გაკურდღლებული სულის“ პატრონი, „კაგებეს“ აგენტი „დელფინა“, ანუ იგივე ლევან ბერძენიშვილი, რომელსაც „კუბოს კარამდე მისულს“ პირში კანალიზაციის „შლანგი“ კიდევ ერთხელ გაუსკდა და ამჯერად სწორედ მეფე ერეკლეს სახელის წაბილწვა სცადა.*

დიდი რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ იყენებს ცნებას — **„პირბოზი“...** ერთგან, უფრო კონკრეტულად კი „ვეფხისტყაოსნის“ 1605-ე სტრიქონში, ვკითხულობთ — **„პირბოზო, ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან!“**

თუ ვინმეს მიესადაგება საქართველოში თიკუნი **„პირბოზი“** სწორედ **„დელფინა“ ლევან ბერძენიშვილს,** რომელმაც ჩვენი სახელოვანი **„პატარა კახი“,** ბავშვობიდან რომ ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია, უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა და მირონცხებული ხელმწიფე სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა. აი, ერეკლესადმი გამოტანილი მისი „ვერდიქტიც“, რომელიც ტელევიზიებსა და ინტერნეტსივრცეში ტრიალებს:

> *„ამდენ ტყუილში დავიღალეთ, რა... სანამ **ერეკლე მეფე** მოღალატედ არაა გამოცხადებული, მანამდე **ირაკლი ღარიბაშვილი** გამოვა და... ომი გინდათ და!.. ერეკლემაც მაგი თქვა — აბა, ომი გინდათო, კაცო?! მეომარი კაცი იყო, ოთხმოცი ომი მოიგო და მე მეკითხებოდა, ომი გინდათო? მე არ მინდოდა ომი, არავის არ უნდოდა ომი, მაგრამ, რომ **ჩააბარა მთელი საქართველო, როცა მარტო კახეთს აკონტროლებდა, ვინ მისცა მაგის უფლება?!“***

ძვირფასო მკითხველო, ამ სიბილწის გამგონსა და წამკითხველს ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სააქაო საქართველოში ეშმაკის მანქანებით შემორჩენილ ამ **მართლაცდა მძორს — ლევან ბერძენიშვილს** სახელოვანი მეფე ერეკლე საიქიო საქართველოდან სწორედ დიდი რუსთაველის სიტყვებით მიმართავს — „პირბოზო, ჩემი მორევნა რა დია და-

გიქადიან!“

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამ მართლაცდა **პირბოზმა ლევანამ** არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ერეკლე მეფე მხოლოდ კახეთს კი არა, ქართლსაც აკონტროლებდა და განჯის, ერევნისა და ნახჭევნის სახანოებიც ხარკს უხდიდნენ. **ვერც იმას დავიჯერებთ, რომ ბერძენიშვილმა არ იცის, თუ რა სიტუაციაში და რატომ გაფორმდა 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც ერეკლე მეფეს აშკარად თავს მოახვიეს.** მაგრამ ლევან ბერძენიშვილმა, რომელიც **პროფესიონალი პირბოზია** და დრო-ჟამის შესაფერისად თავისი აყროლებული სხეულის სხვადასხვა ნაწილი შარაზე აქვს გადადებული, ასე უნდა ილაპარაკოს.

ქართველი ერისგან, რომელსაც ამ უწმინდურმა წმინდა არაფერი დაუტოვა, **ბერძენიშვილი სასტიკ სასჯელს დიდი ხანია, იმსახურებს,** მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა **ამ მართლაცდა ავადმყოფს,** რომელიც ენას პირში ვერ ატევს, **სწორედ თელაველებმა უნდა გამოუტანონ განაჩენი.** რაც მან ერეკლე მეფის მისამართით წინა კვირას იკადრა და ბინძურად იჭორმეტყველა, ვფიქრობთ, მსგავს სიბილწეს როენას „სათნოების სახლში“ დასაქმებული **„ნეტარი ბოზებიც“** არ იკისრებდნენ...



**ერეკლე რომ ცოცხალი ყოფილიყო და ბერძენიშვილს მისთვის მოღალატე ეწოდებინა, მეფე აუცილებლად სასამართლოს დანიშნავდა, თავის სიმართლეს სწორედ მიუკერძოებელი კრებულის წინაშე დაამტკი-**

**ცებდა და ცილისმწამებელ და „მაბრალობელ“ ლევან ბერძენიშვილს ზუსტად ისე დასჯიდა, როგორც სოდომურ ცოდვებში მხილებულთ სჯიდა – „ჯაჯაებით“, ანუ ტანჯვა-წამებით.**

საერთოდ, ცნობილია, რომ ერეკლე სასამართლოზე არაერთხელ გამოსულა... ასე, მაგალითად, **1765 წლის ცნობილი შეთქმულების დროს, როცა პაატა ბატონიშვილი და მისი ამალა ერეკლეს მკვლელობასა და სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ, მეფემ სასამართლოზე თავისი სიმართლე დაამტკიცა და ბიძამისს პაატა ბატონიშვილს თავი გააგდებინა.**

1781 წელს ვეჯინში უსაყვარლესი შვილი, რომელიც ყველაზე უფრო ეიმედებოდა, **25 წლის ლევანი** გაურკვეველ ვითარებაში რომ მოუკლეს და თან ჭორები დაყარეს, ლევანი გათხოვილ ქალს ჰყვარობდა, ქალის ქმარმა წაასწრო და მოკლაო! — მეფე ერეკლე გაცეცხლდა. შვილი ეკლესიაში მანამ არ შეასვენებინა, სანამ სიმართლე არ გაიგო. **ის კი არა, განზრახული ჰქონდა, ლევანის გვამი ცხენის ძუაზე გამოება და მთელ თბილისში ეთრია, როგორც უსახელო, რათა მთელ ქვეყანას ენახა, თუ როგორი არ უნდა ყოფილიყო ქართველი უფლისწული.** მესამე-მეოთხე დღეს, როცა ლევან ბატონიშვილის გვამი ალაგ-ალაგ ჩალურჯდა, რაც იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ლევანი მოწამლეს, მეფე ერეკლე მამადავითზე ავიდა, ჩაიკეტა,

**სახელოვანმა ისტორიკოსმა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ჩემმა ძვირფასმა მასწავლებელმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა 1975 წელს, როცა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, ენციკლოპედიის პირველი ტომი ისტორიული ქართული სოფლით — ატოცით დაამთავრა... „ატოცი“ აწერია პირველი ქართული ენციკლოპედიის პირველ ტომს გარეკანზე. ეს შემთხვევით არ მომხდარა.**



## კვირგვინოსნები

**აკა მორჩილაძე**
*მწერალი, ისტორიკოსი*



მე არ შემიძლია, შევაფასო **მეფე ერეკლე.** რომ გახადეს, **90 ჭრილობა ჰქონდა 80 წლის კაცს...** და მე რომ არცერთი ჭრილობა არ მქონია, ამაზე ვილაპარაკო? ცუდი იყო, კარგი იყო, რუსებს შევაერთა... **ერთი ჭრილობა გაქვს, რომ ლაპარაკობ?**

„არტინფო“

**ბაჩო ოდიშარია**
*ტელეწამყვანი*



**ერეკლე მეფე** რომ **მოღალატეა** და **ბვარამია და საააკაშვილი გმირები,** იმ ადამიანების ცნობიერებაში რა ჯოჯოხეთი ტრიალებს, წარმოიდგინეთ.

„პოსტTV“

**გია ნოდია**
*ანალიტიკოსი*



**თუ ერეკლე ვაჟკაცი იყო** და ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში ბევრი ჭრილობა მიიღო, **ეს სულ არ ნიშნავს, რომ დიპლომატიაში შეცდომები არ დაუშვია.** მეორე მხრივ, მისი დიპლომატია მე-20 ან 21-ე საუკუნის საზომებით არ უნდა შევაფასოთ.

„აიპრესი“

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



ძირს კოლექტიური **„ბერძენიშვილები“** — საქართველოს ისტორიის სხეულზე ისინი მხოლოდ **შხამიანი მუწუკები** არიან.

„იმედინიუსი“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



მინახავს **ნაომარი ქვეყანა,** მინახავს **წაგებული ქვეყანა,** მაგრამ **ეროვნული ენერგიისგან ასე დაშრეტილი,** მე ჩემი ქვეყანა 30 წლის განმავლობაში არ მახსოვს.

„ახალი თაობა“

# ლევან ბერძენიშვილს ერეკლეს ეპოქაში რომ ეცხოვრა, უსათუოდ იმ სომეხი მელიქების – მეჯლუმისა და ჰაბოვის გვერდით იქნებოდა, რომლებიც აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარს საქართველოსკენ ტაშ-ფანდურით მოუძღვებოდნენ!



მდუღარე ცრემლებით ატირდა და მთელი ორმოცი დღის განმავლობაში წყლისა და ხმელა პურის მეტს არაფერს გაჰკარებია. აი, **ასე იგლოვა მან შვილი, რომლის სიკვდილმაც ძალიან დააჩქარა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმება.**

აი, ამ ზნეობისა და მორალის კაცი იყო ერეკლე მეფე, რომელმაც უამრავი ომი გადაიხადა და **75 წლის ლომი** კრწანისის ომშიც ხმალს იქნევდა **რუსისგან, სომხისგან და ქართველისგან ნაღალატევი...**

სტუმრების პატივსაცემად გამართულ კონცერტში მონაწილეობდნენ დიდი თეატრის სახელგანთქმული სოლისტები: **ირინა მასლენიკოვა, ალექსეი ივანოვი, გალინა ულანოვა, ოლგა ლეპეშინსკაია, მარკ რეიზენი, ვალერია ბარსოვა** და სხვები. აგრეთვე, **მოისეევის ანსამბლი და წითელი დროშის ორდენოსანი ალექსანდროვის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი.**

## „გაუმარჯოს რუს ხალხს!“

შუაღამე გადასული იყო, როდესაც ბოლო სადღეგრძელო წარმოთქვა სტალინმა. მას სიტყვას აწყვეტინებდნენ ხანგრძლივი ოვაციებით და ამის გამო მოკლე ტექსტის წარმოთქმას თითქმის ნახევარი საათი დასჭირდა. თავდაპირველად გაგაცნობთ სტალინის სადღეგრძელოს ტექსტს ისე, როგორც გაზეთებში გამოქვეყნდა:

**„ამხანაგებო, ნება მომეცით, ვთქვა კიდევ ერთი, ბოლო სადღეგრძელო.** მინდა, შევსვა **საბჭოთა ხალხის, უწინარესად, რუსი ხალხის სადღეგრძელო.** მე ვსვამ, პირველ რიგში, **რუსი ხალხის** სადღეგრძელოს იმიტომ, რომ ის ყველაზე გამორჩეული ერია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მე ვსვამ **რუსი ხალხის** ჯანმრთელობის სადღეგრძელოს იმიტომ, რომ მან ამ ომში დაიმსახურა საყოველთაო აღიარება, როგორც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი ძალის. მე ვამბობ **რუსი ხალხის** ჯანმრთელობის სადღეგრძელოს არამხოლოდ იმიტომ, რომ ის ხელმძღვანელი ხალხია, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს ნათელი გონება, უდრეკი ხასიათი და მოთმინება. **ჩვენს მთავრობას ჰქონდა შეცდომები, ჩვენ გვქონდა სასოწარკვეთის მომენტები 1941-1942 წლებში, როცა საბჭოთა არმია უკან იხევდა, როცა ტოვებდა უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლენინგრადის ოლქის, ბალტიისპირეთის, კარელია-ფინეთის რესპუბლიკის მშობლიურ სოფლებსა და ქალაქებს, ტოვებდა იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.** სხვა ხალხს შეეძლო, ეთქვა მთავრობისთვის: თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი ნდობა, წადით, ჩვენ მოვიყვანთ სხვა მთავრობას, რომელიც ზავს დადებს გერმანიასთან და უზრუნველყოფს ჩვენს სიმშვიდეს, მაგრამ **რუსმა ხალხმა** ეს არ გააკეთა, რადგან სჯეროდა თავისი მთავრობის პოლიტიკის სისწორის და წავიდა მსხვერპლზე, რათა უზრუნველეყო გერმანიის განადგურება. და **რუსი ხალხის** ეს ნდობა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აღმოჩნდა ის გადამწყვეტი ძალა, რომელმაც უზრუნველყო ისტორიული გამარჯვება კაცობრიობის მტერზე — ფაშიზმზე. **მადლობა მას, რუს ხალხს, ამ ნდობისთვის!“**

სტალინმა შეასწორა თავისი გამოსვლის სტენოგრამა, ბოლო ნაწილი კი ხელახლა დაწერა. ორიგინალში ის ასე იყო:

„მაგრამ **რუსი ხალხი** ამაზე არ წავიდა, **რუსი ხალხი** კომპრომისზე არ წავიდა. ის უსაზღვროდ მიენდო ჩვენს მთავრობას. **ვიმეორებ, ჩვენ გვქონდა შეცდომები, პირველ ორ წელს ჩვენი არმია იძულებული იყო, უკან დაეხია, გამოდიოდა ისე, რომ ვერ ვაკონტროლებდით მოვლენებს, შექმნილ მდგომარეობას. მაგრამ რუს ხალხს სჯეროდა, ითმენდა, ელოდებოდა და იმედოვნებდა, რომ ჩვენ მოვლენებს გავუმკლავდებოდით. აი, ამ ნდობისთვის, რომელიც რუსმა ხალხმა ჩვენი მთავრობის მიმართ გამოიჩინა, უღრმესი მადლობა მას!“**

როგორც ხედავთ, სადილზე სიტყვით გამოსვლისას სტალინი უფრო თვითკრიტიკული იყო, ვიდრე ოფიციალურ ვერსიაში.



ВЫСТУПЛЕНИЕ ТОВАРИЩА И.В.СТАЛИНА

Товарищи, разрешите мне поднять еще один, последний тост.

Я, как представитель нашего Советского Правительства, хотел бы поднять тост за здоровье нашего Советского народа и, прежде всего, русского народа. (Бурные, продолжительные аплодисменты, крики "ура").

Я пью, прежде всего, за здоровье русского народа потому, что он является наиболее выдающейся нацией из всех наций, входящих в состав Советского Союза.

Я пью за здоровье русского народа потому, что он заслужил в этой войне ... руководящей силы нашего Советского Союза среди всех народов нашей страны.

Я пью за здоровье русского народа не только потому, что он – руководящий народ, но и потому, что у него имеется ... общеполитический здравый смысл и терпение.

У нашего правительства было не мало ошибок, были у нас моменты отчаянного положения в 1941-42 г.г., когда наша армия отступала, покидала родные нам села и города Украины, Белоруссии, Молдавии, Ленинградской области, Карело-Финской республики, покидала, потому что не было другого выхода. Какой-нибудь другой народ мог бы сказать ... вы не оправдали наших надежд, мы поставим другое правительство, которое заключит мир с Германией и обеспечит нам покой. Это может случиться, имейте в виду.

Но, русский народ на это не пошел, русский народ не пошел на компромисс, оказал безграничное доверие нашему правительству. Повторяю, у нас были ошибки, первые два года наша армия вынуждена была отступать, выходило так, что не овладели событиями, не совладали с создавшимся положением. Однако, русский народ верил, терпел, выжидал и надеялся, что мы все-таки с событиями справимся.

Спасибо ему, русскому народу

За это доверие нашему Правительству, которое русский народ нам оказал, спасибо ему великое!

За здоровье русского народа! (Бурные, долго несмолкающие аплодисменты).



## გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო სადილის მენიუ:

**1. ცივი საუზმე:** ხიზილალა, ორაგული, ქაშაყი გარნირით, ლორი, ოლივიე, გოჭი, რამდენიმე სახეობის ყველი, კავკასიური კიტრი, პომიდორი.

**2. ცხელი კერძები:** თეთრი სოკო არაჟნით, ქათმის სუფკრემი კონსომე, ინდაურები, წიწილები, სატაცური, სოუსი მუსლინ, კარაქი.

**3. დესერტი:** შოკოლადი, ყავა, ლიქიორი, კონიაკი, მოხალული ნუში და ხილი.

*მოამზადა*
***ნიკა კორინთელმა***

---

***უმაღლესი ხელისუფლების მიერ ნაღალატევი საბჭოთა კავშირი 1991 წელს დაინგრა. საბჭოეთის ყველა ლიდერი — ნიკიტა ხრუშჩოვით დაწყებული, ბორის ელცინით დამთავრებული — იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი აღმოჩნდა, და მათმა საქმიანობამ 300 მილიონი ადამიანი კატასტროფამდე მიიყვანა. სტალინის სიტყვების ჭეშმარიტება — „მტერი დამარცხებულია, მაგრამ განადგურებული არ არის!“ — თვალნათლივ გამოჩნდა კრემლის გუმბათიდან წითელი დროშის დაშვებისთანავე.***



# საბჭოთა კავშირი და თავიანთი ნების განსახორციელებლად საზარბაზნე ხორცად აქციეს პოსტსაბჭოთა სივრცის ხალხები.

## გრიგოლ ონიანი

*1945 წლის 28 მარტს სტალინმა მიიღო ჩეხოსლოვაკიის სამთავრობო დელეგაცია პრეზიდენტ* ***ედვარდ ბენეშის*** *ხელმძღვანელობით, რომელთან საუბარის დროსაც* ***სტალინმა*** *თქვა:*

*„ახლა ბევრს ლაპარაკობენ* ***სლავოფილობასა და სლავოფილებზე.*** *ჩვენ ხშირად გვადარებენ ძველ, ცარიზმისდროინდელ სლავოფილებს. ეს არ არის სწორი.* ***ძველი სლავოფილები, მაგალითად, აქსაკოვი და სხვები, მოითხოვდნენ ყველა სლავის გაერთიანებას რუსი მეფის ხელისუფლების ქვეშ.*** *მათ არ ესმოდათ, რომ ეს მავნე, განუხორციელებელი იდეა იყო. სლავ ხალხებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ცხოვრების წესი აქვთ, განსხვავებული კულტურული დონე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა. სლავ ხალხთა გეოგრაფიული მდებარეობა ასევე უშლის ხელს მათ გაერთიანებას.* ***ჩვენ, ახალი სლავოფილები, ბოლშევიკი სლავოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიულ სხვაობათა მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა წინააღმდეგ.*** *სლავთა ცხოვრების მთელი ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავების დასაცავად.*

საბჭოთა კავშირმა 1945 წელს დაამარცხა ფაშიზმი, მაგრამ მისი ფესვები ვერ ამოძირკვა გერმანიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, პოლონეთში... ამის მწარე შედეგებს დღესაც იმკიან მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები!

***„რა მოხდებოდა, კაპიტალიზმს საბჭოთა რესპუბლიკების განადგურება რომ მოეხერხებინა? დადგებოდა უაღრესად შავბნელი ეპოქა ყველა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყანაში, მუშათა კლასსა და ჩაგრულ ერებს ყელში თოკს წაუჭერდნენ, ლიკვიდირებული იქნებოდა საერთაშორისო კომუნიზმის პოზიციები“,*** — წერს **სტალინი** თავის თხზულებათა მე-9 ტომში.

## ამერიკელებმა დაშალეს და გაააპარტახეს

სტალინის სიტყვები — **„ჩაგრულ ერებს ყელში თოკს წაუჭერენ“** — საუკუნის შემდეგ ახდა, როდესაც **ერაყელ** ხალხს თავის მეთაურთან ერთად ამერიკელებმა ყელში თოკი წაუჭირეს და ჩამოახრჩვეს ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდების მიზნით. იგივე ბედი გაიზიარა **ლიბანმა** და მისმა ლიდერმა. არანაკლები ზიანი მიაყენეს **სირიას,** ევროპის ერთ-ერთ უმდიდრეს სახელმწიფო **იუგოსლავიას,** განადგურებამდე მიიყვანეს ***უკრაინა...*** ეს იყო სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგი, რომელიც მე-20 საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფაში გადაიზარდა.

## ავიღოთ, თუნდაც ორი მსოფლიო ომი. რატომ დაიწყო ისინი? სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ და ვინ



# სტალინმა სლავებს 7-საუკუნოვანი ოცნება აუსრულა!

★ ბელადი მომავალს ხედავდა



სტალინი და ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ედვარდ ბენეში. 1945 წლის 28 მარტი

### დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში?

*როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები. განა ამ ომშიც იგივე არ ხდება? განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? არა.* ***გერმანელებმა საფრანგეთის ჩრდილოეთ ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელი არ ახლეს. ბელგიამ და ჰოლანდიამ მყისვე თათები მაღლა ასწიეს და დაუწვნენ გერმანელებს. ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა. საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია; მახეში გაება ბულგარეთიც კი, რომელსაც თავის დაძვრენა უნდოდა.***

*ესე იგი, გერმანელებისგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ. ახლა ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ვეღარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ არის.* ***მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურად შეფასებაში.*** *გერმანელები დიადი ერია, ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან, დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია. ისინი გადარჩებიან.* ***ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან, გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ.*** *ჩვენ დაუნდობლი ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ მათ.*

**ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები, შესაძლოა, ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი სლავოფილები, მოგიწოდებთ**

**სლავი ხალხების კავშირისაკენ.**

*ამბობენ, რომ ჩვენ თითქოს გვსურს, სლავებს თავზე მოვახვიოთ საბჭოთა წყობა. ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენ ასე არ გვინდა, ვინაიდან ვიცით, რომ საბჭოთა წყობის სურვილისამებრ გატანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ამისთვის საჭიროა შესაბამისი პირობები.* ***ჩვენ შეგვეძლო, ბულგარეთში დაგვემყარებინა საბჭოთა წყობა, იქ ეს სურდათ, მაგრამ არ წავედით ამაზე. გვინდა, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობები გვყავდეს.*** *სლავები კავშირის შექმნით შეძლებენ ერთმანეთისთვის სამეურნეო და სამხედრო დახმარების გაწევას".*

1949 წლის საპირველმაისო დღესასწაულის შემდეგ გამართულ პოლიტბიუროს სხდომაზე სტალინმა განაცხადა: ***„მე-13 საუკუნეში რუსებმა დაკარგეს იმიერკარპატების უკრაინა და მას შემდეგ ყოველთვის ოცნებობდნენ მის დაბრუნებაზე. სწორი პოლიტიკის წყალობით, ჩვენ ეს შევძელით — დავიბრუნეთ ყველა სლავური (უკრაინული და ბელორუსული) მიწა და ავახდინეთ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი ხალხების საუკუნოვანი ოცნება".*** სტალინმა სლავებს 7-საუკუნოვანი ოცნება აუსრულა — შექმნა ევროპაში ტერიტორიითა და მოსახლეობით ყველაზე დიდი ინდუსტრიული ქვეყანა — **უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.**

ინგლისისა და ამერიკის წაქეზებით დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერის მხარეს იბრძოდა **რამდენიმე სლავური სახელმწიფო,** რომლებმაც ომის ბოლო წლებში შეიგნეს, რომ მხარში სლავებს უნდა ამოსდგომოდნენ და არა გერმანელ ფაშისტებს, მაგრამ ეს ჭეშმარიტება ვერ გააცნობიერეს **უკრაინელმა ნაციონალისტებმა.** და, როდესაც სრულიად საბჭოთა კავშირი წითელ მოედანზე დიდ სამამულო ომში გამარჯვებას დღესასწაულობდა, უკრაინაში სლავები **ბანდერელებს** ებრძოდნენ, თუმცა, სტალინმა საბჭოეთის მტრებს თავიანთი ადგილი მაინც მიუჩინა.

## P.S.

**ერთხელ კუნცევოს აგარაკზე დერეფანში გავლისას, სადაც მსოფლიოს პოლიტიკური რუკა ეკიდა, სტალინმა ბულგარეთის ლიდერი გიორგი დიმიტროვი გააჩერა და უთხრა: „დასავლეთი არასოდეს შეეგუება, რომ მსოფლიო რუკაზე ამხელა წითელი ტერიტორია ჩანს"... ბელადი, ცხადია, მომავალს ხედავდა!!!**



ნამებით მოკლული ლიბიის პრეზიდენტი მუამარ კადაფი

## ★ საიდუმლო დოკუმენტები

*სრულიად საიდუმლოდ*

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის
დადგენილება № 8411

**ბერლინის საწარმოებიდან მოწყობილობების საბჭოთა კავშირში ჩამოტანის ორგანიზების შესახებ**

*1945 წლის 4 მაისი.* *მოსკოვი, კრემლი*

**თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:**

1. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული უკრაინის პირველი ფრონტის განსაკუთრებული დანიშნულების კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. **მ. საბუროვსა** და მის პირველ მოადგილეს ამხ. **კ. კოვალს** დაევალოთ ბერლინში გამგზავრება ქალაქისა და მიმდებარე რაიონებიდან საწარმოო მოწყობილობების ჩამოტანის ორგანიზებისთვის.

2 .ამხ. **საბუროვის** განკარგულებაში მივლინებული იქნას 170 ინჟინერ-ტექნოლოგი.

3. დაევალოს ბელორუსიის პირველი ფრონტის სამხედრო საბჭოს **(ამხ. ჟუკოვს, ტელეგინს)** გაუწიონ დახმარება ამხ. საბუროვს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

თავდაცვის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე **ი.სტალინი**



Сов. секретно
РАССЕКРЕЧЕНО
82

ПОСТАНОВЛЕНИЕ
ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ОБОРОНЫ
№ 8411сс от 4 мая 1945 г.

Об организации вывоза в Советский Союз оборудования с промышленных предприятий Берлина.

Государственный Комитет Обороны постановляет:

1. Обязать уполномоченного Особого Комитета при ГОКО на 1 Украинском фронте т.Сабурова М.З. и его первого заместителя т.Коваль К.И. выехать в г.Берлин для организации вывоза в Советский Союз оборудования с промышленных предприятий города и прилегающих районов.

2. Командировать в распоряжение т.Сабурова 170 инженерно-технических работников.

3. Обязать Военный Совет 1 Белорусского фронта (т.т.Жукова, Телегина) оказать т.Сабурову необходимое содействие при выполнении возложенного на него задания.

ПРЕДСЕДАТЕЛЬ ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ОБОРОНЫ И.СТАЛИН.

*სრულიად საიდუმლოდ*

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის
დადგენილება № 8568 CC

*15 მაისი, 1945 წ.* *მოსკოვი, კრემლი*

**თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს**

1. მოხდეს დემონტაჟი და ჩამოტანილ იქნას სსრ კავშირში მეცნიერებათა აკადემიის №2 ლაბორატორიისთვის, ასევე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეცმეტალურგიული სამმართველოსთვის:

ა) **ბერლინის კაიზერ ვილჰელმის სახელობის ინსტიტუტის მთელი აღჭურვილობა, ქონება, ასევე ბიბლიოთეკა;**

ბ) **ბერლინში არსებული ფონ არდენეს ლაბორატორიის აღჭურვილობა და ქონება;**

გ) **ბერლინში არსებული პროფესორ ჰერცის ლაბორატორიის მთელი აღჭურვილობა და ქონება;**

დ) **ბერლინის კომუნიკაციის სამინისტროსთან არსებული ატომური ფიზიკის ინსტიტუტის აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა და ყველა მასალა;**

ე) **ბერლინის მეტალურგიული ფხვნილის — ურანის მწარმოებელი ქარხანა, ასევე რაისბერგ-ცეხლინის რაიონის ურანის გადამამუშავებელი ქარხანა;**

ვ) **ბერლინში აღმოჩენილი სპეციალური მეტალები და მასალები.**

2. დემონტაჟის ორგანიზება, ასევე პირველ პუნქტში მითითებული აღჭურვილობებისა და მასალების ჩამოტანა დაევალოს ამხ. **ბერიას.** მასვე მიეცეს უფლებამოსილება, გამოყოს გერმანიაში წარსაგზავნად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეცმეტალურგიული სამმართველოდან, მეცნიერებათა აკადემიის №2 ლაბორატორიიდან და ელწარმოების სახალხო კომისარიატიდან სპეციალისტთა საჭირო რაოდენობა.

3. ამხანაგმა ბერიამ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში წარადგინოს გერმანელ ტყვეთა ჩამონათვალი, რომლებიც მუშაობდნენ 1 პუნქტში ჩამოთვლილ ინსტიტუტებსა და ქარხნებში, საბჭოთა კავშირში სამუშაოდ.

თავდაცვის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე **ი.სტალინი**



Проект
Совершенно секретно
РАССЕКРЕЧЕНО
60

ПОСТАНОВЛЕНИЕ
ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ОБОРОНЫ № 8568сс

«15» мая 1945 г. Москва, Кремль.

Государственный Комитет Обороны ПОСТАНОВЛЯЕТ:

1. Демонтировать и вывезти в Советский Союз для лаборатории № 2 Академии Наук и Спецметуправления НКВД СССР:

а) все оборудование, материалы и библиотеку института имени кайзера Вильгельма в Берлине;

б) оборудование и другое имущество лаборатории фон Арденне в Берлине;

в) все оборудование и имущество лаборатории профессора Герца в Берлине;

г) оборудование, библиотеку и материалы Берлинского института по ядерной физике министерства связи;

д) Берлинский завод Ауэра по получению металлического порошка урана и завод из района Райнсберг-Цехлин по переплавке металлического порошка урана в монолитный металл;

е) специальные металлы и материалы, обнаруженные в Берлине.

2. Поручить товарищу БЕРИЯ организовать демонтаж и вывоз всего указанного в п.1 оборудования и материалов, разрешив командировать в Германию для этого необходимое количество специалистов спецметуправления НКВД, лаборатории № 2 Академии Наук и Наркомэлектропрома.

Начальнику Тыла Красной Армии тов. ХРУЛЕВУ и начальнику Военно-химического управления Красной Армии тов. АБОРЕНКОВУ

2. 61

необходимое количество
...тные средства для вывоза
предложение об использо-
...их в перечисленных в
...ститутах и заводах, на

...ГО КОМИТЕТА
И.СТАЛИН

# ბოდოს აპარატი და ჩერჩილის ნაქონი საბეჭდი მანქანა







## სტალინის მუზეუმის ექსპონატები

***საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარეს გრიგოლ ონიანს დიღომში, ლუბლიანას ქუჩაზე, საკუთარი სახლის ერთ ფლიგელში, მოწყობილი აქვს სტალინის მუზეუმი, სადაც გამოფენილია ბელადის ნაქონი ნივთები და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ექსპონატები. ეზოში დგას სკულპტორ ნიკოლოზ ტომსკის მიერ სტალინის 70 წლის იუბილესთვის შექმნილი ადრიატიკის თეთრი მარმარილოს ქანდაკება. სახლს, მუზეუმსა და ეზოს იცავს პატრონის ერთგული მეგობარი ძაღლი ჯულბარსი, რომელსაც სახელი დიდი სამამულო ომის მონაწილე ლეგენდარული ძაღლის ჯულბარსის პატივსაცემად დაარქვეს.***

სტალინის მუზეუმი განთავსებულია **გრიგოლ ონიანის** სახლის მარჯვენა ფლიგელში. შესვლისთანავე ყურადღებას იქცევს შავი მოწყობილობა, რომელსაც ბატონი გრიგოლი**სტალინის** მობილურ ტელეფონს უწოდებს. მასზე ნახავთ მორზეს ანბანის გადამცემს, მაგნიტური ლენტის დასახვევ ორ „ბაბინას" და რადიოსიგნალების მიმღებს. ეს არის ე. წ. **ბოდოს აპარატი,** რომელიც კრემლში სტალინის კაბინეტის გვერდით სამუშაო ოთახში იდგა და რომლითაც ის ომის წლებში ფრონტს უკავშირდებოდა. **მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას ემსახურებოდა მოსკოვში, გორკის ქუჩაზე, არსებული კავშირგაბმულობის სახლის ოთხ სართულზე განლაგებული აპარატურა.** 1943 წელს, როდესაც სტალინი თეირანის კონფერენციაზე გაემგზავრა, ბოდოს აპარატიც წაღებული ჰქონდა და მისი შეუფერხებელი მუშაობისთვის აუცილებელი კვების ბლოკი და სხვა ატრიბუტიკა, განთავსებული 12 დიდ მანქანაზე.

გასული საუკუნის 90-იან წლებში **გრიგოლ ონიანს** ბოდოს აპარატი გადასცა დღევანდელ ე. წ. მოდულის შენობასთან არსებული **მშვიდობის მუზეუმის დირექტორმა,** რომელსაც არ სურდა, განუკითხაობის ჟამს ეს აპარატი ვინმეს მოეპარა ან ნაწილებად დაეშალა.




•

დიდი ხანი არ არის, რაც გრიგოლ ონიანის მიერ შექმნილ სტალინის მუზეუმს ცოლ-ქმარმა, ყოფილმა პარტიულმა მუშაკებმა **ვილი ალავიძემ და ლამარა ბაბუამ** საჩუქრად გადასცეს**სტალინის** ქალიშვილის**სვეტლანა ალილუევას** ნაქონი საბეჭდი მანქანა. 1942 წელს ეს ნივთი რუსეთში ჩაიტანა ბრიტანეთის **პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა,** რომელიც სტალინს კუნცევოს აგარაკზე სტუმრობდა. ბრიტანეთში გამგზავრებამდე მან რარიტეტული საბეჭდი მანქანა სტალინს აჩუქა, ხოლო ბელადმა — ქალიშვილ სვეტლანას. სწორედ ამ მანქანაზე დაბეჭდა სვეტლანამ თავისი მემუარები **„ოცი წერილი მეგობარს".** სადაც უნდა წასულიყო, მას ეს მანქანა ყველგან დაჰქონდა, ინდოეთში ყოფნისას კი უსაფრთხოების მიზნით ზედ პატარა ტყავის იარლიყიც დაამაგრა წარწერით — **„სვეტლანა პიტერსი".**

1984-1986 წლებში, როდესაც**სვეტლანა ალილუევა** თავის ქალიშვილ **ოლგასთან** ერთად საქართველოში ცხოვრობდა, ეს საბეჭდი მანქანა თბილისში ჰქონდა. წასვლისას კი სახსოვრად დაუტოვა თავის ქართველ მეგობარს, მეზობელსა და მასპინძელს **ლამარა ბაბუას.**

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## ჩვენი ვიქტორინა

**1.** გენერლის წოდება სსრკ-ში შემოიღეს

ა) 1925 წელს; ბ) 1930 წელს; გ) 1935 წელს; დ) 1940 წელს.

**2.** საბჭოთა მწერალთა კავშირის პირველი თავმჯდომარე იყო

ა) მაქსიმ გორკი; ბ) ალექსანდრე ფადეევი; გ) ნიკოლაი ტიხონოვი; დ) ალექსანდრე შჩერბაკოვი.

**3.** ადოლფ ჰიტლერის მამას ერქვა

ა) აქსელი; ბ) ალოიზი; გ) არნიმი; დ) არნოლდი.

**4.** სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს სსრკ-ში 1923 წელს ეწოდებოდა

ა) ЧК; ბ) МВД; გ) ГПУ; დ) НКВД.

**5.** ი. სტალინის როლი ფილმში „ლენინი ოქტომბერში" შეასრულა

ა) ბუხუტი ზაქარიაძემ; ბ) მიხეილ გელოვანმა; გ) სეიმონ გოლშტაბმა; დ) ალექსეი დიკიმ.

**6.** ქალაქი სტალინაბადი მდებარეობდა

ა) თურქმენეთში; ბ) ტაჯიკეთში; გ) ყაზახეთში; დ) დაღესტანში.

**7.** ი. სტალინის მეგობარი და თანამოსაგრე, ცნობილი ბოლშევიკი არტემი (ფ. სერგეევი) 1921 წელს

ა) ავადმყოფობით გარდაიცვალა; ბ) უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა; გ) მოკლეს; დ) თავი მოიკლა.

**8.** 1924 წელს ბოლშევიკურ პარტიას ერქვა

ა) რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკთა); ბ) საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკთა); გ) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; დ) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

**9.** კინოფილმი „დაუვიწყარი 1919" გადაიღო რეჟისორმა

ა) სერგეი იუტკევიჩმა; ბ) მიხეილ კალატოზოვმა; გ) მიხეილ ჭიაურელმა; დ) გრიგორი ალექსანდროვმა.

**10.** ვის ჯგუფს მიენიჭა პირველად საბჭოთა კავშირის გმირის წოდება?

ა) ტანკისტების; ბ) მფრინავების; გ) არტილერისტების; დ) სამხედრო მეზღვაურების.

**11.** აბრევიატურა „გესტაპო" იშიფრება, როგორც

ა) სახელმწიფო პოლიტიკური პოლიცია; ბ) საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია; გ) გერმანიის პოლიტიკური პოლიცია; დ) საიმპერიო საიდუმლო პოლიცია.

**12.** ქართული და რუსული ენების გარდა ი. სტალინმა იცოდა

ა) ინგლისური ენა; ბ) ფრანგული ენა; გ) გერმანული ენა; დ) არც ერთი სხვა ენა.

## ბელადზე უთქვამთ

• **შარლ დე გოლი**, ***საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-1969 წლებში:*** — სტალინს ჰქონდა კოლოსალური ავტორიტეტი არამხოლოდ რუსეთში. მას ძალუძდა, ესწავლებინა თავისი მტრებისათვის, რომ გამარჯვებით არ ენეტარათ. **სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია.**

• **ალექსანდრე კერენსკი**, ***რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრი 1917 წელს:*** — სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა.

## შეკითხვების პასუხები ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში და მიიღებთ სტალინის მიერ 1942 წლის 28 ივლისს გამოცემულ № 227 ბრძანებას, რომელიც ხალხში სამი სიტყვითაა ცნობილი

**1.** სტალინის ცოლის გვარი; **2.** გერმანიის რაიხის პარლამენტის შენობა; **3.** სტალინგრადს ადრე ერქვა; **4.** მარქსის კოლეგა; **5.** გერმანიის ერთ-ერთი მოკავშირე მეორე მსოფლიო ომში; **6.** იგივეა, რაც თანამებრძოლი; **7.** საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი; **8.** მეორე ფრონტის გახსნის ადგილი; **9.** ის, რასაც სტალინი „ომის ღმერთს" უწოდებდა; **10.** გმირი ქალაქი ბელარუსში; **11.** სტალინის უფროსი ვაჟის სახელი; **12.** აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი; **13.** „12 სკამის" ერთ-ერთი ავტორი; **14.** ევროპისა და აზიის გამყოფი მთათა სისტემა; **15.** საბჭოთა მარშალი, ფაშისტებისგან პრაღის განმთავისუფლებელი; **16.** მათემატიკის ნაწილი; **17.** რუსი ადმირალი.




### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ალილუევა; 2. რაიხსტაგი; 3. ცარიცინი; 4. ენგელსი; 5. რუმინეთი; 6. თანამოსაგრე; 7. იაკოვლევი; 8. ნორმანდია; 9. არტილერია; 10. ბრესტი; 11. იაკობი; 12. ეიზენჰაუერი; 13. ილფი; 14. ურალი; 15. კონევი; 16. ალგებრა; 17. ნახიმოვი. ფრაზა: „არცერთი ნაბიჯი უკან!"

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

*1. 1940 წელს; 2. ალექსანდრე შჩერბაკოვი; 3. ალოიზი; 4. ГПУ; 5. სემიონ გოლშტაბმა; 6. ტაჯიკეთში; 7. უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა; 8. რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკთა); 9. მიხეილ ჭიაურელმა; 10. მფრინავების; 11. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია; 12. გერმანული ენა.*

2022 წლის 23 მაისი, № 3 (127)
გენერალისიმუსი
გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან
რედაქტორი გრიგოლ ონიანი
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. „ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www.facebook.com/Asavali.com გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ჩიხი №1, სახლი №5
599 29 2000

# ნიკოლოზ მჟავანაძე: ყველა მოღალატის თავი უნდა გაგორდეს!

***„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ნაცვლად საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ან გახარია რომ ყოფილიყვნენ, საქართველოს ომში ჩაითრევდნენ და ისეთ ამბებს დაატრიალებდნენ, ბუჩა და მარიუპოლი მონაგონი იქნებოდა:***





— **ირაკლი ღარიბაშვილმა** ნაცსექტა ისეთ დღეში ჩააგდო, სულ არ გამიკვირდება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ეგენი ქუჩაში ტიტვლები გამოვარდებიან და ხალხს ქვებს დაუშენენ. **ღარიბაშვილმა ჯერ კიდევ წინა პრემიერობის დროს დაიჭირა ყველა კრიმინალი ნაცლიდერი, ხოლო პრემიერობის მეორე ჯერზე თავად სააკაშვილი და მისი რუპორი გვარამია მიაბრძანა ციხეში.** ამიტომაც ებრძვიან ღარიბაშვილს ასეთი გაალმასებით და ამიტომაც ჰქონდათ ნაცებს წინა კვირას რამდენიმესაათიანი ტაშ-ფანდური — **არიქა, ნატოს გენერალური მდივანი ირაკლი ღარიბაშვილს არ შეხვდაო!** სხვათაშორის, გიორგი გახარია რომ მოულოდნელად გადადგა, ნაცები მაშინაც ასეთი გახარებული იყვნენ, მაგრამ რამდენიმე საათში, როცა ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, რომელ წყალში გადამხტარიყვნენ, აღარ იცოდნენ. **ირაკლი ღარიბაშვილი პირველ ჯერზე პრემიერობიდან რომ არ წასულიყო, საქართველოში დღეს ნაცსექტა აღარ იარსებებდა! ამაში დარწმუნებული ვარ...**

**— თქვენ ფიქრობთ, რომ დღეს ირაკლი ღარიბაშვილი სწორი პოლიტიკური გზით მიდის?**

— ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და ამას ამტკიცებს შედეგი — **აზარტული თამაშების რეკლამა მოისპო, სოდომისტების აღლუმი აღიკვეთა, ლარი გამყარდა, უმუშევრობა მცირდება, საავთიაქო ბაზარზე მოსახლეობის უსინდისო ყვლეფა შეწყდა, ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ ჩერდება, საქართველო ომში ვერ ჩაითრიეს, სააკაშვილი დაიჭირეს და გვარამიაც ზედ მიაყოლეს!**

ირაკლი ღარიბაშვილის ნაცვლად საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ან გახარია რომ ყოფილიყვნენ, დარწმუნებული ვარ, გატეხდნენ, ომში ჩაითრევდნენ და საქართველოში ისეთ ამბებს დაატრიალებდნენ, **ბუჩა და მარიუპოლი მონაგონი იქნებოდა.** დღეს საქართველო ჰგავს იმ კაცს, რომელსაც თავზე ორი პისტოლეტი აქვს მობჯენილი — ერთი რუსეთია, მეორე — ამერიკა! საკმარისია ერთი უხერხული მოძრაობა, ან ერთი გაგვიხვრეტს შუბლს ან — მეორე. **აი, ასეთ ბეწვის ხიდზე გადის დღეს საქართველო ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით. ამიტომ თითოეული ქართველის ვალია, გაერთიანდეს მის გარშემო.**

## „ღარიბაშვილის ნაცვლად საქართველოს პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი ან გახარია რომ ყოფილიყვნენ, საქართველოს ომში ჩაითრევდნენ!“





ნაცჟურნალისტებს არ გამოუვიდათ ის, რაც საქართველოს დამაქცევრებმა 1991 წელს ჩაიდინეს, როცა ვაი-ჟურნალისტები ტელევიზიის კიბეზე წამოწვნენ და ასე დაუწყეს ბრძოლა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილსა და გვარამიას აუცილებლად უნდა მიუსხდნენ გვერდით გიორგი გახარია და ნათია მეზვრიშვილი, რომელიც გაიძახის, — ხალხსა და ხელისუფლებას შორის დიდი უფსკრულიაო!

**— სამაგიეროდ, ნათია მეზვრიშვილსა და ავადსახსენებელ ბაბუცა პატარაიას შორის ხომ არის წაშლილი ყოველგვარი ზღვარი და ერთმანეთს არიან ჩახუტებულები!**

— ყველა მოღალატის თავი უნდა გაგორდეს! **რა თქმა უნდა, უნდა ჩატარდეს კომპეტენტური გამოძიება და თითოეული გამყიდველი და მოღალატე წავიდეს ციხეში!** აი, მაგალითად, რატომ არ არის დაპატიმრებული „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ყოფილი გენერალური დირექტორი **თამარ კინწურაშვილი,** რომელიც დღეს სოციალურ ქსელებში მედიაზონდერად არის ქცეული? ნიკა გვარამიამ კერძო ტელეკომპანიას მოჰპარა მილიონები, ხოლო კინწურაშვილმა — სახელმწიფო ბიუჯეტი გაყვლიფა და ხალხის ფული შეჭამა!

**— მაინც რა შეჭამა თამარ კინწურაშვილმა?**

— ცნობილმა ჟურნალისტმა **ლია ტოკლიკიშვილმა** ჩაატარა საფუძვლიანი ჟურნალისტური გამოძიება და გადაიღო დოკუმენტური ფილმი იმის შესახებ, თუ რა ქონება შეჭამა და გაანიავა თამარ კინწურაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორობის დროს. ეს არის უზარმაზარი ქონება, რომელსაც **თამარ კინწურაშვილი** სააკაშვილის დასტურის გარეშე ხელს ვერ მოჰკიდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დაიჭერდნენ. ამიტომაც მოვუწოდებ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყეთ გამოძიება და ბორკილები დაადეთ თამარ კინწურაშვილს! **ამ ქალისა და მისი ბანდის გამოისობით სოციალურ ქსელებში ხმა ველარ ამოგვიღია. როგორც კი რამეს ვიტყვით, მაშინვე დაგვესევიან, დაგვბლოკავენ, შეზღუდვებს დაგვიწესებენ და არ გვახარებენ.** მთელი სოციალური ქსელები ამათია და ყველაფერს ესენი აკონტროლებენ, განსხვავებულ პოზიციას ვერ დააფიქსირებ. ხომ წარმოგიდგენიათ, ესენი რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ, რას იზამენ? ხალხს პირდაპირ ქუჩაში გაუსწორდებიან! აი, მაგალითად, თქვენ, ცნობილი ჟურნალისტი ხართ და რამდენჯერ დაგბლოკათ ამ ქალმა სოციალურ ქსელებში?



## „მოვუწოდებ საქართველოს გენერალურ პროკურატურას, დაუყოვნებლივ დაიწყეთ გამოძიება და ბორკილები დაადეთ თამარ კინწურაშვილს!“



**— დავიჯეროთ, ხელისუფლებაში არ იციან, რომ თამარ კინწურაშვილმა სახელმწიფო ქონება უკანონოდ მიითვისა, გაასხვისა ან გაანიავა?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ამ ყველაფრის შესახებ იცის! ისიც მესმის, რომ შესაძლოა, ხელისუფლებას არ სურს მორიგი სკანდალის აგორება, მაგრამ საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

## დღეს ხელისუფლებას იმდენად მაღალი რეიტინგი აქვს, არჩევნები რომ ჩატარდეს, „ქართული ოცნება“ პარლამენტში ჩვეულებრივ უმრავლესობას კი არა, საკონსტიტუციო უმრავლესობასაც კი მიიღებს!

ოპოზიცია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ესენი ფსიქიკური აშლილობის ბოლო სტადიაში შევიდნენ. **ნანუკა ჟორჟოლიანი** ხან ცხვრებს გამორეკავს რუსთაველზე, ხან — ბატებს და ხანაც ორგიებს აწყობენ ფლეშმობის სახით. აი, ეს არის დღევანდელი ოპოზიცია. ამას სიხარულით და კმაყოფილებით არ ვამბობ, რადგან ნორმალური და ჯანსაღი ოპოზიცია ქვეყანას სჭირდება, მაგრამ ესენი არიან მტრები, რომლებიც შევიდნენ სიგიჟის ბოლო სტადიაში. აი, სწორედ ეს გიჟები და მტრები უტევენ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის უახლოეს გარემოცვას — პრემიერის ერთგულ ხალხს!

**— მაინც ვის გულისხმობთ?**

— ირაკლი ღარიბაშვილისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ბატონი ირაკლი ხელისუფლებაში საერთოდ არ ყოფილა. ჩვენ ვიცით, როგორ დაიჭირეს მისი სიმამრი, **გენერალი თამაზ თამაზაშვილი,** რომელიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. ახლა, როცა ხელისუფლებაში უამრავი პორტირებული ნაცია, შესაშური ოპერატიულობითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა **ქალბატონი ნინო გიორგობიანი,** რომელიც საქართველოს მთავრობაში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებას ხელმძღვანელობს. **სწორედ მის ზურგზე გადადის ის საინფორმაციო ომი, რომელსაც გაგიჟებული ოპოზიცია დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ნებისმიერი ბინძური მეთოდით აწარმოებს,** მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევს. კარგია, რომ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში პრემიერ-მინისტრს გვერდით ასეთი ერთგული კადრი უდგას! ერთგულება მით უფრო დასაფასებელია გენეტიკური მოღალატეების ფონზე. დიახ, ბიძინა ივანიშვილს, ყველაზე მეტად ის ლანძღავს, ვისაც ჩააცვა, ოჯახის წევრი გადაურჩინა, უწამლა, დააპურა და ჭერი გაუჩინა. ვიღაც აშარი გამოხტება და აუცილებლად იკითხავს — კი მაგრამ, შენ რაღა გრჯის, ამ ხელისუფლებას რომ იცავო? არავითარი პრივილეგია და თანამდებობა ამ ხელისუფლებისგან არ მიმიღია, მაგრამ **ამდენ მოღალატესა და უსინდისოს რომ ვხედავ, თავს ვალდებულად ვრაცხ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და მის პოლიტიკურ კურსს დავუჭირო მხარი!**

**„ახლა, როცა ხელისუფლებაში უამრავი პორტირებული ნაცია, შესაშური ოპერატიულობითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა ქალბატონი ნინო გიორგობიანი, რომელიც საქართველოს მთავრობაში სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებას ხელმძღვანელობს. სწორედ მის ზურგზე გადადის ის საინფორმაციო ომი, რომელსაც გაგიჟებული ოპოზიცია დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ნებისმიერი ბინძური მეთოდით აწარმოებს!“**

**„ნაცჟურნალისტებს არ გამოუვიდათ ის, რაც საქართველოს დამაქცევრებმა 1991 წელს ჩაიდინეს, როცა ვაი-ჟურნალისტები ტელევიზიის კიბეზე წამოწვნენ და ასე დაუწყეს ბრძოლა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# დავით მარტიაშვილი:

# აკია,

## შე რუსეთის დაზვერვის გამოზრდილო პოლკოვნიკო, ვის რუსეთუმეობაზე ლაპარაკობ?

*— საქართველოსთვის საგარეო საფრთხეს ამძაფრებენ ნაციონალური მოძრაობა და მისი ანასხლეტები, რომლებიც სინამდვილეში მტრებისა და მოღალატეების ხროვას წარმოადგენენ და თურქეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ნაწილის ანექსიის საფუძვლებს ქმნიან!* ***— ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი გვარდიის ვიცე-პოლკოვნიკმა, გვარდიის ვეტერანთა კავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებისა და საქართველოსთვის ბოლო 30 წლის განმავლობაში თავს დატეხილი ყველა ომის ვეტერანმა, ამჟამად პოლიტიკური დევნილის სტატუსით ავსტრიაში მყოფმა***

*დავით მარტიაშვილმა:*

— ტელეეკრანებზე ხშირად ჩნდება ნაცების ახალი სახე — **პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძე,** რომელიც უკრაინაში მიმდინარე რუსეთ-ამერიკის ომში საქართველოს ჩათრევის პროპაგანდას ეწევა და ამ ახალი ამპლუით გენერალი **დევი ჭანკოტაძეც** უკან ჩამოიტოვა. **აკია ბარბაქაძეს, დევი ჭანკოტაძესა და მამუკა ყურაშვილს** 30 წელზე მეტია, ვიცნობ. პირდაპირ მინდა, გითხრათ, რომ **დღეს ნაცების მხარეს მათ ყოფნას სამშობლოს ღალატად ვაფასებ!** ეროვნულ მოძრაობაში 16 წლიდან ვარ. მონაწილეობა მივიღე ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბებაში, აქამდე არ მითქვამს და ახლა გავამხელ — **ეროვნული გვარდიიდან ვიყავი ერთ-ერთი პირველი ყარაული უზენაეს საბჭოში.** გვარდიიდან ზვიად გამსახურდიას დაცვაში, რომელიც ჯერ პრეზიდენტადაც არ იყო არჩეული, ვიყავით მე და **დევი ჭანკოტაძე,** რომელიც მაშინ ყარაულის უფროსი გახლდათ. შემდეგ მოხდა სახელმწიფო შეიარაღებული გადატრიალება.

**ჩემდა სამწუხაროდ, მაშინ მე – 18 წლის ჯარისკაცი – კანონიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოვჩნდი, რასაც**

**გულწრფელად ვნანობ, რადგან სწორედ კანონიერი ხელისუფლების დამხობით დაიწყო საქართველოში ყველა ის უბედურება, რომელთა შედეგებსაც დღემდე ვიმკით.**

მაშინ გაიხლიჩა და დღემდე არ აღდგენილა ქართველთა ერთობა. **საქართველო ვერასოდეს გაიმართება წელში, არც ეროვნული თანხმობა გვექნება, თუ სამართლიანობის აღდგენას იმ ტრაგიკული — კანონიერი ხელისუფლების დამხობის მომენტიდან არ შევუდგებით!**

**— ეს მოვლენები რა კავშირშია ნაცების მხარეს მყოფ ვეტერანებთან?**

— ანალოგიური მოვლენები საქართველოში ისევ შეიძლება განმეორდეს. ჩვენი ქვეყანა ახლა ზუსტად ისე, როგორც 1991 წლის მიწურულს, სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა. ყელამდე სისხლში გასვრილი ნაციონალური მოძრაობა ყველა საშუალებით ცდილობს ძალაუფლების დაბრუნებას. როცა ტელეეკრანზე ვუმზერ **აკია ბარბაქაძეს,** რომელიც ისტერიულ ანტირუსულ განცხადებებს აკეთებს და საომარ მოქმედებებში სახელმწიფოს დონეზე საქართველოს ჩართვას მოითხოვს, მახსენდება მისი როლი 1992 წელს საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში; **მახსენდება პერიოდი, როდესაც ის აფხაზეთის ომის დროს პირდაპირ რუსი გენერლების დირექტივებს ასრულებდა!** ჩემგან განსხვავებით, რომელმაც არაერთხელ მოვინანიე 18 წლის ასაკში კანონიერ ხელისუფლებასთან დაპირისპირება და პუტჩში მონაწილეობა, **არ მახსენდება, აკია ბარბაქაძეს ერთხელ მაინც გამოეთქვას სინანული და ახლაც იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორსაც ავბედით 1992-93 წლებში!** ყველა გამოსვლაში მანიპულირებს ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობით, პირველი პრეზიდენტის სახელით, აქტებით, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას საფუძვლად დაედო... მაგრამ არ გმობს ამ აქტების შემოქმედის, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში საკუთარ როლს და ამფსონებთან ერთად ახალი სისხლისღვრისთვის ემზადება! **ჩემი — 18 წლის გვარდიელის დანაშაული თბილისში დასრულდა, მე მათგან განსხვავებით, დევნილი პრეზიდენტისთვის ტყე-ტყე არ მიდევნია და არც მისი პირადი ავტომობილით, „გაზ-31“-ით მისეირნია დედაქალაქში!**

**— ვინ სეირნობდა?**

— ეროვნული გვარდიის მა-




**„როცა ტელეეკრანზე ვუმზერ აკია ბარბაქაძეს, რომელიც ისტერიულ ანტირუსულ განცხადებებს აკეთებს და საომარ მოქმედებებში სახელმწიფოს დონეზე საქართველოს ჩართვას მოითხოვს, მახსენდება მისი როლი 1992 წელს საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობაში!“**

**„მათ, პირველ რიგში, პუტჩში მონაწილეობა უნდა მოეკითხოთ, სწორედ დევი ჭანკოტაძე იყო არტილერიის უფროსი, როცა მთავრობის სახლს ჰაუბიცებს ესროდნენ!“**



გენერალი მამუკა ყურაშვილი



გენერალი დევი ჭანკოტაძე

## კვირგვინოსნები



**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

მიგვიფურთხებია **„დიდი შვიდეულის“** მიერ ახალი საზღვრების არაღიარებისთვის.

„რეზონანსი“



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

მე არამხოლოდ ვვარაუდობ, რომ **ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფს განზრახული ჰქონდა საქართველოსა და მოლდოვის ჩართვა ამ ომში,** არამედ ვიცი კონკრეტული ფაქტები. მათ შორის, **აქ უცხოეთის ზოგიერთი წარმომადგენელიც ზრუნავდა ამ ამოცანის შესრულებაზე.**

„თბილისელები“



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*პოლიტიკოსი, უფლებადამცველი*

რუსეთი თუ დაიშლება, **საქართველო, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს** — მას მუსულმანური გარემოცვა მთლიანად შთანთქავს.

„საერთო გაზეთი“



**დემურ გიორხელიძე**
*ანალიტიკოსი*

**ყველაზე მთავარი უბედურება უკრაინას ჯერ კიდევ წინ აქვს.** სულ მოკლე ხანში ეს დაპირისპირება უკრაინისთვის ძალიან ცუდად დასრულდება. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვთქვი: **თუ უკრაინაში საომარი მოქმედებები დაიწყება, როდი ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა მთავარი სამიზნეა, ეს ყველაფერი უკრაინას გასცილდება-მეთქი.** ახლა უკვე აშკარად ისახება, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდება.

„საერთო გაზეთი“



**ლია მუხაშავრია**
*იურისტი*

მე ველოდები **პუტინის დაპატიმრებას,** ის უნდა დაისაჯოს!

„კვირის პალიტრა“

**„რაც შეეხება მამუკა მამულაშვილს, უკრაინაში მაგ კაცის ნაბრძოლი მე არ მინახავს. ნაცებს მინდა, ვურჩიო – ამ ტელევარსკვლავს ვიდრე ეთერში გაიყვანენ ხოლმე, ვინმემ ორი მუჭა მტვერი მაინც მიაყაროს, თორემ უხერხულია დენთით გამურული ხალხის ფონზე მუდმივად კოპწია მდგომარეობაში, დაუთოებული კამუფლაჟით რომ იძლევა ინტერვიუს!“**



უკრაინაში „ქართული ლეგიონის“ მეთაური მამუკა მამულაშვილი

შინდელი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი **დევი ჭანკოტაძე!** იმის მიუხედავად, რომ **აკია ბარბაქაძეს, დევი ჭანკოტაძეს** და, გარკვეულწილად, **მამუკა ყურაშვილსაც** ჩემთან ურთიერთობაში კაცურად ბევრი შეეშალათ, მე პირადულის გამო არ განვიკითხავ, მაგრამ, პირველ რიგში, მათ სამშობლოსთან შეეშალათ და ახლაც ეშლებათ! **პირადული რომ მაწუხებდეს, აკია ბარბაქაძეს პასუხს მაშინ მოვთხოვდი, როცა მისი „წყალობით“ ჩემთვის დახვრეტის მუხლით გამოტანილ სასჯელს თავი დავაღწიე და ციხიდან გავთავისუფლდი.** მათ, პირველ რიგში, პუტჩში მონაწილეობა უნდა მოეკითხოთ, სწორედ დევი ჭანკოტაძე იყო არტილერიის უფროსი, როცა მთავრობის სახლს ჰაუბიცებს ესროდნენ! ამიტომ რისხვა მიპყრობს, როცა ახლა ისინი ზვიადისტების სახელით მანიპულირებენ. **მეომრების ნაწილმა, რომლებიც იმ ავბედით პერიოდში ერთმანეთს ტყვიებს ვუშენდით, შევძელით ერთმანეთთან მისვლა და ხელის ჩამორთმევა, შევრიგდით, რაც ამათ არ გაუკეთებიათ, ამიტომ ახლა ვერ დავიჯერებ, რომ ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები შეუყვარდათ.**

იმაზე სამარცხვინო რა უნდა იყოს ვეტერანი მეომრისთვის, ნაცებისა და მოღალატეების რიგებში ჩადგეს! პირდაპირ გეუბნებით — რასაც დღეს რუსული ისტერიით ფუთავენ, ხელს უწყობს თურქეთიდან მოსალოდნელ ოკუპაციას! **აკია ბარბაქაძე პირდაპირ ამ სცენარს ემსახურება დევი ჭანკოტაძისგან განსხვავებით, რომელსაც ჭკუა ჰყოფნის, ამ სამარცხვინო კამპანიას გაერიდოს და დროებით ამ თემაზე ხმა საერთოდ არ ამოიღოს!** რაც შეეხება **მამუკა მამულაშვილს,** უკრაინაში მაგ კაცის ნაბრძოლი მე არ მინახავს. ნაცებს მინდა, ვურჩიო — ამ ტელევარსკვლავს ვიდრე ეთერში გაიყვანენ ხოლმე, ვინმემ ორი მუჭა მტვერი მაინც მიაყაროს, თორემ უხერხულია დენთით გამურული ხალხის ფონზე მუდმივად კოპწია მდგომარეობაში, დაუთოებული კამუფლაჟით რომ იძლევა ინტერვიუს.

ყველაზე ჭკვიანი მაინც დევი ჭანკოტაძეა, რომელიც კარგად ხვდება, რომ საქართველოს ომში ჩათრევის პროპაგანდა მოსახლეობაში აგრესიას იწვევს, ამიტომ ამ პროპაგანდის ასპარეზი **აკია ბარბაქაძეს** დაუთმო. დევიმ ჭკუა ისწავლა, რადგან ცოტა ხნის წინ ანალოგიური აქტიურობის პასუხად ვეტერანებმა 2008 წლის ომის შემდეგ ასობით ოფიცრისა და ჯარისკაცის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა შეახსენეს. როცა პირადად დამეტაკნენ ნაცები და ბიზნესს მართმევდნენ, ეროვნული თავდაცვის აკადემიის ახლანდელი რექტორი, გენერალი **მამია ბალახაძე** და გენერალი **გიგი კალანდაძე,** ორივე დევი ჭანკოტაძის ხელქვეითი ბრძანდებოდა! მახსოვს, როგორ ამიგდო სიტყვა ბანზე, როცა ვთხოვე — **დევი, ნუ წამართმევენ ქონებას, ოჯახი დამელუპება-მეთქი...**

**— თურქეთიდან მოსალოდნელი ანექსია ახსენეთ და რითი უკავშირდება ეს საფრთხე ნაცების მხარეს მყოფი ვეტერანების რიტორიკას?**

— **აკია ბარბაქაძისგან** განსხვავებით, **დევი ჭანკოტაძე** კარგად ხვდება, საით მიჰყავთ ნაცებს მოვლენების განვითარება. კერძოდ,

**ქართული შეიარაღებული ძალების აფხაზეთში ან სამაჩაბლოში შეჭრას აუცილებლად მოჰყვება თურქეთის ჩარევა, რაც უთუოდ დასრულდება ბათუმისა და სამცხე-ჯავახეთის ანექსიით.**

მთელი ნაცმოძრაობა, პირადად სააკაშვილი და დედამისიც — ამჟამად თურქეთის პროექტებს წარმოადგენენ. დიახ, **ნაცები დღეს ანტირუსული ისტერიის საფარველით ჩვენს ქვეყანას თურქეთისკენ მიაქანებენ!** გაიხსენეთ, რომ თურქეთი უკვე შემოვიდა და ჩადგა ამიერკავკასიაში, კერძოდ — აზერბაიჯანში. საქართველოში კი თურქებს ძალიან დიდი რესურსი აქვთ ჩადებული და სერიოზული გათვლებიც გააჩნიათ. ბედი ჩვენი, რომ ნაცების მომხრე ვეტერანებს საზოგადოებაში ავტორიტეტი არ გააჩნიათ. **აკია ბარბაქაძემ ავტორიტეტი ჯერ კიდევ იმ დროიდან დაკარგა, როცა ედუარდ შევარდნაძის საამებლად იმ კაცის დაჭერაში მიიღო მონაწილეობა, რომელმაც მას — სამხედრო განათლების არმქონეს — პოლკოვნიკის წოდება მიანიჭა. საუბარია თენგიზ კიტოვანზე!** აკია ბარბაქაძეს, წესით, მძიმე პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა იმ სამხედრო ოპერაციების გამო, რომელთაც მრავალი ჩვენი ვაჟკაცი თანამებრძოლი შეეწირა.

**ვაცხადებ საჯაროდ: მას სამხედრო ოპერაციებს რუსეთის დაზვერვა უგეგმავდა, დღეს კი ეს უნამუსო ადამიანი ტელეეკრანიდან ვილაცებს რუსეთუმეობას აბრალებს!**

**— ეს სერიოზული ბრალდებაა. კონკრეტულად, ვინ უგეგმავდა ოპერაციებს?**

— ვეტერანებს უთუოდ ეხსომებათ გაგრაში 1992 წლის 30 აგვისტოს ბრძოლა, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „ბრძოლა წითელ ჯვართან“. გაგრის ფრონტს მაშინ **აკია ბარბაქაძე** ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი მრჩეველი გახლდათ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელის, გენერალ **მარუსინის** მოადგილე, პოლკოვნიკი **ალექსანდრე კლოჩკოვი.** გვარწმუნებდნენ, რომ კლოჩკოვი ჩვენ მხარეს იყო გადმოსული, მაგრამ ეს ლამაზი ლეგენდა აღმოჩნდა, რადგან აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ კლოჩკოვი გენერალ მარუსინის მოადგილედ მოგვევლინა! მაშინ პირადად მე შეტევაზე გადასასვლელად ფრონტის სარდლის **აკია ბარბაქაძის** გაცემული ბრძანება მივიღე, რომელიც, რეალურად, კლოჩკოვისგან მოდიოდა! რამდენიმე ბატალიონი უნდა გავსულიყავით ბზიფის მიმართულებით, მაგრამ წითელ ჯვარს ვერ გავცდით. ბრძოლა დაიწყო დაუგეგმავად, მმართველობის გარეშე, რამაც შედეგად ის მოიტანა, რომ ამ ბატალიონებმა შეცდომით ტყვია ერთმანეთს დაუშინეს! იმ დღეს ასობით მეომარი დავკარგეთ დაჭრილებისა და დაღუპულების სახით. მეტსაც გეტყვით — **აკია ბარბაქაძე გერმანიაში სასწავლებლად სწორედ კლოჩკოვის, ანუ, ფაქტობრივად, რუსეთის სამხედრო დაზვერვის დახმარებით გაემგზავრა!** აკია იმ ფაქტს ვერ გაექცევა, რომ იმ საბედისწერო დღეს შეტევის ბრძანება კლოჩკოვის რეკომენდაციით გასცა, პირადად მე, როგორც მეთაურს, იმ დღეს 35 მეომარი დამეჭრა! დაჭრილები სიცოცხლის რისკით სხვა მეომრებმა გამოიყვანეს და ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი თვით **მამუკა ყურაშვილი** რომ სიკვდილს გადაურჩა, ესეც ჩემი ბიჭების დამსახურებაა! შემდეგ, როცა ამ ბიჭების დასაჯილდოებლად აკიას საბუთები წარვუდგინე, ამ უბოროტესმა კაცმა უკან გადმომიყარა! ახლა მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და „ასავალ-დასავალის“ ფურცლებიდან მივმართო: **აკია, შე რუსეთის დაზვერვის გამოზრდილო! შენ ვის რუსეთუმეობაზე ლაპარაკობ? გგონია, რადგან საქართველოს უახლესი ისტორია გადაწერეთ, ამის გამო ყველას ყველაფერი დაავიწყდა? გახსოვდეს — ჯერ ცოცხლები ვართ, ვისაც შენი საქციელები ნანახი გვაქვს და ერთ მშვენიერ დღეს ყველაფრის გამო უმკაცრესად მოგთხოვთ პასუხს!**

**— დავუშვათ, ნაცების მომხრე ვეტერანებმა მაინც სცადეს ქვეყანაში არეულობის მოწყობა. არიან ისეთი ვეტერანები, რომლებიც მათ ავანტიურას აღუდგებიან და აღკვეთენ?**

— უბედურება ის არის, ნაცების მომხრე კადრები უშიშროების სტრუქტურებშიც რომ არიან მოკალათებულები. სწორედ ისინი ეწევიან საბოტაჟს და ემზადებიან, რათა კონკრეტულ მომენტში გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგან ხელისუფლების, სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ახლახან აკია ბარბაქაძემ ერთ-ერთ გამოსვლაში ახსენა **„ტერიტორიული თავდაცვის ძალების“ პროექტი.** პრემიერ-მინისტრის ყველაზე სანდო მოკავშირე სწორედ **ვეტერანთა ბატალიონი** იქნება, როცა ქვეყნის მეთაური შიდა საფრთხეების აღკვეთას და ძალოვანი სტრუქტურებიდან საბოტაჟის გამწევი ნაცი კადრების დათხოვნას შეუდგება!

**„პირდაპირ გეუბნებით – რასაც დღეს რუსული ისტერიით ფუთავენ, ხელს უწყობს თურქეთიდან მოსალოდნელ ოკუპაციას!“**




*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები


**ნიკა ჩიტაძე**
*პოლიტოლოგი*

**ოპოზიცია „ოცნებასთან“ საინფორმაციო ომს აგებს.** რადგან მმართველმა გუნდმა დააჯერა საზოგადოება, **რომ ერთადერთი ძალაა, რომელმაც შეძლო, რომ ქვეყანა ომში არ ჩართულიყო,** რაც ვერ შეძლო წინა ხელისუფლებამ 2008 წელს და პროვოკაციას წამოეგო.

„რეზონანსი“


**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*

ყოფილი პრეზიდენტი, **„აღმოსავლეთის ვარსკვლავი“,** თვით ბელადი გვყავს ციხეში და **ევროკავშირის კითხვარს გვაძლევენ,** მისი მონა-მორჩილი თუ დააპატიმრეს, **ევროკავშირის კარს გვიხურავენ?**

„იმედინიუსი“


**მამუკა ტუსკაძე**
*„სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი*

შეიძლება, **მიხეილ სააკაშვილი** ვადაზე ადრე გათავისუფლდეს, მაგრამ **მანამდე მან უნდა განიცადოს ის, რაც ათიათასობით პატიმარმა განიცადა მისი მმართველობის პირობებში.**

„ახალი თაობა“


**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*

**სანქციებს** მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში დაუწესებენ — **თუ აღმოჩნდება, რომ ივანიშვილი მართლა თანამშრომლობს რუსეთთან.** სხვა შემთხვევაში **სანქციები** არ იქნება, ტყუილად ნუ მოვიტყუებთ თავს.

„კვირის პალიტრა“


**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*

**ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების ობიექტური საფუძველი არ არსებობს** და ოპოზიციის მიერ მხარდამჭერებში ცრუიმედის შექმნა დიდი გაწბილებით დასრულდება.

„კვირის პალიტრა“

პუტინმა სააკაშვილის ცინიზმი საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში ე.წ. **„აჭარის რევოლუციის“** შესახებ დეტალურ თხრობას ასლან აბაშიძესთან დაპირისპირებაში რუსეთის ფაქტორის განხილვით აგრძელებს! ის იხსენებს, აჭარაში ვითარების გამწვავების კვალობაზე, როდესაც ააფეთქეს ეგრეთ წოდებული ჩოლოქის ხიდი და როგორ გამოიყვანა რუსეთმა აბაშიძის დასახმარებლად ტანკები ბათუმის ბაზიდან:

> ***„რუსებმა აბაშიძის მხარდაჭერა სცადეს. თავიანთი ბაზიდან ბრონეტრანსპორტიორი და ტანკი ტ-72 გამოუშვეს, რათა მას ეს ტექნიკა ე.წ. საზღვარზე დაეყენებინა. ბათუმის ყველა სასტუმროში მივლინებით უეცრად ჩამოსული რუსი ოფიცრები დააბინავეს. რუსეთის ტელევიზია მუდმივად აწარმოებდა მის სასარგებლო პროპაგანდას. აი, ეს არის, პრინციპში, მთელი დახმარება, რომელიც აბაშიძემ რუსეთიდან მიიღო“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 82).*

მემუარისტი ჩვეულებას ვერც აქ ღალატობს და ისევ ცრუობს: **ბათუმის ყველა სასტუმროში მივლინებით უეცრად ჩამოსული რუსი ოფიცრები დააბინავესო,** რაც მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, რუსეთს ბათუმში ამდენი ოფიცრის გამოგზავნა არ სჭირდებოდა, რადგან ისინი თავის აჭარულ ბაზაზეც არ აკლდა! მეორეც, როგორი სულელი უნდა ყოფილიყო რუსული სპეცსამსახური, რომ ასე, შუაგულ ბათუმში, სასტუმროებში დაებინავებინა ასლან აბაშიძის დასახმარებლად გამოგზავნილი თავისი ოფიცრები! მაგრამ სააკაშვილმა ხომ უნდა იტრაბახოს — ნახეთ, მთელი ბათუმი გაავსო რუსეთმა ჩემ წინააღმდეგ დაგეშილი სამხედრო დაზვერვის ოფიცრებითო!

არადა, იქვე თავადვე ამბობს — **აი, ეს არის, პრინციპში, მთელი დახმარება, რომელიც აბაშიძემ რუსეთიდან მიიღოო!** შე კაი დედმამიშვილო, თუ რუსეთს ასე სწადდა ასლან აბაშიძის დახმარება, როგორმე მოახერხებდა და როდესაც თავადვე აღიარებ, რუსეთი ასლან აბაშიძეს ხელისუფლების შესანარჩუნებლად ასე უგერგილოდ დაეხმარაო, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კრემლს დიდად არც მოუკლავს თავი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასლან აბაშიძის ხელისუფლების დასაცავად!

ამის შემდეგ, მომდევნო აბზაცშივე სააკაშვილი კიდევ ერთ ისტორიულ აღიარებით ჩვენებას იძლევა:

> ***„შემდგომში მოვლენები სპონტანურად განვითარდა. CNN-ის გადამღები ჯგუფი ბათუმში უნდა გამგზავრებულიყო. თათბირზე განვაცხადე, რომ ჩვენს აქტივისტებს მიტინგი უნდა გაემართათ, რათა ტელევიზიის ჟურნალისტებს გადაეღოთ. „მათ ხომ სცემენ“ — შემეკამათნენ. მათ კი ვუპასუხე, რომ თუნდაც ათი წუთი რომ გაეძლოთ, მათ ტელევიზიით აჩვენებდნენ და ყველა გაიგებდა, რომ ბათუმში არიან ადამიანები, რომლებსაც თავიანთი პოზიცია გააჩნიათ“*** *(იქვე, გვ. 82).*

როგორც ხედავთ, **სააკაშვილი ოცნებობდა, აჭარელი აქტივისტები როგორმე ამერიკელი ჟურნალისტების კამერების წინ ეცემათ!** წარმოიდგინეთ, როდესაც თავად სენსაციებზე მონადირე ჟურნალისტებიც კი გაოგნებულები ეკამათებიან სააკაშვილს, როგორ შეიძლება შენი მომხრეების ასე გაწირვა? სააკაშვილი კი პირდაპირ, დაუფარავად პასუხობს — **მთავარია, ათი წუთი გაძლონ, რომ მათი დარბევა ტელევიზიებმა გაავრცელონო!**

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, რომ „სი-ენ-ენ“-ის გადამღები ჯგუფი ბათუმის აქტივისტთა აქციაზე არ მისულა, ანუ ამერიკელმა ჟურნალისტებმა დაინახეს რა, სააკაშვილის უზნეობა და თავისი მომხრეების „საზარბაზნე ხორცად“ გამოყენების მცდელობა, დაჰკრეს ფეხი და საქართველოდან გაფრინდნენ! და ის, რომ „სი-ენ-ენ“-მა სააკაშვილის გეგმები ჩაშალა და ამ ბინძურ თამაშში მონაწილეობა არ მიიღო, ეს მათზე განაწყენებულმა მემუარისტმა საგანგებოდ აღნიშნა — **„სი-ენ-ენი“ შუა რევოლუციიდან გაიქცაო!**

ამის შემდეგ სააკაშვილი იხსენებს, როგორ დაურეკა **პუტინმა:**

> ***„პუტინმა დამირეკა. მითხრა, რომ ივანოვს უშვებდა ჩვენთან მოსალაპარაკებლად. ვუპასუხე, რომ ჩემი ერთადერთი პირობა — აბაშიძის წასვლა იყო. „ეს ყველა ვარიანტში მოხდება, მაგრამ ჩვენ რუსეთის დიდი მადლობელი ვიქნებით, თუკი დაგვეხმარებით“. „კარგი“ — მიპასუხა მან — „შენ ივანოვს პოლიტიკურ გარანტიებს მისცემ და ის ბათუმში ჩამოფრინდება. მაგრამ შენ უნდა გესმოდეს, რომ აბაშიძეს უკან აღარ დავაბრუნებთ“. „წაიყვანეთ, ღმერთმა შეგარგოთ“. პუტინი კი მეუბნება: „კარგი, ივანოვი მოფრინავს“*** *(იქვე, გვ. 82).*




## როგორ უბრძანა მიხეილ სააკაშვილმა ჯავშანტექნიკას აჭარაში საომარი მოქმედების დაწყება!

დამეთანხმებით, ცოტა აბსურდული დიალოგია! რბილად რომ ვთქვათ, ცოტა არალოგიკურია, თითქოსდა პუტინი სააკაშვილს ეუბნებოდა — **აბაშიძეს თუ წავიყვანთ, იცოდე, უკან აღარ დავაბრუნებთო!** სააკაშვილსაც ხომ ეს სურდა! აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სააკაშვილი კვლავ ცრუპენტელობს, თითქოს სატელეფონო საუბრისას ასე ცინიკურად ეანგლა პუტინს — **თუ წაიყვანთ, წაიყვანეთ ასლან აბაშიძე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო!**

სააკაშვილის მიერ **იგორ ივანოვის** საქართველოში ჩამოფრენის ამბის აღწერისას თვალნათლივ იკვეთება, რომ ზემოთ ნახსენებ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების სატელეფონო საუბარში მთლად ყველაფერი ისე არ იყო, როგორც ეს სააკაშვილმა გადმოსცა:

> ***„იმის მაგივრად, რომ ჩვენთან*** *(ანუ თბილისში — გ.გ.)* ***ჩამოფრენილიყო, ივანოვი პირდაპირ ბათუმში დაეშვა. დავურეკე და ვუთხარი, რომ ასეთი მოლაპარაკება არ გვქონია: „ჩვენ თბილისში გელოდით, გარანტიები რომ მოგვეცა აბაშიძის წასვლის შემთხვევაში“, ივანოვმა კი მიპასუხა, რომ მისთვის არაფერი უთქვამთ აბაშიძის წასვლის შესახებ: „პრეზიდენტმა სრულიად სხვა რამ მითხრა. მე აქ თქვენს შესარიგებლად ჩამოვედი. რა თქმა უნდა, დათმობა მოუწევს, მაგრამ თქვენც უნდა დათმოთ რაღაც. აქ რამდენიმე დღეს დავყოფ, რათა ყველაფერი ჩაწყნარდეს, შემდეგ კი თქვენთან ჩამოვალ. ან იქნებ, ბათუმში შევხვდეთ სამივე, ან სადმე საზღვარგარეთ. სად გვეჩქარება?“ — „კარგი“ — ვუპასუხე. ე.ი. ჩვენ ვერ მოვილაპარაკეთ. ყურმილი დავკიდე და ჩვენს ბრონეტრანსპორტიორებს ვუბრძანე, გაერღვიათ ადმინისტრაციული საზღვარი, იმის გამო, რომ აბაშიძე, არსად წასვლას არ აპირებდა“*** *(იქვე, გვ. 82).*

მემუარისტს სურს, დაგვარწმუნოს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა, რომელიც მას სატელეფონო საუბრისას შეჰპირდა — **ასლან აბაშიძეს აჭარიდან მოსკოვში წავიყვანთო** — თავის საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოში გამოფრენის წინ დაუმალა, რა შეთანხმებასაც მიაღწია სააკაშვილთან! ეს ხომ იმხელა აბსურდია, რომლის მოგონებაც მხოლოდ სააკაშვილისნაირი უსაზღვრო და არცთუ ჯანსაღი ფანტაზიის არსებას თუ შეუძლია!

თუმცა, აქ მთავარი ის არის, რაც სააკაშვილმა თავისი პირითვე აღიარა — მოსკოვიდან პირდაპირ ბათუმში ჩაფრენილ ივანოვთან სატელეფონო საუბრის შემდეგ ყურმილი დავკიდე თუ არა, მაშინვე ჩვენს „ბრონეტრანსპორტიორებს“ ვუბრძანე, გაერღვიათ ადმინისტრაციული საზღვარი **იმის გამო, რომ აბაშიძე არსად წასვლას არ აპირებდაო!** ანუ, სააკაშვილის გადმოცემით, მან, არც მეტი, არც ნაკლები, ასლან აბაშიძისეული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დასამხობად აჭარაში საომარი მოქმედების ბრძანება გასცა!

მემუარისტი ასე აღწერს ჯავშანტექნიკის შტურმს ჩოლოქის ხიდისკენ:

> ***„ფორმირებამ, რომელიც საზღვარს იცავდა*** *(ანუ ჩოლოქის ხიდთან რომ იდგა — გ.გ.)* ***ჰაერში დაიწყო სროლა, მაგრამ ჩვენი ბრონეტრანსპორტიორები არ გაჩერდნენ და გზა განაგრძეს. მათ უკან გაჰყვა პრემიერ-მინისტრი და ფეხით გადაკვეთა საზღვარი. ისიც გადაუშვეს. მოგვიანებით, ადმინისტრაციულ საზღვართან გადებულ ამ ხიდს „ჟვანიას ხიდი“ ვუწოდეთ“*** *(იქვე, გვ. 83).*

კი მაგრამ, რას ნიშნავს **ჟვანიაც** „გადაუშვეს“?! ანუ ჩოლოქის ხიდთან მდგარმა ასლან აბაშიძის შეიარაღებულმა ძალოვნებმა ჯერ სააკაშვილის ჯავშანტრანსპორტიორები გადაუშვეს და შემდეგ პრემიერი ჟვანიაც?! თუ ჯავშანტრანსპორტიორებმა გაარღვიეს დამცავი ზღუდე, ეს „ჟვანიას გადაშვება“ ძალიან აბსურდულად ჟღერს, რადგან პრემიერს აღარავის „გადაშვება“ აღარ უნდა დასჭირვებოდა?!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ არავითარი ჯავშანტექნიკით გარღვევა არ ყოფილა და მთელმა საქართველომ იხილა სატელევიზიო კადრები, როგორ დახვდნენ ჩოლოქზე ფეხით გადასულ პრემიერ ჟვანიას ასლან აბაშიძის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებთანაც ჩვეულებრივი და ნორმალური მოლაპარაკება გაიმართა! აი, მემუარისტი კი ამტკიცებს, რომ პრემიერი ჟვანია ლამის სპეცდანიშნულების რაზმის მედესანტესავით გადავიდა ჩოლოქის ხიდზე, ჯავშანტრანსპორტიორებით შტურმის კვალდაკვალ.

და ამის შემდეგ სააკაშვილი ექსტაზში შესული იმავე სამხედრო-სპეცოპერაციულ სტილში, აგრძელებს შეთხზვას:

> ***„და აი, ორმოცდაათი „ბეტეერი“ ბათუმისკენ მიემართება. იქ კი, აბაშიძის რაზმები ჰაერში ისვრიან, სულ უფრო ახლოს და ახლოს ადამიანის თავების მაღლა“*** *(იქვე, გვ. 83).*

რომელი ადამიანის თავების მაღლა?! თუ ბათუმისკენ ორმოცდაათი „ბეტეერის“ კოლონა მიარღვევდა გზას, მათზე მჯდარი ადამიანების თავების მაღლა ისროდნენ?! რა თქმა უნდა, არა! ეტყობა, სააკაშვილმა ისიც არ იცის, რომ ჯავშანმანქანის თავზე, ტანკისგან განსხვავებით, ვერ წამოჯდები! მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ მემუარისტმა ბათუმზე მისი ბრძანებით წასული არარსებული ჯავშანმანქანების მთელი ეს დრამატიზმით აღსავსე შტურმი გადმოსცეს!

ახლა ნახეთ, როგორ აღწერს მემუარისტი **ასლან აბაშიძისა** და **იგორ ივანოვის** დიალოგს:

> *„აბაშიძე ივანოვს ეუბნება:* ***„ისინი ჩემს თვითმფრინავს ჩამოაგდებენ, თქვენ რაც გინდათ, ის ქენით, მე კი თქვენი თვითმფრინავით მივფრინავ. თქვენ, თუ სურვილი გაქვთ, დარჩით“.*** *ივანოვმა ამაზე უპასუხა (ამის შესახებ თავადვე მომიყვა მერე):* ***„ასლან, გარანტიას გაძლევ, რუსული სამხედრო დაცვის ქვეშ აგიყვანთ. შენ თავს არავის დავაჩაგვრინებთ. ახლა, მთელი ბათუმი გადავკეტოთ, დარჩი. ისინი აქ ვერ შემოვლენ, ჩვენ გაცილებით მეტი ძალები გვყავს“.*** *აბაშიძე პასუხობს:* ***„ჩემთვის სულერთია, მე მივემგზავრები“.*** *დაჯდა მანქანაში და აეროპორტისკენ წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ მას ივანოვიც შეუერთდა, ეტყობა, პუტინთან დალაპარაკების შემდეგ. ისინი გაფრინდნენ. როგორც კი მომახსენეს, რომ მათი თვითმფრინავი აფრინდა, გამოვედი, ეს იყო ღამის 3-ის ნახევარი და ვთქვი —* ***„ასლანი გაიქცა, აჭარა თავისუფალია!“*** *(იქვე, გვ. 83).*

ამ ერთ აბზაცში გადმოფრქვეული აბსურდული ფანტაზიებით სააკაშვილმა მუცელმეზღაპრეობის მანამდე დამყარებული ყველა საკუთარი რეკორდი მოხსნა!

**სააკაშვილს თუ დავუჯერებთ,** ბათუმისკენ გზის მიმპობი იმ ლეგენდარული 50 ჯავშანმანქანის შტურმის ფონზე **ასლან აბაშიძემ** უარი თქვა რუსეთის სამხედრო დახმარებაზე და **იგორ ივანოვს** გაასწრო აეროპორტში მოსკოვში გასაფრენად!

**სააკაშვილს თუ დავუჯერებთ,** შეშინებულმა ასლან აბაშიძემ თვით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გასტაცა სამთავრობო თვითმფრინავი და ასე გაიქცა — მე მივფრინავ და შენ თუ გინდა, დარჩიო!

**სააკაშვილს თუ დავუჯერებთ,** იგორ ივანოვი ისეთი ტუტუცია, რომ მას თავად რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოუყვა, როგორ აპირებდა რუსეთი ასლან აბაშიძის ხელისუფლების დასაცავად საქართველოში ომის დაწყებას, ბათუმში ტანკების გამოყვანას და ქალაქის გადაკეტვას, ასლან აბაშიძემ კი გაქცევა ამჯობინა! მაგრამ, მართლაცდა ერთუჯრედიანი იმბეცილი უნდა იყო, რომ სააკაშვილის ამ მონათხრობ-მონაჭორს დაუჯერო!

**რუსეთს რომ სდომოდა, ასლან აბაშიძის ხელისუფლებასაც გადაარჩენდა და სააკაშვილს აჭარაში არც კი შეასუნინებდა! რუსეთს რომ მართლა სდომოდა, ასლან აბაშიძესაც დაარწმუნებდა, აჭარაში მმართველად დარჩენილიყო და მას არც კი ჰკითხავდა, ისე მოახდენდა ბათუმისა და, საერთოდ, მთელი აჭარის ბლოკირებას!** ფაქტი ის არის, რომ რუსეთმა თავად დაარწმუნა ასლან აბაშიძე, დაეტოვებინა აჭარა და მოსკოვისათვის შეეფარებინა თავი! და ისიც ფაქტია, რომ ამის სანაცვლოდ, რუსეთმა სააკაშვილისაგან რაღაც უფრო დიდი რამის გარანტია მიიღო, ვიდრე აჭარის მისთვის დათმობა იყო!

**და რაც მიიღო რუსეთმა სააკაშვილისაგან, ეს 2008 წლის აგვისტოში ნათლად გამოჩნდა, როდესაც ჩრდილოელ მეზობელს, სააკაშვილის დიდი მეცადინეობით, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ლანგრით მიართვეს!** სააკაშვილის მიერ რუსეთისათვის 30-ზე მეტი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის მიყიდვაზე აღარაფერს ვამბობთ!

აი, ეს არის ე.წ. „აჭარის რევოლუციის“ რეალური ისტორია!

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

***ცნობილი ქართველი ანალიტიკოსი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА***

***ცნობილი ქართველი ანალიტიკოსი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა მიიჩნევს, რომ ანგლოსაქსები ევროპაში დიდხანს ეძებდნენ ძალას, რომელიც რუსეთისთვის სადგისის ფუნქციას შეასრულებდა და, ბოლოს და ბოლოს, ასეთი სახელმწიფო უკრაინის სახით იპოვეს:***

**„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ შეცდომა არ დაუშვია!“**



— ომისთვის, რომელიც უკრაინაში მძვინვარებს, უკრაინა უფრო ემზადებოდა, ვიდრე რუსეთი. ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს ევროპაში სჭირდებოდათ ისეთი ქვეყანა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იომებდა. სწორედ ასეთ ქვეყნად შეარჩიეს უკრაინა, სადაც 2014 წელს მოაწყვეს გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში მოიყვანეს თავიანთი აგენტურა. ბოლოს შეჯერდნენ კომიკოსზე, რომელსაც უმოკლეს ხანში შეუქმნეს რეიტინგი და გააპრეზიდენტეს...

**— ბატონო იგორ, ფაქტია, რომ უკრაინაში რუსეთი შეიჭრა და არა პირიქით!**

— მაგრამ ამერიკა და ბრიტანეთი ამ ომისთვის ემზადებოდნენ! უკრაინამ ამერიკისთვის უნდა შეასრულოს ზუსტად იგივე მისია, რასაც ისრაელი ასრულებს არაბულ სამყაროში. ფაქტია, რომ ისრაელი არის ამერიკული სადგისი არაბული სამყაროს საჯდომში. **კავკასიაში რუსეთისთვის ასეთი სადგისის ფუნქციას ასრულებს საქართველო, ხოლო ევროპაში ამერიკასა და ბრიტანეთს რუსეთის საჯდომისთვის სადგისი არ ჰქონდათ და ამისათვის, როგორც იქნა, გამონახეს უკრაინა. აი, ეს არის მთელი ამ ამბის თავი და ბოლო...**

**— ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რას უკავშირდება სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლა?**

— უკრაინაში სააკაშვილის დანიშვნა მაღალ და სერიოზულ თანამდებობებზე დაკავშირებულია ისევ და ისევ ამერიკელებთან. სააკაშვილი არ არის ცოტნე დადიანი, თავი გაეწირა და საქართველოში გარანტიების გარეშე ჩამოსულიყო. სააკაშვილის ჩამოსვლის შესახებ საქმის კურსში იყო უკრაინის ხელისუფლება და ეს ამბავი ზელენსკის გარეშე არ მომხდარა. თანაც სააკაშვილს იმედი ჰქონდა, რომ ვერ დაიჭერდნენ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ყველაფერი ვერ გათვალეს და ოპერაცია ჩავარდა!

**— რა იყო სააკაშვილის ჩამოსვლის მთავარი მიზანი?**

— მთავარი მიზანი იყო საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს საერთოდ არ აინტერესებთ, რამდენი კაცი გაიჟლიტება საქართველოსა და უკრაინაში, მთავარია მიზანი მიღწეულია. კარგად დააკვირდით, როგორ ვითარდება მოვლენები ანგლოსაქსური სცენარით, რათა ომი უკრაინაში არ დამთავრდეს. ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ რუსეთს ჯერ ომი არ გამოუცხადებია. არადა, რაც უკრაინაში ხდება, მესამე მსოფლიო ომია, რომელშიც უკვე ძალიან ბევრი სახელმწიფოა ჩართული.

ამერიკამ, რომელსაც 30 ტრილიონი დოლარი ვალი აქვს, სწორედ ამ მანიპულაციებით უნდა ნახოს დიდძალი მოგება და ნახულობს კიდეც — უკრაინაში ასაღებს, ფაქტობრივად, მოძველებულ იარაღს და ამით ხელს უწყობს თავისი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭებას. **არ დაგვავიწყდეს, რომ „ლენდლიზის“ პროგრამით გათვალისწინებული ამერიკული დახმარების ვალს საბჭოთა კავშირი ოთხმოციან წლებშიც კი იხდიდა. ასე მოუწევს უკრაინასაც — 40-50 წლის განმავლობაში ამერიკული ვალები უნდა ისტუმროს!**

**— ოპოზიცია ხალხს ვერ აგროვებს, სააკაშვილი ციხეშია. როგორ დატრიალდება საქართველოს საშინაო პოლიტიკის ბედის ბორბალი?**

— დღეს ის კი არ არის მთავარი, რას იტყვის კობახიძე, ზარქუა და ტალიაშვილი, საქართველოს პოლიტიკურ სვლაგეზს განსაზღვრავს **ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვა! საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ შეცდომა არ დაუშვია. იგი მოქმედებს ისე, როგორც დაღვინებული და დაბრძენებული პოლიტიკოსი! ირაკლი ღარიბაშვილის დამსახურებაა, რომ არც — ამერიკელებს, არც — რუსებს, არც — უკრაინელებს და არც სხვებს არ მისცა საშუალება, საქართველო პოლიგონად გამოეყენებინათ!**

**— საბოლოოდ გადავრჩით?**

— ვერ გეტყვით, რომ საბოლოოდ გადავრჩით, რადგან მიმაჩნია, რომ საქართველოს უფრო რთული გამოწვევები ჯერ კიდევ წინ აქვს. ხელისუფლება დგას დილემის წინაშე და ეს დილემა გახლავთ მიხეილ სააკაშვილი, რომელიც, მართალია, დაპატიმრებულია, მაგრამ ხელისუფლებისთვის დიდი თავის ტკივილია! საქმე ის გახლავთ, რომ სააკაშვილი მარტო არ არის და მის გვერდით დგანან პარტიები, პოლიტიკური ლიდერები, გარკვეული სახელმწიფოები და სპეცსამსახურები. ვთქვათ პირდაპირ — **სააკაშვილი საქართველოში ამერიკელებმა შემოიყვანეს! ამერიკელები არ ჩანან, თორემ ისინი სააკაშვილის უკან დგანან და თავიანთ სათქმელს ხან — ბალტიისპირელებს, ხან — უკრაინელებსა და ხანაც პოლონელებს ახმოვანებინებენ.** აი, ეს არის ანგლოსაქსური დიპლომატია და სტრატეგია.



**„ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს საერთოდ არ აინტერესებთ, რამდენი კაცი გაიჟლიტება საქართველოსა და უკრაინაში!“**

**— მთელ ამ თამაშში სააკაშვილს რა ფუნქცია აქვს?**

— სააკაშვილი პოლიტიკური ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც საქმე უნდა გააკეთონ და არ არის გამორიცხული, შემდეგ მოიშორონ კიდეც! მოგეხსენებათ, ეს ამ დაუნდობელ ბრძოლაში ჩვეულებრივი ამბავია. **სააკაშვილი დღევანდელი ხელისუფლების თავის ტკივილი იყო, არის და იქნება! აი, ამ ფონზე ხელისუფლებამ დაუშვა მორიგი შეცდომა, როცა ნიკა გვარამია დაიჭირა.** ბუნებრივია, იგი დამნაშავეა, მაგრამ საქართველოში განა ყველა დამნაშავეა დაჭერილი? საქართველოში საუკუნის დანაშაული ჩაიდინეს, პირველი პრეზიდენტი მოკლეს და დამნაშავეები ვინმემ დაატუსაღა? ზვიადის, გია ჭანტურიას, სოლიკო ხაბეიშვილის, დემურ დვალიშვილის, გია გულუასა და სხვა უამრავი ადამიანის მკვლელობისთვის შევარდნაძე ვინმემ გაასამართლა? შევარდნაძემ ხალხს რა ქონებებიც წაართვა და „გააკულაკა“, ვინმემ გამოიძია და დათვალა? ამიტომ, თუ ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით — **„ყველა დამნაშავე ციხეში!“** — მაშინ ეს პროცესი დაიწყოს 1992 წლიდან! ვასამართლებთ სააკაშვილს? მაშინ კეთილი ვინებოთ და გავასამართლოთ შევარდნაძეც! სხვანაირად ეს ქვეყანა ვერ შედგება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## *იგორ კვესელავა:*

# თუ ხელისუფლება მოქმედებს პრინციპით – „ყველა დამნაშავე ციხეში!“ – მაშინ ეს პროცესი დაიწყოს 1992 წლიდან!














**„ზვიად გამსახურდიას, გია ჭანტურიას, გია გულუას, დემურ დვალიშვილის, სოლიკო ხაბეიშვილისა და სხვა უამრავი ადამიანის მკვლელობისთვის შევარდნაძე ვინმემ გაასამართლა?“**

## კვირგვინოსნები

**ანზორ აბრალავა**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვერ გამიგია **სააკაშვილის** ახირებები — **„დედა მინდა“, „ორი დეპუტატი მოვიდეს“, „ამხანაგი შემოუშვით“.** ეს პატარა, განებივრებული ბავშვის საქციელს ჰგავს. ყველაზე დასანანი ისაა, რომ მისი გარემოცვიდან არავის დასცდენია სანანული წინანდელი დანაშაულების გამო. **უგულავას რომ უსმინო, გირგვლიანიც მოსაკლავი იყო** და, საერთოდ, სააკაშვილის დროს ყველაფერი ხდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო.

„ახალი თაობა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



რვა თვე გავიდა და **მიხეილ სააკაშვილი** პოლიტპატიმრად არავინ და არცერთმა დასავლურმა ინსტიტუტმა არ აღიარა, მხოლოდ მისი ლობისტები ამბობენ, რომ **თითქოს პოლიტპატიმარია.** ასევე იქნება **ნიკა გვარამიაზეც.**

„რეზონანსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაცმოძრაობა თავს გიტოლებს და გეუბნება, რომ **შენი თანაბარია, შენისთანაა.** მე პირადად მათ **თავს არ გავუყადრებ,** სანამ პირში სული მიდგას. არ შეიძლება **კაცის მკვლელი, ავაზაკი, ხაზინის ქურდი, ქვეყნის გამყიდველი და მოღალატე** მე თავს მიტოლებდეს.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილი** აღარ არის მოთხოვნადი და დასავლეთი მის ადგილს ვერ ხედავს. **ეს ის ოპოზიციაა, რომელმაც თავის დროზე რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდა.**

„კვირის პალიტრა“

# რომელმა იმპერიამ

***იმის შესახებ, თუ რა ავნო და ობიექტურად რა დადებითი შედეგი მოუტანა საქართველოს რუსეთის იმპერიამ, ცალკე და საგანგებოდ მოგახსენებთ, მანამდე კი აღვნიშნავთ, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული, ვიდრე ერთიანი საქართველო ჩამოყალიბდებოდა, ქართველურ ტომებს ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ შუმერებთან, ეგვიპტელებთან, ხეთებთან, ასურელებთან, ურარტუელებთან, ძველ ბერძნებთან, აქემენიდურ სპარსეთთან, ალექსანდრე მაკედონელის იმპერიასთან, ელინისტურ სამყაროსთან, რომთან, პართიასთან, სასანიდურ ირანთან, ბიზანტიასთან, არაბებთან, თურქ-სელჩუკებთან, ხორეზმელებთან, მონღოლებთან, თემურ-ლენგთან, სეფიანთა ირანთან და ოსმალეთის იმპერიასთან...***




არაბთა სახალიფო 750 წელს

## არაბები საქართველოში ყველა ოკუპანტზე უფრო ხანგრძლივი დროით ბატონობდნენ. თითქმის ოთხასი წელი თბილისში ამირა იჯდა!

ამ დამპყრობელთაგან ზოგი მაღალკულტურული იმპერია იყო, ზოგი — ველური, ხოლო ზოგიც — ნახევრად ველური.

შუმერებმა, ასურელებმა, ხეთებმა, ეგვიპტელებმა და ურარტუელებმა, რომლებიც ქართველურ ტომებთან ერთად ცივილიზაციის სათავეებთან იდგნენ, საქართველოში ბევრი რამ შემოიტანეს, მაგრამ ჩვენგანაც ბევრი წაიღეს და შეითვისეს. მაგალითად, დიდი გერმანელი მეცნიერი **კურტ იოაჰიმ შპრენგელი** წერდა: **„ეგვიპტელთა კულტურაზე უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ. მათ კოლხეთიდან აქვთ გადმოღებული მიწათმოქმედებისა და სამედიცინო ხელოვნება. ეგვიპტელებმა კოლხებისა და ფინიკიელებისგან, მოგვიანებით კი ელინებისგან გადაიღეს ღვთაებები. ძველ ეგვიპტელთა ღვთაებები თითქმის ერთიანად კოლხური წარმომავლობისაა“,** ხოლო „ისტორიის მამად“ წოდებულმა ჰეროდოტე ჰალიკარნასელმა (ძვ. წ აღ. 484-425 წ.წ.), რომელმაც ეგვიპტეში 2500 წლის წინათ იმოგზაურა, შავით თეთრზე დაწერა: **„კოლხიდის მცხოვრებნი, ვგონებ, ეგვიპტელები არიან. აქ საკუთარ ჩემს აზრს ვამბობ და არა სხვისას. რადგან ეს აზრი ფიქრად მომივიდა, ცნობები შევკრიბე ამის თაობაზე როგორც ეგვიპტელებისგან, ასევე კოლხებისგან. კოლხებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხების შესახებ. ეგვიპტელები ამას კი ამბობენ, რომ კოლხები, ჩვენი აზრით, სესოსტრისის** (ეგვიპტურად კახაურას) **ჯარის ნარჩენიაო. ასევე ჩემი აზრი დავამყარე იმაზე, რომ კოლხები შავგვრემნები და ხუჭუჭთმიანები არიან. კოლხებს, ეგვიპტელებსა და ეთიოპიელებს ჩვეულებად აქვთ წინადაცვეთა. მხოლოდ ეგვიპტელები და კოლხები აკეთებენ ერთნაირად სელს. ყოფა-ცხოვრებაც და ენაც ერთმანეთს უგავთ“.**

ცნობილი ლინგვისტი და აკადემიკოსი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ვიაჩესლავ ივანოვიც** ხაზგასმით აღნიშნავდა: **„ძველეგვიპტური და პროტოქართველური ენების შედარებითი ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ორი უმთავრესი ეგვიპტური ღმერთი, რომელიც ეგვიპტეში უცხოდ ითვლებოდა, არის ქართველური სამყაროდან შესული. ესენი არიან თოთი და ოსირისი!“**

ასურეთის დიადი ხელმწიფე **სალმანასარ პირველი** (ძვ.წ. აღ. 1280-1260 წ.წ.) ხეთების მეფე **ხათუსილი მესამეს** (ძვ.წ. აღ. 1304-1280 წ.წ.) ელჩების პირით მაღალი ხარისხის რკინას სთხოვდა, რომელიც მაშინ სწორედ ხეთების სამეფოს მიერ ოკუპირებულ იმ ჩრდილოეთ რაიონებში მოიპოვებოდა, სადაც უძველესი დროიდან ქართველური ტომები — ხალიბები ცხოვრობდნენ. ხალიბები რკინის უძველესი ოსტატები იყვნენ. ტერმინი **„ხალიფს“** ძველბერძნულად **„რკინას“** ნიშნავს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რკინა მაშინ ოქროზე ხუთჯერ უფრო ძვირი ღირდა... როგორც ვარაუდობენ, ქართველი ხალიბები რკინის მოპოვებასა და დამუშავებას უკვე ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნიდან მისდევდნენ.

ხეთების მეფეები თავიანთ თავს ასე უწოდებდნენ — **„ჩემმა მზემ“.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ქართულში შუმერულიდან, ურარტულიდან და ხეთურიდან შემოსულია უამრავი სიტყვა. მაგალითად, **„არალე“** ურარტულში მოსავლის ღვთაებაა. ასე რომ, **„კალოსპირულსა“** და სხვა ქართულ ხალხურ სიმღერებში ასეთი ტექსტები — **„არი არალე“, „ივრი არალე“, „თარი არალე“** — შესაბამისად წარმოადგენს თხოვნასა და ვედრებას ღვთაება არალესადმი, **„მეუფეო, არალე“, „დიდო, არალე“** და ა.შ.

შევთანხმდეთ, რომ **ძველ ბერძნებსა და რომაელებს, როგორც მაღალკულტურულ დამპყრობლებს, საქართველოსთვის არავითარი ვნება არ მიუყენებიათ. პირიქით, უძველესი ქართველები ბერძნულ და რომაულ სამყაროსთან სიახლოვით მაშინდელი კულტურული მსოფლიოს ცენტრში ტრიალებდნენ.** მართალია, ძველი წელთაღრიცხვის 65 წელს **პომპეუსის** საქართველოში ლაშქრობას ათასობით ქართველი ემსხვერპლა, მაგრამ ამას პერმანენტული ხასიათი არ ჰქონია. ბევრად უფრო საშიში ძალა იყო **სასანიდური სპარსეთი,** რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას უტევდა. **სასანიდებმა 428 წელს მეფობა ჯერ სომხეთში გააუქმეს, ხოლო დაახლოებით 532 წელს ქართლსაც იგივე დღე დააყარეს, მაგრამ მაზდეანობას, ანუ ზოროასტრიზმს წიგნიერმა ქრისტიანულმა კულტურამ აჯობა და საქართველომ გაიმარჯვა.** ბოლნისის სიონის წარწერა, რომელიც 494 წლით თარიღდება და ჯერჯერობით საქართველოში მიკვლეულ ქართულენოვან პალეოგრაფიულ ძეგლებს შორის უძველესია, სწორედ სიმბოლოა მაღალგანვითარებული ქართული ქრისტიანული კულტურის გამარჯვებისა სასანიდური სპარსეთის კულტურაზე.

**ქართულმა ერისმთავრობამ ჩაყლაპა და მოინელა ირანული მარზპანობა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა არაბებთან გამკლავება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან პირველად 642-643 წლებში გამოჩნდნენ, ხოლო დაახლოებით 655 წელს ქართლს ე.წ. „დაცვის სიგელი“ მიანიჭეს.** არაბები საქართველოში ყველა ოკუპანტზე უფრო ხანგრძლივი დროით ბატონობდნენ. თითქმის ოთხასი წელი თბილისში ამირა იჯდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში არაბულის გავლენა ახლაც ძალუმად იგრძნობა, რაც მომხდურთა მაღალი კულტურისა და არაბული ენის სიმდიდრის უპირველესი დასტურია. შორს რომ არ წავიდეთ, **„არაქათი“** და **„ალბათ“** არაბული სიტყვებია. ზუსტად ასე იგრძნობა არაბულის გავლენა ესპანურ ჰანგებსა და არქიტექტურაშიც, სადაც მთელი რვაასი წლის განმავლობაში ომაინები, აბასიანები და კორდობას საამიროს არაბი მმართველები მსოფლიო კულტურაში, მეცნიერებასა და ლიტერატურაში შედევრებს ქმნიდნენ.

**მიუხედავად საშინელი ზეწოლისა და კულტურული ძალმოსილებისა, არაბთა უღელქვეშ მგმინავი საქართველოს სამხრეთში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში, დიდი გრიგოლ ხანძთელის ხელმძღვანელობით საოცარი ენერგიით იფეთქა აღმავლობის გზაზე შემდგარმა ქართულმა კულტურამ.** არაბები სწორედ იმ დიდმა ეროვნულმა აღმშენებლობამ დაამარცხა, რომელსაც არქიმანდრიტი **გრიგოლ ხანძთელი** უძღვებოდა. როგორ სჭირდება საქართველოს დღეს გრიგოლის მსგავსი არქიმანდრიტები, მაგრამ ვაგლახ, რომ საქართველოს ეკლესია დღეს სავსეა **არქიბანდიტებით!**

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 1122 წლის თებერვალში, როცა არაბების მიერ ოთხასი წლის განმავლობაში ოკუპირებული თბილისი გაათავისუფლა, დავით აღმაშენებელმა ხუთასი კაცი სარზე ჩამოაცვა და საშინელი წამებით მოკლა...

საქართველოს უდიდეს პრობლემებს უქმნიდა **ბიზანტიაც,** რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ვერ ურიგდებოდა და მცხეთის საპატრიარქო ტახტის დაქვემდებარებას ლამობდა. რელიგიური ომი საქართველო-ბიზანტიას შორის საბოლოოდ საქართველოს გამარჯვებით დასრულდა, როცა 1057 წელს უდიდესმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ **გიორგი მთაწმინდელმა** ანტიოქიის პატრიარქ **თეოდოსისა** და ბერძენი მღვდელმთავრების წინაშე მარტოდმარტო ღირსეულად დაიცვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და დაუმტკიცა ბერძნებს, რომ საქართველოს ეკლესია კი არ უნდა დაქვემდებარებოდა კონსტანტინოპოლს, არამედ პირიქით, კონსტანტინოპოლი უნდა დაქვემდებარებოდა მცხეთას!

**ამ შემთხვევაშიც ქართულმა კულტურამ იმარჯვა ბიზანტიაზე...**

**ქართულმა კულტურამ მოინელა მონღოლები და თურქ-სელჩუკები, რომლებმაც 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორთან განცდილი კატასტროფული მარცხი საუკუნეთა განმავლობაში ვერ დაივიწყეს.** „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადემ მოახდინა ის სასწაული, რომ დღევანდელ ქართველს **იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“** ესმის.

## ქართული კულტურა ვერც თემურ-ლენგმა ამოშანთა და ვერც სეფიანთა ირანმა. თემურ-ლენგის წინააღმდეგ წარმოებულმა ჩვიდმეტწლიანმა სამამულო ომმა, ფაქტობრივად, დაშალა და გაანადგურა ქვეყანა, მაგრამ არცერთ დამპყრობელს იმდენი ვნება არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ოკუპანტ თურქეთს...

ეჭვგარეშეა, რომ **სეფიანთა ირანი** ტერორისტული სახელმწიფო იყო, რომელმაც ჩვენს ქვეყანას გენოციდი ბევრჯერ მოუწყო. **შაჰ-თამაზის** ლაშქრობებმა, **უზუნ ჰასანმა და შაჰ-აბასის** მიერ 1614-1617 წლებში კახეთის ოთხჯერ აოხრებამ, ფაქტობრივად, გაატიალა მთელი აღმოსავლეთ საქართველო, მაგრამ თვით **ყიზილბაშური ირანიც** კი ვერ იჩენდა იმ მიზანმიმართულობასა და მეთოდურობას საქართველოს ძირფესვიანად ამოსაგდებად წარმოებულ ბრძოლაში, რასაც ოკუპანტი თურქეთი.

**1545 წლიდან მოყოლებული, როცა ქართველთა ბედოვლათობით სოხოისტას ბრძოლაში დავმარცხდით, თურქეთმა მეთოდურად დაიწყო ტაო-კლარჯეთად წოდებული უზარმაზარი ქართული მიწების მიტაცება. სოხოისტას ავბედითი ბრძოლიდან 150 წელიწადში თურქეთმა საქართველოსგან მოგლეჯილი ქართული მიწები რვა უზარმაზარ სანჯაყში გააერთიანა და გურჯისტანის ვილაიეთი შექმნა.** ეს სანჯაყები იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრას, ფანაკისა და დიდი არტაანის.

1595 წელს ფისკალური პოლიტიკის უკეთ გატარების მიზნით თურქებმა შექმნეს **„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“,** რომელშიც



გნეუს პომპეუსი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი

# ავნო ყველაზე მეტად საქართველოს?



**თურქეთმა საქართველოს წაგლიჯა 24 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი და შიდა ქართლი!**

თურქეთის მიერ ოკუპირებული და მიტაცებული 1160 ქართული სოფელია აღწერილი. **მსგავსი კატასტროფა საქართველოს არცერთ დამპყრობელთან ბრძოლაში არ განუცდია.** არაბები, მონღოლები, თემურ-ლენგი და სეფიანთა ირანი თუ დაგვიპყრობდნენ, ტერიტორიებს ვერ გვართმევდნენ, მაგრამ ვიდრე კავკასიაში რუსეთი გამოჩნდებოდა, თურქეთი ერთადერთი დამპყრობელი იყო, რომელიც საქართველოს ძირძველი მიწების თავის სახელმწიფოებრივ სხეულში ინკორპორირებას წარმატებით შეუდგა. უფრო მეტიც, **თურქები საკუთარი გენეტიკის გაუმჯობესების მიზნით, როგორც გადაგვარებულ ქართველ მონათმოვაჭრეებს, ისე დაღესტნელ ფეოდალებს და, უპირველეს ყოვლისა, ლეკებს საქართველოს უმხედრებდნენ.** სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ, სულ მცირე, ორი საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან ყოველწლიურად დაახლოებით 5-6 ათასი დარჩეული გოგო-ბიჭი სტამბოლის ბაზარზე გაჰყავდათ. **ბიჭებს იანიჩრებად ზრდიდნენ ან ასაჭურისებდნენ და დიდგვაროვანთა სასახლეებში ხადუმებად გაამწესებდნენ, ხოლო გოგონებს პირდაპირ სულთნისა და მდიდარი ფაშების ჰარამხანებში ერეკებოდნენ, რათა თურქები გაემრავლებინათ.**

დღეს ქართველი გოგონები ამას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სჩადიან... შეიხედეთ ღამის ბარებსა და კლუბებში, შეიხედეთ ბათუმისა და თბილისის სასტუმროებში — 15 წლის გოგონები მამისტოლა თურქ და უცხოელ ფულიან ბიძებს სექსუალურ მომსახურებას უწევენ და ერთმანეთს თავზე ახტებიან!

**ამერიკელმა მეცნიერებმა ყურადღებით შეისწავლეს თურქეთის მოსახლეობის გენეტიკური შემადგენლობა და დაასკვნეს, რომ 80-მილიონიანი უზარმაზარი სახელმწიფოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს ძარღვებში კავკასიური, კერძოდ, ქართული სისხლი უჩქეფს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ თეთრი და ლურჯთვალება ეთნიკური თურქის წარმომავლობა უმეტესწილად სწორედ კავკასიასა და საქართველოს უკავშირდება!**

არაერთხელ გვითქვამს და საგანგებოდ აღგვინიშნავს, რომ დიდი ქართველი მეცნიერისა და მწერლის **თეიმურაზ ბატონიშვილის** (1782-1846 წ.წ.) ცნობით, რომელიც **გიორგი მეთორმეტის** (1746-1800 წ.წ.) ვაჟი იყო, ისტორიული ზემო ქართლი, ანუ მესხეთი სწორედ ერზრუმამდე და ტრაპიზონამდე გახლდათ გადაჭიმული. ეს იყო უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც ფეოდალური და ერთიანი საქართველოს ეპოქაში ჩვენი სამშობლოს ერთ მესამედს შეადგენდა და მისი საერთო ფართობი დაახლოებით **34,2 ათას კვადრატული კილომეტრი** იყო. ამ ტერიტორიიდან დღევანდელ საქართველოს შემორჩა მხოლოდ **9,4 ათასი კვადრატული კილომეტრი,** ხოლო დანარჩენი **24,8 ათასი კვადრატული კილომეტრი** ოკუპანტ თურქეთს აქვს მიტაცებული! თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, თურქეთი ამ **24 800 კვადრატულ კილომეტრს,** ალბათ, არ დასჯერდება და საქართველოს ტერიტორიებს აჭარასა და ჯავახეთში დიდი თურქული გამოცდა ელის!

**თურქები დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ათასი წლის წინათ, მე-10 საუკუნეში გამოჩნდნენ მაშინ, როცა მთელ საქართველოს, კავკასიასა და ბიზანტიის იმპერიას დავით მესამე კურაპალატი აზანზარებდა, ხოლო ისტორიული მესხეთის ერთ ნაწილში, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში, როგორც გითხარით, უდიდესი სამონასტრო მშენებლობა იყო გაჩაღებული.**

„თურქული მიწა“ არც დღევანდელი თურქეთია, რომელიც ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიის სასაფლაოზე წამოიმართა. **თუ მაინცდამაინც „თურქული მიწის“ ნახვა გვსურს, ასეთი რამ ალტაის მხარეში ან ჰინდიყუშის მთების ძირას უნდა ვეძებოთ, საიდანაც ჯერ ატილა დაიძრა თავისი ველური ურდოებით, ხოლო დაახლოებით ხუთასი წლის შემდეგ მითიური სელჯუკი, რომლებმაც ცივილიზებულ სამყაროს ნგრევისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანეს!**

მესხეთი, რომელსაც თურქეთის დღევანდელი პრეზიდენტი **ერდოღანი** ასე ურცხვად ეპოტინება და ლექსებს უძღვნის, სამ ნაწილად იყოფა — **მტკვრის ზემო წელზე მდებარე ტერიტორია, მდინარე ჭოროხის მთელი აუზი და შავი ზღვის სანაპირო მიწები.** სამცხე, ჯავახეთი, თმოგვი, ერუშეთი, არტაანი და კოლა, რომელიც მტკვრის ზემო წელზე მდებარეობს, მესხეთია! ჭოროხის აუზი მოიცავს ისტორიული მესხეთის შემდეგ პროვინციებს — სპერს, ტაოსა და კლარჯეთს, რომელშიც, თავის მხრივ, შედის — აჭარა, მაჭახელი, ნიგალი, იმერხევი და შავშეთი. რაც შეეხება მესხეთის შავიზღვისპირა რეგიონებს, ესენი გახლავან — ჭანეთი და გურია...



ოსირისი

**ამ ტერიტორიების უდიდესი ნაწილი მიტაცებული აქვს სწორედ თურქეთს, ხოლო რაც საქართველოს შემორჩა, ისიც გასაყიდად და მისატაცებლად გახლავთ გამზადებული, რადგან ქვეყანას პატრონი არ ჰყავს!** დიახ, ქვეყანა უპატრონოდ არის დარჩენილი და ამის საუკეთესო დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ, ვინც კი **სოფელ ატოცთან** უკანალი წამოიხადა და რუსებს ტანკის ნაცვლად „ტანგა“ მიუშვირა, სუყველა პარლამენტში შეათრიეს!

არსებობს ძალზე საშიში დაავადება — **„თურქული“.** „თურქული“ ცოცხალ არსებას რომ შეეყრება, თუ მისი იზოლაცია და კარანტინში გადაყვანა სასწრაფოდ არ მოხდა, ინფექცია არამარტო ცხოველებს, არამედ ადამიანებსაც მოედება და შედეგი სავალალო იქნება. **უნდა ვაღიაროთ, რომ სტალინის მიერ ჩვენი სამშობლოს სამხრეთ საზღვრებთან ჩამოფარებულმა „რკინის ფარდამ“, მართალია, ცივილიზებულ სამყაროს მოგვწყვიტა, მაგრამ საქართველო დროებით „თურქულისგანაც“ დაიცვა.** უფრო მეტიც, 1944 წლის სექტემბერ-ნოემბერში **ლავრენტი ბერიას** უშუალო მეცადინეობით, საქართველოდან შუა აზიის კარანტინში გაამწესეს და ამიერკავკასიიდან გადაკარგეს ყველა, ვინც კი „თურქულით“ გახლდათ დასნებოვნებული და მთელ კავკასიას, ვოლგისპირეთსა და ურალისპირეთს წალეკვას უქადდა.

**სტალინმა,** რომელიც 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში **ლენინსა** და **მუსტაფა ქემალ ათათურქს** შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ვერ ეგუებოდა, 1945 წელს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს **ვიაჩესლავ მოლოტოვს** დაავალა, რომ კრემლი ამ ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გამოსულიყო. მოლოტოვმა ამის შესახებ სიტყვიერად ამცნო თურქეთის ელჩს, ხოლო სტალინმა **პოტსდამის კონფერენციაზე** თურქეთის მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული და სომხური მიწების დაბრუნება მოითხოვა. **დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზეწოლით, რომელმაც ატომური ბომბი 1945 წლის 16 ივლისს, სწორედ პოტსდამის კონფერენციის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, გამოსცადა, სტალინი იძულებული გახდა, თურქეთის მიმართ თავისი პრეტენზიები მოეთოკა.**

**ათაშანგიანი ლენინი** და **სოციოპათი ლეიბა ბრონშტეინ-ტროცკი** ათა-თურქის თურქეთს თანაუგრძნობდნენ. **1920 წლის შემოდგომაზე თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა, რადგან რუსეთის მსგავსად თურქეთიც „ანტანტელ“ ინტერვენტებს ებრძოდა. სწორედ რუსულ-თურქული სიამტკბილობა აისახა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაში, როცა ლენინმა თურქეთს 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომით მოპოვებული ტერიტორიები დაუბრუნა და საქართველოს ძირძველი ისტორიული პროვინციები მუსტაფა ქემალს საჯიჯგნად მიუგდო!**

რუსულ-თურქული „სიყვარულის“ შედეგი იყო ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დროშის მსგავსად თურქეთის რესპუბლიკის დროშაც ხასხასა წითელია და მასაც ვარსკვლავი ამშვენებს...

**როგორც საქვეყნოდ ცნობილია, 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმების მუხლები უცვლელად გადაიწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილ ყარსის ზავში, რომელიც აგერ უკვე ერთი საუკუნეა, მართლაცდა ყარს!**

სტალინმა ვერც 1944 წლის შემოდგომაზე გაბედა ოკუპანტი თურქეთისთვის ცხვირ-პირის დანაყვა და უკანონოდ მიტაცებული ქართულ-სომხური მიწების წართმევა... არადა, მაშინ ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო დრო იყო. მოგეხსენებათ, 1944 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის მარშლის **ფიოდორ ტოლბუხინის** სარდლობით უკრაინის მესამე ფრონტის კბილებამდე შეიარაღებული 300-ათასიანი არმადა ბულგარეთში შევიდა. ეს არმადა, რომლის შეიარაღებაშიც 400 ტანკი, 1200 თვითმფრინავი და 4 ათასამდე ქვემეხი შედიოდა, თურქეთს გადაჯეგავდა. **სწორედ მაშინ ტოლბუხინმა სტალინს ბულგარეთიდან დაურეკა და უთხრა — იოსებ ბესარიონის ძევ, მზად ვარ, თურქეთი დავაჩოქო და თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწები დავაბრუნო! ბელადმა თავის უსაყვარლეს მარშალს მკაცრი ტონით, კატეგორიულად აუკრძალა თურქეთში შეჭრა — მოეშვი მაგაზე ფიქრს, ეს პოლიტიკური ავანტიურა იქნებაო! მოგვიანებით ფიოდორ ტოლბუხინმა ამის შესახებ საქართველოს „ცეკას“ პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს უამბო და მასთან საუბარი ასე დაამთავრა — ბელადს რომ ნება დაერთო, თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებს 24 საათში გავათავისუფლებდიო!**

1949 წლის შემდეგ, როცა თურქეთი ნატოს წევრი გახდა, თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული და სომხური მიწების გათავისუფლების საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დაიხურა.

**ლეკიანობას, რომელიც სწორედ თურქული ოკუპაციის პირდაპირი შედეგი იყო, თავისი დამანგრეველი მასშტაბებით წყეული შაჰ-აბასის მიერ ფერეიდანსა და მაზანდარანში 300 ათასამდე ქართველის გადასახლებაც კი ვერ შეედრება.**

თურქეთმა საქართველოს წაგლიჯა 24 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთი და შიდა ქართლი.

**ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ყველაზე მეტად სწორედ თურქეთმა ავნო, მან, ფაქტობრივად, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიის ნახევარი მიიტაცა და საუკეთესო გენოფონდი გადაგვიჯიშა, რაც უტყუარი ისტორიული ფაქტია და რევიზიას არ ექვემდებარება!**

***დიტო ჩუბინიძე***

# ნიშნები, რომლითაც კიბოს ნაადრევად გამოცნობა შესაძლებელია!

## კახა საბახტარიშვილი:

### როცა კისერში, იღლიაში, ლავიწის ძვლის ქვეშ, საზარდულის მიდამოში ლიმფური ჯირკვლები დიდდება, ეს უკვე ორგანიზმის SOS-სიგნალია, რომ კიბო არ გამოგვეპაროს!





„აუცილებლად უნდა ჩავიტაროთ წინამდებარე ჯირკვლის ექოსკოპია!“

### „მამაკაცის შარდი დავაწვეთოთ ორსულობის დამდგენ ტესტს. თუ ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, დიდი ალბათობით, მამაკაცს სათესლე ჯირკვლის სიმსივნე აქვს!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ საშიში ნიშნების შესახებ გვესაუბრება, რომელსაც ადამიანები ხშირად ყურადღებას არ აქცევენ, არადა, ამ სიმპტომების უკან კაცობრიობის უვერაგესი დაავადება — კიბო იმალება:***

— სიმსივნური დაავადებები კაცობრიობის უძველეს და ერთ-ერთ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს. თანამედროვე ეპოქაშიც კი, როცა სამედიცინო ტექნიკა რევოლუციურად ვითარდება, სიმსივნის ნაადრევი დიაგნოსტიკა და გამოვლენა ხშირად ვერ ხერხდება და როცა საბედისწერო დიაგნოზი ისმება, ვერაგი სენი უკვე ძალიან შორს არის წასული.

**— არსებობს თუ არა გარეგნული ნიშნები ან ჩივილები, რომლის საშუალებითაც ერთი შეხედვით ჯანმრთელ ადამიანსაც კი შეიძლება დავუსვათ დიაგნოზი, რომ მას კიბო აქვს და სიცოცხლის გადასარჩენად სასწრაფოდ უნდა იმოქმედოს?**

— დავიწყოთ იმით, რომ შეხედულება, თითქოსდა კიბოს საწყის ფორმას ტკივილი ახასიათებს, მითია! **როცა კიბოს ტკივილი ახლავს, უმეტეს შემთხვევაში, ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ პროცესი უკვე შორს არის წასული და საქმე გვაქვს სიმსივნის მესამე და მეოთხე სტადიასთან.**

მამაკაცებში ყველაზე ხშირია პროსტატის კიბო, თუმცა, მათ შესაძლოა, აბსოლუტურად არაფერი აწუხებდეთ. კარგად დაიხსომოთ: **ხანგრძლივი, ქრონიკული ტკივილი წელის არეში, სადაც წელის მალა კუდუსუნის ძვალს უერთდება, დიდი ალბათობით, პროსტატის კიბოს მანიშნებელია!**

**— რა უნდა გააკეთოს პაციენტმა ასეთ დროს?**

— პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ჩავიტაროთ წინამდებარე ჯირკვლის ექოსკოპია, უროლოგმა რექტალურად უნდა გასინჯოს პროსტატის ჯირკვალი და განისაზღვროს პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის, ანუ სიმსივნის მარკერ „პსა“-ს მაჩვენებელი, რომელიც 4 ერთეულს არ უნდა აღემატებოდეს!

**— მწეველებში განსაკუთრებით გავრცელებულია ფილტვის სიმსივნე. რა ნიშნებით უნდა გამოვიცნოთ კიბოს საწყისი სტადია?**

— ფილტვის კიბო ყველაზე უფრო ვერაგია იმ მხრივ, რომ ადამიანს შესაძლოა, არანაირი ჩივილი არ გააჩნდეს, მაგრამ შემთხვევითი გამოკვლევის დროს აღმოჩნდეს, რომ მისი დაავადება უკვე მეოთხე სტადიაშია! არსებობს ერთი სპეციფიკური ნიშანი, რომელსაც ზედა სრული ვენის სინდრომი ეწოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ძილის შემდეგ, როცა ადამიანი წამოდგება, მას სახე უჩვეულოდ შეწითლებული აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ფილტვის სიმსივნის დროს დიდდება რეგიონალური ლიმფური კვანძები, რომლებიც აწვებიან ზედა სრულ ვენას, იწყება შეგუბება და სისხლი სხეულის ზედა ნაწილიდან ქვედა ნაწილისკენ ცუდად მოძრაობს. ამის შედეგად, ცხადია, სახე და კისერი უჩვეულოდ წითლდება. საყურადღებოა კიდევ ერთი ნიშანი — ლავიწის ძვლების ზემოთ ისინჯება გადიდებული ლიმფური კვანძი, რომელსაც **ვირხოვის კვანძი** ეწოდება. ნორმალურ სიტუაციაში ეს კვანძი საერთოდ არ უნდა იკვეთებოდეს.



**— რა ფარული ნიშნები აქვს სწორი ნაწლავის კიბოს?**

— თუ განავალთან ერთად ხშირია სისხლდენა, ნუ ვიფიქრებთ, რომ მაინცდამაინც ბუასილი გვაქვს და, პირველ რიგში, სწორედ სწორი ნაწლავის კიბო უნდა გამოვრიცხოთ!

**— საშინლად მტანჯველი ტკივილები აქვს პანკრეასის თავის კიბოს. აქვს თუ არა მას სპეციფიკური ნიშნები?**

— თუ ადამიანი უეცრად გაყვითლდა, შარდი მუქი გაუხდა, განავალი თიხისფრად გაუუფერულდა და მუცელზე შემოსარტყლული ტკივილები დაეწყო, თითქმის ასი პროცენტით მას აქვს პანკრეასის თავის კიბო! თხუთმეტიდან ოცდაათ წლამდე ჭაბუკებში და სამოცი წლის ზემოთ მამაკაცებში შესაძლოა, უეცრად გამოვლინდეს სათესლე ჯირკვლების კიბოც. ბევრმა, მათ შორის, შესაძლოა, ჩემმა კოლეგებმაც არ იცოდნენ ერთი მარტივი ტესტის შესახებ — **მამაკაცის შარდი დავაწვეთოთ ორსულობის დამდგენ ტესტს. თუ ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა, დიდი ალბათობით, მამაკაცს სათესლე ჯირკვლის სიმსივნე აქვს!**

**— რას იტყვით კუჭის კიბოს შესახებ?**

— არაერთხელ გვითქვამს, რომ გასტრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული სხვა არაფერია, თუ არა კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის კიბოს წინარე დაავადებები. თუ დროულად არ იქნა მკურნალობა ჩატარებული, სიმსივნური პროცესი განვითარდება, ხოლო, თუ ყველაფერ ამას თან ახლავს წონაში უმიზეზოდ მკვეთრი კლება და საკვებად ხორცის შეძულება, ასპროცენტიანი სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს კუჭის კიბო აქვს!

**— ძალზე გავრცელებულია მსხვილი ნაწლავის სიმსივნეები...**

— ბევრს მუცლის შებერილობა აწუხებს, რასაც დიდ ყურადღებას არ აქცევს. თუ ეს პროცესი ხშირია, მაშინ, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს მსხვილი ნაწლავის კიბოსთან. ამ დროს ნაწლავის სანათური მექანიკურად ვიწროვდება და საკვები მასები, რომლებიც თავისუფლად უნდა გადაადგილდებოდეს, „იჭედება“, იწყება მათი დუღილი და ლპობა, ხოლო ლპობის შედეგად გამოიყოფა გაზები. სწორედ ეს გაზები განაპირობებს მუცლის შებერვას...

**— რა ნიშნებით უნდა გამოვიცნოთ ნაადრევ ეტაპზე მკერდისა და საშვილოსნოს კიბო, რომლის რიცხვმაც ქალებში ძალიან იმატა?**

— ქალებს ზოგჯერ მკერდზე უეცრად უჩნდებათ გამონაყარი, რასაც ხან — ალერგიით, ხანაც ადგილობრივი ანთებით ხსნიან და ათასგვარ მალამოს, საფენებს ან ალერგიის საწინააღმდეგო, ანტიჰისტამინური ჯგუფის პრეპარატებს იყენებენ. ცხადია, ამას შედეგი არ მოაქვს, რადგან მკერდზე უეცარი გამონაყარი სარძევე ჯირკვლის ანთებითი კიბოს პირველი ნიშანი შეიძლება იყოს. რაც შეეხება საშვილოსნოს ყელის ან ენდომეტრიუმის კიბოს, როდესაც ქალს მენსტრუალური ციკლი შეწყვეტილი აქვს ან კლიმაქსის შემდგომი პერიოდი უდგას, მაგრამ საშოდან სისხლი მაინც მოდის, დიდი ალბათობით, საქმე გვაქვს საშვილოსნოს ყელის ან ენდომეტრიუმის კიბოსთან.

თუ მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს იმ ქალებში, რომელთა მენსტრუალური ციკლიც ნორმალურია, მაგრამ ციკლთა შორის პერიოდში სახეზეა საშოდან სისხლიანი გამონადენი, შესაძლოა, აქაც სიმსივნეს ჰქონდეს ადგილი.

იგივე შეიძლება ითქვას იმ ქალებზე, რომლებსაც სექსის შემდეგ საშოდან სისხლიანი გამონადენი აღენიშნებათ. საერთოდ, უნდა დავიმახსოვროთ — **თუ შარდთან, განავალთან და საშოდან გამონადენთან ერთად სისხლი გამოიყოფა, პირველ რიგში, სიმსივნური პროცესი უნდა გამოვრიცხოთ!**

**— სიმსივნე ბევრნაირია და სხვადასხვა ორგანოსი. არსებობს თუ არა რაიმე უნივერსალური ნიშანი, რომელიც სიმსივნურ პროცესზე გვაფიქრებინებს?**

— სიმსივნური უჯრედი ორგანიზმისთვის სრულიად უცხო სხეულია. ამიტომ, როგორც კი კიბო ვითარდება, ამას ყველაზე უფრო ადრე შეიგრძნობს ადამიანის იმუნური სისტემა. კერძოდ, ლიმფური ჯირკვლები მაშინვე იწყებენ კიბოს უჯრედებთან ბრძოლას და ამის შედეგად ზომაში იზრდებიან. სწორედ ამიტომ, **როცა კისერში, იღლიაში, ლავიწის ძვლის ქვეშ, საზარდულის მიდამოში ლიმფური ჯირკვლები დიდდება და ისინჯება, ეს უკვე ორგანიზმის SOS-სიგნალია, რომ კიბო არ გამოგვეპაროს!**

ლიმფური კვანძების გადიდება ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ სიმსივნე ვითარდება, მაგრამ ამ ფაქტს ყურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ! სხვათაშორის, ადამიანები უყურადღებოდ ტოვებენ ენაზე არსებულ თეთრ ნადებსაც და ჰგონიათ, რომ ეს არის კვებასთან დაკავშირებული სინდრომი, რაც მცდარი და საშიში აზრია! დიახ, **ენაზე, ზედა სასასა და ლოყის შიდა კედლებზე მუდმივად ან ხშირად თეთრი ნადების არსებობა შესაძლოა, კიბოსწინარე დაავადების, ლეიკოპლაკიის მანიშნებელი იყოს!** თუ დროულად მოხდება მისი მოშორება, არანაირი სიმსივნე არ განვითარდება.

**— კაცებს „პსა“-ს მაჩვენებელი ხშირად ნორმაზე მეტი აქვთ, მაგრამ გამოკვლევებით არავითარი პროსტატის კიბო არ დასტურდება; თუმცა, წლების შემდეგ პროსტატის კიბო მაინც განვითარებულა. რა უნდა გაკეთდეს ასეთ დროს?**

— ეს ის შემთხვევაა, როცა ოფიციალური მედიცინა უძლურია — სიმსივნე ხილულად არ ჩანს, მაგრამ პროცესი დაწყებულია! ასეთი პაციენტი ბევრი მყოლია და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კიბოს განვითარებისგან გადამირჩენია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***


## წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს, ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს

**591-75-35-38**

## მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.



მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90


## საეკლესიო კალენდარი

✝ 23 მაისი. ორშაბათი. **მოციქულისა სიმონ მოშურნისა, კანანელისა, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელისა.**

✝ 24 მაისი. სამშაბათი. ნეტარისა ქრისტესიასი, ქრისტეფორედ წოდებულისა; მღვდელმოწამისა მოკიოს ხუცისა; მოციქულთა სწორთა მეთოდესი და კირილესი, სლოვენთა მოძღვართა; ნიკოდიმოსისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ 25 მაისი. ოთხშაბათი. ეპიფანე კვიპრელი ეპისკოპოსისა; გერმანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; სიბინე კვიპრელი მთავარეპისკოპოსისა და პოლუბისა, რინოკირელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ერმოგენისა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქისა.

✝ 26 მაისი. ხუთშაბათი. **ღირსისა ექვთიმე მთაწმიდელისა, მთარგმნელისა;** ღირსთა მოწამეთა, ათონის მთაზე ლათინთაგან მოწყვეტილთა.

✝ 27 მაისი. პარასკევი. მოწამისა ისიდორესი; მოწამისა მაქსიმესი; ღირსისა სერაპიონ სინდონიტისა; ლეონტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა.

✝ 28 მაისი. შაბათი. **ღირსისა პახუმი დიდისა;** ღირსისა პიროს ბრეთელისა; აქილე ლარისელი ეპისკოპოსისა.

✝ 29 მაისი. კვირა. **აღდგომიდან მე-6, ბრმის კვირიაკე. ღირსისა თეოდორე განწმედილისა;** მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა.

# ლექსო თორაძე საქართველოში დაბრუნდა!






## ოთარ ტატიშვილი:

## უცხოეთში ლექსო თორაძის დარჩენაზე ვიღაცამ იკითხა, გაიგეთ, რომ ლექსო დარჩენილაო?! ბიძინა კვერნაძემ უპასუხა:

## ლექსო კი არა, ჩვენ დავრჩითო!



***გასულ კვირას თბილისის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში ლეგენდარული მშობლების — კომპოზიტორ დავით თორაძისა და ულამაზეს მსახიობ ლიანა ასათიანის გვერდით დაიკრძალა მათი შვილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი ლექსო თორაძე. 30 მაისს მას 70 წელი შეუსრულდებოდა, გარდაიცვალა 11 მაისს სამშობლოდან შორს, ამერიკაში, სადაც ის 1983 წლიდან ცხოვრობდა.***

1983 წელს ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი თბილისელი ახალგაზრდების მიერ საბჭოეთიდან თავის დაღწევის მიზნით თვითმფრინავის გატაცება, როდესაც აგვისტოს თვეში საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ესპანეთში გასტროლზე მყოფი ქართველი პიანისტი **ლექსო თორაძე** უკან აღარ დაბრუნდა! **ქართველმა მუსიკოსმა შეურაცხყოფად მიიღო ორკესტრის ხელმძღვანელის ნიკოლოზ ფედოსეევის მიერ ესპანეთში ჩასვლისთანავე კონცერტებიდან მოხსნა. მეგობრებმა ლექსო ესპანეთის ქალაქ ხიხონიდან ჯერ იტალიაში ჩაიყვანეს, შემდეგ — ამერიკაში.**

**ლექსო თორაძე** იყო თბილისისა და მოსკოვის კონსერვატორიების კურსდამთავრებული, 1975 წელს იტალიაში კასაგრანდეს სახელობის საერთაშორისო კონკურსში მოპოვებული ჰქონდა მესამე პრემია, ხოლო 1979 წელს ამერიკაში — ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე — მეორე პრემია. **ლექსოს მამა — დიდი კომპოზიტორი დავით (გუგული) თორაძე ესპანეთში შვილის დარჩენიდან სამი თვის თავზე — 1983 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა, ხოლო დედას — ულამაზეს ლიანა ასათიანს შვილის ნახვის უფლება მხოლოდ ხუთი წლის მერე — 1988 წლის 8 ივლისს მისცეს.**

ამერიკაში ჩასულ ლიანა ასათიანზე გაზეთი „PEOPLE MAGAZINE“ წერდა: **„გამოვიდა ლექსოს დედა, შავი თმით, კარდინალის იერით“.** მოგვიანებით ლიანა ასათიანმა ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: **— „მე ვიყავი პირველი დედა, რომელსაც უფლება მისცეს, „შინდაუბრუნებელი“ — უცხოეთში დარჩენილი შვილი მენახა. ჩემი შვილის ყველა წარმატება ჩემთვის ბედნიერებაა, უპირველესი იყო ვან კლიბერნის კონკურსზე გამარჯვება“.**

1991 წლიდან ლექსო თორაძე საუთ-ბენდის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, იქვე დააარსა საფორტეპიანო სტუდია „TORADZE PIANO STUDIO“, მთელ მსოფლიოში უდიდესი აღიარება მოიპოვა. ბოლო კონცერტი ჩაატარა ვანკუვერის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, შეასრულა **სტრავინსკის „კონცერტი ფორტეპიანოსა და ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის“ და შოსტაკოვიჩის „მეორე საფორტეპიანო კონცერტი“.** როგორც ლექსო თორაძის მეგობრები ამბობენ, მას ჩვევად ჰქონდა, კონცერტის დასრულების მერე სკამიდან მარდად დგებოდა და დირიჟორს ხელს ართმევდა. ბოლო კონცერტზე მან ეს ვეღარ შეძლო, ფეხზე ადგომის ნაცვლად, როიალს დაეყრდნო. 23 აპრილს ლექსო თორაძის ეს ბოლო გამოსვლა მუსიკოსის მიერ კონცერტის ვირტუოზულ შესრულებად შეფასდა.

***კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი იხსენებს თავისი პედაგოგის, კომპოზიტორ დავით (გუგული) თორაძის მიერ ჩატარებულ ბოლო გაკვეთილს:***

— წინა დღეს გუგული თორაძესთან 3-4 საათი ვიმეცადინე, შემდეგ ბევრი ვისაუბრეთ და მისი სახლიდან ღამის 12 საათზე გამოვედი. წინკარში გამომაცილა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა: ჩემო ბიჭო, იმუშავეო. მეორე დღეს, 12 საათზე, დედაჩემის მეგობარმა დარეკა — გაიგეთ, რომ გუგული გარდაიცვალაო?! შოკში ჩავვარდით. დაკრძალვაზე როცა მივედი, ქალბატონმა ლიანამ თქვა, ბოლო გაკვეთილი გუგულიმ ოთართან ჩაატარაო. თურმე, ჩემი წასვლის მერე წამოწოლილს გაზეთის კითხვა დაუწყია, ქალბატონი ლიანა როცა ოთახში შესულა, ჰგონებია, რომ ჩაეძინა.

**— იმ საღამოს თქვენ და გუგული თორაძემ ლექსოს შესახებ ისაუბრეთ?**

— 7 ნოემბრის დღესასწაულები მოდიოდა, გაკვეთილზე წასვლა არ მინდოდა, მოუმზადებელი ვიყავი, ვიფიქრე, მერე ვიმეცადინებ-მეთქი, მაგრამ ბოლოს მაინც წავედი. ვიმეცადინეთ, მერე ვიეშმაკე და ლექსოს ამბები ვკითხე. ცოტა ნერვიულობდა, შვილის სურათები მაჩვენა, პრინცებთან და პრინცესებთან იყო გადაღებული, მითხრა, რომ ლექსო მათთან მეგობრობდა. იმ პერიოდში გუგული მუსიკას წერდა ფილმისთვის „ძველი ვალსი“, დაუკრა ეს შესანიშნავი მელოდია, არ მავიწყდება ის საღამო. თბილი ადამიანი იყო, მაგრამ არ ამჟღავნებდა, მოფერება არ იცოდა, შენიშვნას ისე მოგცემდა, შეიძლება, გწყენოდა კიდეც და ერთი კვირა გაკვეთილზე არ მისულიყავი. მერე გეტყოდა — შენ სიყვარული არ გცოდნია, უკვე შენთან ვაპირებდი მოსვლასო. მაქებდა, მოწაფეებს შორის პირველ რიგებში შენ მესახებიო. თუკი სადილის დროს მივიდოდი, აუცილებლად მიმიწვევდა სუფრასთან, მეტყოდა — თითო ჭიქა დავლიოთო. მიყვარდა მათი ოჯახი.

**— უცხოეთში ლექსოს დარჩენის შემდეგ თავს როგორ გრძნობდა?**

— მახსოვს ის ცუდი პერიოდი, როდესაც მას „კაგებეში“ იბარებდნენ. ამბობდა — ნორმალურად მექცევიან, მაგრამ იქ მისვლა არასასიამოვნოაო. განცდებში იყო, ბოლომდე არ იცოდა, რა მოხდა ესპანეთში. მერე ხომ ლექსოს წერილით გაიგეს სიმართლე, რა უპატივცემულოდ მოექცნენ გასტროლზე, რომ სხვა გზა და გამოსავალი არ დაუტოვეს, გარდა იმისა, რომ იქ დარჩენა გადაეწყვიტა. იმ დღეებში ვიღაცამ იკითხა — **გაიგეთ, რომ ლექსო დარჩენილაო?!** ბიძინა კვერნაძემ უპასუხა: **ლექსო კი არა, ჩვენ დავრჩითო...**

**— ბოლოს როდის ნახეთ ლექსო თორაძე?**

— ის პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში. 2011 წელს ამერიკაში ვიყავი, ქართველ პიანისტებს ვაშინგტონში ჩემი ნაწარმოებები უნდა შეესრულებინათ, ორმა მათგანმა სიამაყით აღნიშნა, რომ ლექსო თორაძის მოწაფეები იყვნენ. გამიხარდა. როდესაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში **გუგული თორაძის „გორდა“** აღადგინეს, ლექსო ჩამოვიდა, ტელეფონით ვილაპარაკეთ, სისხლში შაქრის დონე მაღალი მქონდა, რჩევებს მაძლევდა. ახლოს ვიყავი ლექსოს დასთან — **ნინო თორაძესთან** და დედასთან, ქალბატონ **ლიანა ასათიანთან,** ისინი ჩემს შემოქმედებით საღამოებსაც ესწრებოდნენ. ქალბატონი ლიანა დეიდაჩემთან — **ცისანა ტატიშვილთან** მეგობრობდა.

30 მაისს ლექსო თორაძეს 70 წელი შეუსრულდებოდა, ის იყო უდიდესი ტალანტი, უბადლო იმპროვიზატორი და შემსრულებელი, პედაგოგი და კეთილი ადამიანი, რომელმაც არაერთ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვალა გზა. ნინო ყოველთვის ლექსოს იფიცებდა და წარმოიდგენია, ახლა რა ტკივილია მისთვის მისი საფიცარი ძმის გარდაცვალება.

**ლექსოს და მისი დიდებული მშობლების სახელები უკვე ისტორიაა და ძალიან ვწუხვარ, რომ ისინი აღარ არიან ამ ქვეყანაზე, მათი წასვლით თითქოს ის სამყარო მომაკლდა, სადაც გავიზარდე და რაც ჩემთვის მშობლიური იყო.**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***



დავით (გუგული) თორაძე



დედა-შვილი ლიანა ასათიანი და ლექსო თორაძე

„ასავალ-დასავალის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მუსიკოსის

**ლექსო თორაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და სრულიად საქართველოს!





ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. საქონელგაცვლა; 6. ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში; 9. ერთგვარი მრგვალი წვრილი კანფეტი; 10. იგივეა, რაც დოლი; 11. ენციკლოპედიების ფრანგული გამომცემლობა; 12. ხშირბეწვიანი პატარა ძაღლი; 13. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 17. ბუნების მძლავრი მოვლენა; 21. ფრანგი მათემატიკოსი; 23. ებრაელთა ტაძარი; 24. იაპონური პოეზიის ჟანრი; 25. ერთგვარი ძეხვი; 26. ზნედაცემული, გათახსირებული; 27. ღვთაებრივი ხარი ძველ ეგვიპტეში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. სპორტული იარაღი; 2. შალის, ბამბის მკვრივი ქსოვილი; 3. მცენარე, რომლის ნორჩი ყლორტები მხლად გამოიყენება; 4. ევროპის ებრაელთა ენა; 5. ჩრდილოეთის ირმების ზოგადი სახელი ჩრდილოეთ ამერიკაში; 6. მეტროს სადგური თბილისში; 7. წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი; 8. სირისტი; 14. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 15. ყანის პატარა ჩიტი; 16. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 18. გაუნათლებელი, გულუბრყვილო გლეხი (ძვ.); 19. მწვანილის სახეობა; 20. ალკოჰოლიანი სასმელი; 21. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია; 22. ავტომატური ელსაწყო.

## ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

1. პოტსდამი; 2. ორბი; 3. ასინეთა; 4. ბალთა; 5. დიდგორი; 6. თაგორი; 7. მი; 8. გრეი; 9. თამარი; 10. ჯოული; 11. ბენ; 12. ბრიტი; 13. მაინა; 14. ული; 15. არი; 16. ნიუ; 17. ბი; 18. ცა; 19. სირ; 20. მაია; 21. ცაცია; 22. არე; 23. სამაია; 24. იხარე; 25. კამა; 26. კი; 27. ოს; 28. მამა; 29. იაკი; 30. იკეა. ფოტოზე: ჯარისკაცის მამა; ვარძია, აბბა.

## 10 ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣ-ᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

1. აზოტი; 2. ცივის მთაზე; 3. გარინჩა. ასე ეძახდნენ ცნობილ ბრაზილიელ ფეხბურთელს მანუელ ფრანსისკუ დოს სანტუშს; 4. 1939-1945 წლებში; 5. ჯეკი კუგანი; 6. „... ჰგონიათ, იციან"; 7. ყავაზე; 8. არისტოტელემ აღზარდა ალექსანდრე მაკედონელი; 9. ბედუინებს; 10. თარჯიმნის თანამდებობა.

## ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ბარტერი; 6. დეკანი; 9. დრაჟე; 10. დაფდაფი; 11. ლარუსი; 12. შპიცი; 13. ორიგამი; 17. სტიქია; 21. ფურიე; 23. სინაგოგა; 24. ტანკა; 25. ზელცი; 26. სალახანა; 27. აპისი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბადრო; 2. რეფსი; 3. ეკალა; 4. იდიში; 5. კარიბუ; 6. დელისი; 7. კერკი; 8. ნესტი; 14. რკინა; 15. გრატა; 16. მიომა; 18. ტეტია; 19. ქინძი; 20. არაყი; 21. ფაზა; 22. რელე.



## ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ

— **გაქრა ზუსტად 10 156 ევრო, მე ორჯერ გადავთვალე თანხა.** — თქვა მოლარემ.

— **ვისზე გაქვთ ეჭვი?** — ჰკითხა ინსპექტორმა ვარნიკემ.

— **გულწრფელად რომ ვთქვა, არ ვიცი.** — უპასუხა მოლარემ.

— **მოყევით, როგორ მოხდა ეს.**

— **ფულს ვთვლიდი.** უცებ ოთახში დაბნელდა. ჩაქრა ჭერზე ჩამოკიდებული გრძელი ნათურა. მე დავდგი სკამი, ავედი მასზე და ნათურას ხელი მოვკიდე. ძლიერი დამწვრობით გამოწვეული ტკივილისაგან წონასწორობა დავკარგე და იატაკზე დავეცი. ცოტა ხანს უგონოდ ვიყავი, გონს რომ მოვედი, ეს არეულობა დამხვდა, ფული კი გამქრალი იყო. ტელეფონით დავურეკე კომპანიის დაცვას. ეს ყველაფერია, რაც შემიძლია გითხრათ.

— **მე თქვენ ფულის მოპარვაში გადანაშაულებთ, თქვენი ნაამბობი სიცრუეა, რადგან...**

**რა უთხრა ინსპექტორმა ვარნიკემ მოლარეს?**

ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:
**ლუმინესცენციური ნათურები არასოდეს ცხელდება და მოლარეს ხელს ვერ დაწვავდა.**






1 რომელი ელემენტია ყველაზე გავრცელებული ატმოსფეროში?



2 სად დააჭრა თავები ურჩ თავადებს გიორგი ბრწყინვალემ?



3 1962 წელს მსოფლიოში დიდი პოპულარობა მოიხვეჭა სახელმა პატარა ჩიტისა, რომელიც ბინადრობს ბრაზილიის მთებში და, გადმოცემის თანახმად, ბედნიერება მოაქვს. რომელ ფრინველზეა ლაპარაკი და რა აკავშირებს მას სახელგანთქმულ ბრაზილიელ ფეხბურთელთან?



4 რომელ წლებში მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი?



5 ექვსი წლის იყო, როცა ჩარლი ჩაპლინთან ერთად ფილმ „პატარაში" ითამაშა და 6 მილიონი გამოიმუშავა. ვინ იყო ეს პიროვნება.



6 დაასრულეთ კონფუცის ფრაზა: „ადამიანები შეცდომებს უშვებენ არა იმიტომ, რომ არ იციან, არამედ იმიტომ, რომ..."



7 ტალეირანი ამბობდა: „ის უნდა იყოს ცხელი, როგორც ჯოჯოხეთი, შავი, როგორც ეშმაკი, სუფთა, როგორც ანგელოზი და ტკბილი, როგორც სიყვარული". **რაზე ამბობდა ტალეირანი ამას?**



8 ვინ იყო ყველაზე ცნობილი მასწავლებლის ყველაზე ცნობილი მოსწავლე?



9 რას უწოდებენ არაბები უდაბნოს მკვიდრს?



10 რა თანამდებობა ეკავათ ძველად შეიარაღებულ ძალებში ადამიანებს, რომლებსაც მკერდზე თუთიყუში ჰქონდათ ამოსვირინგებული?

# რა იწვევს მეორე ტიპის დიაბეტს და რით არის ის სახიფათო

*დიაბეტი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა კუჭქვეშა ჯირკვალი ვერ გამოიმუშავებს საკმარის ინსულინს ან, როცა ორგანიზმს არ შეუძლია მის მიერ გამომუშავებული ინსულინის ეფექტიანად გამოყენება. ეს იწვევს სისხლში გლუკოზის დონის მომატებას (ჰიპერგლიკემიას).*




**მეორე ტიპის დიაბეტი** (ადრე მას ინსულინზე დამოკიდებულებას უწოდებდნენ) **ორგანიზმის მიერ ინსულინის არაეფექტიანად გამოყენების შედეგად ვითარდება. ხშირად ის ჭარბი წონისა და არასაკმარისი ფიზიკური აქტიურობის შედეგია.**

## სიმპტომები

სიმპტომები ჰგავს **დიაბეტის პირველი ტიპის** სიმპტომებს, მაგრამ ხშირად კარგად არ არის გამოხატული, ამიტომ დიაგნოზი შეიძლება დაისვას დაავადების დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ადრე **დიაბეტის** ამ ტიპით ავადდებოდნენ ზრდასრული ადამიანები, დღეს კი ბავშვებშიც გვხვდება.

## როგორია დიაბეტის შედეგები



*დიაბეტმა დროთა განმავლობაში შეიძლება დააზიანოს გული, სისხლძარღვები, თვალები და ნერვები.*

● **ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც დიაბეტი აქვთ, 2-3-ჯერ უფრო ხშირად შეიძლება განუვითარდეთ ინფარქტი და ინსულტი.**

● სისხლის მიმოქცევის შენელების შედეგად შეიძლება განვითარდეს ფეხების **ნევროპათია** (ნერვების დაზიანება), რომელიც ამაღლებს ფეხებზე წყლულების გაჩენასა და ინფიცირების ალბათობას, რაც შეიძლება კიდურის ამპუტაციით დასრულდეს.

● დიაბეტური **რეტინოპათია** — სიბრმავის ერთ-ერთი მიზეზი, ვითარდება თვალის ბადურის წვრილი სისხლძარღვების დაზიანების შედეგად.

● **დიაბეტური პოლინეიროპათია**, ამ შემთხვევაში ზიანდება ნერვული დაბოლოებები, ბოჭკოები. პირველი სიმპტომები აღინიშნება ფეხებზე, შემდეგ თანდათან ვრცელდება ხელებზე, მხრებზე, მძიმე შემთხვევაში — მუცელსა და გულმკერდზე, იწვევს ძლიერ ტკივილს.

● დიაბეტი **თირკმლის უკმარისობის** გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

● დიაბეტით დაავადებულ ადამიანებში სიკვდილის რისკი 2-ჯერ მეტია იმავე ასაკის ადამიანებში, რომლებსაც დიაბეტი არა აქვთ.



### პროდუქტები დაბალი გლიკემიური ინდექსით:

- ყურძენი — 40;
- მწვანე ბარდა — 40;
- უშაქრო ვაშლის წვენი — 40;
- თეთრი ლობიო — 40;
- ხორბლისა და ჭვავის პური — 40;
- ნატურალური უცხიმო იოგურტები — 35;
- სტაფილო — 35;
- არაქისის კარაქი — 32;
- ხენდრო — 32;
- 2-პროცენტიანი რძე — 30;
- ატამი — 30;
- ალუბალი — 22;
- გრეიპფრუტი — 22;
- შავი შოკოლადი — 22;
- ფრუქტოზა — 20;
- ბროკოლი — 10;
- ბადრიჯანი — 10;
- სოკო — 10;
- პომიდორი — 10.

### პროდუქტები მაღალი გლიკემიური ინდექსით:

- ლუდისა და ბურახის ნებისმიერი სახეობა — 110;
- სიმინდის ფქვილისგან დამზადებული კერძი — 100;
- თეთრი ფქვილისგან დამზადებული საკვები — 100;
- კარტოფილი — 95;
- თაფლი — 90;
- პოპკორნი — 85;
- კარტოფილის ჩიფსები — 80;

## პროფილაქტიკა

**თავიდან რომ ავიცილოთ დიაბეტი და მისი გართულებები, აუცილებელია:**

● **სხეულის წონა იყოს ნორმალური და მუდმივად შენარჩუნებული;**

● **საჭიროა ფიზიკური აქტიურობა — დღეში, სულ ცოტა, 30 წუთი ფიზიკური დატვირთვა საჭიროა ნორმალური წონის შესანარჩუნებლად.**

● **უნდა შემცირდეს შაქრისა და ცხიმების მოხმარება;**

● **უარი უნდა თქვათ თამბაქოზე — მოწევა ამაღლებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს.**

**გლიკემიური ინდექსი** — ეს არის სისხლში შაქრის დონეზე საკვები პროდუქტის გავლენის მაჩვენებელი მისი მიღების შემდეგ. როცა პროდუქტს მინიჭებული აქვს გლიკემიის დაბალი ინდექსი, ეს ნიშნავს, რომ მისი მიღების შემდეგ სისხლში შაქრის დონე ნელა მატულობს. **რაც უფრო მაღალია გლიკემიური ინდექსი, მით სწრაფად იმატებს სისხლში შაქრის დონე პროდუქტის მიღების შემდეგ.**




# მედიკოსები განგაშს ტეხენ: უცნობი ვირუსი ბავშვთა ღვიძლს აზიანებს



*ევროპელი და ამერიკელი მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოში გავრცელდა ვირუსი, რომელიც აზიანებს ბავშვების ღვიძლს და იწვევს მძიმე ჰეპატიტს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ინფექცია დაკავშირებულია კორონავირუსთან.*

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ჰეპატიტის მძიმე ფორმის ვირუსით 230-მდე ბავშვი დაავადდა, მათგან ერთი გარდაიცვალა.

ჯანმოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უცნობი ინფექციით დაავადდნენ 1 თვიდან 16-წლამდე ბავშვები, თუმცა, მათი უმრავლესობა 10 წელზე მეტის არ არის. დაავადების სიმპტომები ჰგავს **გასტროენტერიტს, ბავშვები უჩივიან მუცლის ტკივილს, დიარეასა და ღებინებას, ზოგჯერ — ტემპერატურის მომატებასაც. ცოტა ხნის შემდეგ დაავადებულებს ეწყებათ ჰეპატიტის სიმპტომები: კანისა და თვალის თეთრი გარსის გაყვითლება, უმუქდებათ შარდი, ეწყებათ ტკივილი სახსრებში. ამას გარდა, სისხლში ღვიძლის ფერმენტების რაოდენობა მატულობს 10-40 ერთეულამდე. ზოგიერთ ბავშვს ისე ძალიან უზიანდება ღვიძლი, რომ სასწრაფოდ სჭირდება მისი ტრანსპლანტაცია.**

დაავადებულთა უმრავლესობას აღმოაჩნდა **ადენოვირუსი.**




F41. ვირუსების ამ სახეობის მიმართ ზრდასრულ ადამიანებს ანტისხეულები აქვთ გამომუშავებული, რადგან, დიდი ალბათობით, ბავშვობაში გადაიტანეს. სპეციალისტთა ერთ-ერთი ვერსიით, ადენოვირუსი ჰეპატიტს იწვევს, იმიტომ, რომ „კოვიდ-19"-მა გავლენა იქონია იმუნურ სისტემაზე იმ ბავშვებში, რომლებიც კორონავირუსით იყვნენ ინფიცირებულნი და ადენოვირუსმა მათ ღვიძლი დაუზიანა.

# პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობენ წნევის რეგულირებას









*ექიმი-დიეტოლოგი* **ელენა სოლომატინა** *ჰიპერტონიკებს ურჩევს, რაციონში ჩართონ კალიუმითა და მაგნიუმით მდიდარი პროდუქტები, რადგან ასეთი პროდუქტები ადამიანს მომატებული წნევის შემცირებაში ეხმარება.*



ექიმი ამბობს, რომ კალიუმი აუცილებელია წნევის შესამცირებლად, რადგან ნატურალური **დიურეტიკია** (შარდმდენი). ის დიდი რაოდენობით არის **კარტოფილში, გოგრაში, ჩირში, კიტრსა** და **საზამთროში.**



მაგნიუმი იწვევს სისხლძარღვთა კედლების მოდუნებას, რაც ხელს უწყობს ჰიპერტონიის გაკონტროლებას. მაგნიუმი არის **მზესუმზირის თესლში, სალათის ფოთლებში, კაკაოსა** და **ნიგოზში.**

# პროდუქტი, რომელიც კიბოს წარმოქმნის რისკს ამცირებს

*ექიმმა-დიეტოლოგმა* **მიხეილ გინზბურგმა** ***დაასახელა პროდუქტი, რომლის მოხმარებაც ონკოლოგიური დაავადებების გაჩენის რისკს ამცირებს — ეს არის ბოლოკი.***

**გინზბურგის** განცხადებით, ბოლოკს აქვს თვისება, რომელიც ამცირებს კიბოს წარმოქმნის ალბათობას. „ეს ხდება ბოლოკის გოგირდოვანი შენაერთების წყალობით, რომლებიც მასშია".

ექსპერტმა აღნიშნა, რომ **ბოლოკის გოგირდოვანი შენაერთები მოქმედებს სიმსივნის ზრდის პრაქტიკულად სამივე რგოლზე. „ისინი თრგუნავენ ზრდის ფაქტორებს, ხურავენ უჯრედს და საშუალებას არ აძლევენ ანთებითი პროცესის განვითარებას, ბლოკავენ ანგიოგენეზს — სისხლძარღვების შეზრდას სიმსივნეში",** — განაცხადა ექიმმა.



***უფრო ადრე*** **გინზბურგმა** ***თქვა, რომ ფერმენტირებული რძის პროდუქტები ამცირებენ კიბოს განვითარების რისკს. მისი რეკომენდაციით, ადამიანმა უნდა მიიღოს ისეთი პროდუქტები, რომლებსაც აქვთ ვარგისიანობის მოკლე ვადა, აგრეთვე, მჟავე კომბოსტო.***



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტათა აღლუმი, ანუ სტელიუმი და მისი ზემოქმედება ადამიანებზე

*— რას წარმოადგენს ანდა რა და რა სახის შეიძლება იყოს „სტელიუმი“? რატომ ზემოქმედებს იგი ყველაზე? პლანეტების გარდა, კიდევ რომელი ციური სხეულები შეიძლება შედიოდეს მის შემადგენლობაში? ადამიანის პირად ჰოროსკოპში სტელიუმის არსებობა როგორ აისახება მის ცხოვრებაზე? ასეთი ადამიანი რას გვაგონებს? რით გამოირჩევა ანდა რა განსაკუთრებულ მომენტებს აქვს ადგილი მის ცხოვრებაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

**— არაერთხელ გიხსენებიათ „პლანეტათა აღლუმი“. წელს ცის კაბადონზე ამგვარ იშვიათ მოვლენას ჰქონდა ადგილი. განგვიმარტეთ უფრო დაწვრილებით, რას წარმოადგენს იგი და რამდენად მნიშვნელოვანი, დადებითი ან უარყოფითი შეიძლება იყოს ადამიანებზე მისი ზეგავლენა?**

— **პლანეტათა აღლუმს ასტროლოგიაში სტელიუმი ეწოდება** (stella — ვარსკვლავი. ლათ.), **რაც სამი ან მეტი პლანეტის ზოდიაქოს ერთ ნიშანში ანდა ერთ ასტროლოგიურ სახლში განლაგებას ნიშნავს.** ამასთან, არ არის აუცილებელი, პლანეტები ერთ წერტილში განთავსდნენ. საკმარისია, მათ შორის მანძილი ექვს გრადუს შეადგენდეს. მოგეხსენებათ, ყველა პლანეტას საკუთარი მოძრაობის სიჩქარე და ტრაექტორია გააჩნია, ამიტომ ალბათობა იმისა, რომ რამდენიმე მათგანმა ერთ ზოდიაქოში თავი მოიყაროს, მცირეა. თუ ამავე დროს ამავე ნიშანში **მზე ან მთვარე** გაივლის, ციურ სხეულთა რიცხვი უფრო გაიზრდება, რაც კიდევ უფრო დიდ იშვიათობას წარმოადგენს. ითვლება, რომ ერთ ზოდიაქოს ნიშანში სამი ან მეტი პლანეტის თავშეყრა ამ ზოდიაქოს ნიშნის თვისებებს ძალიან აძლიერებს და კონცენტრირებულს ხდის, ამიტომაც იგი ყველაზე ზემოქმედებს. ნიშანდობლივია, რომ **არსებობს ორი სახის სტელიუმი. პირველი, როცა პლანეტები გაერთიანებულია, ანუ იმდენად ახლოს არიან, რომ ერთმანეთზე ზემოქმედებენ, ასპექტებს წარმოქმნიან. სტელიუმის მეორე შემთხვევაში კი პლანეტები, უბრალოდ, ერთ ზოდიაქოში არიან განლაგებული, თუმცა, საკმაოდ დაცილებული არიან ერთმანეთისაგან იმისათვის, რომ ასპექტი წარმოიქმნას** (ცნობილია, რომ ზოდიაქოს წრეზე თითოეული ნიშანი მხოლოდ 30 გრადუსს იკავებს). **სტელიუმში პლანეტების, მზისა და მთვარის გარდა, შეიძლება შედიოდეს მთვარის კვანძები** (კეტუ და რახუ) **და ფიქტიური პლანეტები — თეთრი და შავი მთვარე.** მათი ზემოქმედება ამ შემთხვევაში ნახევარ პლანეტას უტოლდება. გარდა ამისა, **სტელიუმი,** შესაძლოა, ორ ზოდიაქოზე იყოს გადანაწილებული, ანუ პლანეტები ახლოს განლაგდნენ ორი ნიშნის საზღვარზე.

**— პირად ჰოროსკოპში ასახული, ანუ ადამიანის დაბადების მომენტისთვის სტელიუმის არსებობა რა როლს ითამაშებს და რამდენად იმოქმედებს მის ცხოვრებაზე?**

— **პირად ჰოროსკოპში არსებული სტელიუმი ერთ-ერთი საინტერესო მაჩვენებელია, რომელიც ამ ზოდიაქოს ან ასტროლოგიური სახლის ენერგიას სრულფასოვნად ავლენს და მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ადამიანის ცხოვრებაში.** გარდა ამისა, პირად ჰოროსკოპში სტელიუმი მიგვითითებს ადამიანის ცხოვრების რაღაც სფეროსთან, სტილთან მიჯაჭვულობას, რაღაც იდეის აკვიატებას, რაღაცაზე სრულ კონცენტრირებას. ასეთი ადამიანი საკმაოდ პრინციპულია და მკაფიოდ წარმოაჩენს იმ ზოდიაქოს თვისებების მრავალფეროვნებას, რომელშიც **სტელიუმია** განლაგებული. იგი სხვებისგან გამოირჩევა ქცევით, გარეგნობით, ცხოვრების სტილით, განსაკუთრებული ხიბლით, მიზიდულობით და საზოგადოების ყურადღებას იქცევს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ძალიან პოპულარული ხდება. **უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას ძლიერი შინაგანი ძალა, სულიერი საყრდენი გააჩნია და დიდი ენერგიის მატარებელია. უკეთეს შემთხვევაში, ასეთი ადამიანი ატომურ რეაქტორს გვაგონებს, რომელშიც ქიმიური რეაქციის შედეგად, უზარმაზარი ენერგია თავისუფლდება.** ამგვარად, შინაგან ძალთა რაღაც ფარული რეაქციის წყალობით, მისი ხასიათის სხვადასხვა თვისების გაერთიანება ხდება და წარმოგვიდგება უჩვეულო და საინტერესო პიროვნებად. ადამიანში ამგვარი მუდმივი შინაგანი ტრანსფორმაციები ერთგვარი პლანეტური ტრანსმუტაციის პროცესის შედეგია. ნიშანდობლივია, რომ **პირად ნატალურ რუკაში სტელიუმის მქონე ადამიანთა ცხოვრებაში აუცილებლად დგება მომენტი, როდესაც მათ ძალუძთ, დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში დაგროვილი ენერგიის რეალიზება მოახდინონ და სხვებისთვის წარმოუდგენელ სიმაღლეებს მიაღწიონ. შემდგომ კი მათ ცხოვრებაში ისევ სიმშვიდე ისადგურებს და ისევ იწყებენ ენერგიის დაგროვებას.** თუმცა, შემდგომი სასიკეთო მომენტი შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში არ დადგეს. ამასთან, **შინაგანი რეალიზაციის ამგვარი პერიოდები ყოველთვის სხვადასხვაა.** მაგალითად, თუ **სტელიუმში** შედის **მთვარის კვანძი,** მაშინ შემდგომი სასიკეთო დრო დიდ მიზანთა რეალიზებისათვის მხოლოდ **მთვარის კვანძის** ამავე ადგილას დაბრუნებისას დადგება.

**— ყოველდღიურ ცხოვრებაში კიდევ რითი გამოირჩევიან პირად ჰოროსკოპში სტელიუმის მქონე ადამიანები?**

— **ადამიანი, რომლის დაბადების დროსაც ცის კაბადონზე ადგილი ჰქონდა სტელიუმს, სხვებისგან ყოველთვის გამოირჩევა ენერგიულობით, შემოქმედებითობით, მოხერხებულობით, განსაკუთრებული ქცევებით, ნიჭითა და უნარით.** მას ძალიან უყვარს ხელოვნება და ხშირად თავადაც ხელოვანია. გარდა ამისა, მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სილამაზეს და ზუსტად იცის, რა არის ლამაზი და რა — ულამაზო, ამიტომ თავის ირგვლივ სამყაროს გალამაზებაზე ბევრ ენერგიას ხარჯავს. ზოგჯერ ეს იმდენად არის თვალშისაცემი, რომ, შესაძლოა, ეს ადამიანი პერფექციონისტი გვეგონოს, თუმცა, მისთვის სილამაზე და ესთეტიკურობა ჰაერივით აუცილებელია. **ნიშანდობლივია ისიც, რომ სტელიუმი არაერთ ემოციას განაპირობებს და ბადებს, ამიტომ ასეთი ადამიანები მეტად ემოციური არიან.** მათი ვერდანახვა და ვერშემჩნევა შეუძლებელია. ისინი ძირითადად მაქსიმალისტები და მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი არიან და დაწყებული საქმე თუ იდეა ყოველთვის ბოლომდე მიჰყავთ.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 23 –29 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**გარკვეულ გარემოებათა გამო როგორც თქვენი ყოველდღიურობა, ისე სამომავლო მიზნები შეიცვლება. ეს კვირა კარგია საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, საკუთარი თავისა და საქმის რეკლამირებისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის. შესაძლოა, სახლში რემონტი დაიწყოთ ან ინტერიერი შეცვალოთ. მოგზაურობისას კი საინტერესო ადამიანებს გაიცნობთ, რომლებთანაც მომავალში მომგებიანად ითანამშრომლებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია, როდესაც, შესაძლოა, თქვენი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალოს და გაუმჯობესდეს. ფინანსური წარმატება დამოკიდებული იქნება თქვენი მოთმინების უნარზე, კონტაქტურობასა და საუკეთესო თვისებების გამოვლენაზე. სასიკეთო პერიოდია მკურნალობისთვის, მოგზაურობისთვის, სწავლისთვის, ახალი ნივთების შესაძენად. ადრე დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა კი შესაძლოა, ქორწინებით დაგვირგვინდეს.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**კარგი პერიოდია როგორც პირადი ცხოვრებისთვის, ისე ბიზნესისთვის. აქტიურობა დადებითად აისახება როგორც ახალი საქმის დაწყებაზე, ისე ჩანაფიქრთა განხორციელებაზე. მუშაობის ან გადაწყვეტილების მიღებისას ყველა წვრილმანი გაითვალისწინეთ. საეჭვო ორგანიზაციებს და საზოგადოებას მოერიდეთ, რათა ავტორიტეტი არ შეილახოთ. საყვარელ ადამიანთან ნუ იკამათებთ, რათა მას ეჭვი არ გაუჩნდეს. მოგზაურობა დადებითად აისახება თქვენს შინაგან სამყაროზე.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**თქვენი პოპულარობა როგორც ახლობლების, ისე ნაცნობთა წრეში გაიზრდება. თქვენმა საქორწინო თუ საქმიანმა ურთიერთობებმა, შესაძლოა, გარშემო მყოფთა ყურადღება მიიპყროს. ასევე, შესაძლოა, გამოაშკარავდეს და განსჯის საგნად გადაიქცეს თქვენი საიდუმლოებანი. პროვოკაციებს ნუ აჰყვებით და ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ. პირად საკითხში კი ჯობს გადაწყვეტილება ჯერ არ მიიღოთ. შორეულ მოგზაურობას მოერიდეთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**თქვენ სასიცოცხლო ენერგიის მოზღვავებას და ინტუიციის, ფანტაზიის, შემოქმედებითობის გამძაფრებას შეიგრძნობთ. სამსახურში მოსალოდნელია დაწინაურება, მაგრამ თანამდებობა უფრო ფიქტიური იქნება. თქვენი კონტაქტების უმრავლესობა საქმიანი ხასიათისა იქნება და შემოსავლის ზრდას მოემსახურება. შვილების ან საყვარელი ადამიანის პრობლემებმა, შესაძლოა, მიზნის მიღწევას ხელი შეუშალოს. მძიმე საკვებსა და ალკოჰოლს მოერიდეთ.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**ახალი პერსპექტიული საქმე კარგ მოგებას მოგიტანთ. ავტორიტეტულ ადამიანებთან ურთიერთობა კი თქვენს სტატუსს გააძლიერებს. რთული საქმეების სიუხვის მიუხედავად, ოჯახსა და პირად პრობლემებს მეტი დრო დაუთმეთ და ლიდერისა და ორგანიზატორის თანდაყოლილი თვისებები სრულად გამოამჟღავნეთ. საცხოვრებელი ადგილი თამამად შეიცვალეთ, თუმცა, უცხოეთში გამგზავრება ჯობს, გადადოთ, რათა ამის გამო შეყვარებულს არ ეჩხუბოთ.**

## 23 –29 მაისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
**სამსახურში სირთულეების მიუხედავად, მეტად ჰარმონიული და შემოქმედებითი ატმოსფერო დამყარდება, რაც საშუალებას მოგცემთ, ადრე დაწყებული საქმე დაასრულოთ, ხოლო ახალ წამოწყებას სასურველია, თქვენმა მერყეობამ და გაუბედაობამ ხელი არ შეუშალოს. ძველ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა გაგახალისებთ. პირად საკითხში გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. მოგზაურობისას კი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**დამატებითი სამუშაო შემოსავალს გაზრდის, მაგრამ დამღლელი იქნება, ამიტომ ხშირად დაისვენეთ და ეცადეთ, ენერგია აღიდგინოთ. ძველ მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგგვრით. მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. ახალი ნაცნობები პროფესიულ საკითხებში დაგეხმარებიან. საქმიან პარტნიორთა შემოთავაზებებს ნუ დატოვებთ უყურადღებოდ.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**ახალი შთაბეჭდილებებისა და მძაფრი შეგრძნებების მიღების სურვილი იმატებს. ფინანსური საკითხი და ოჯახური პრობლემები თქვენი ძირითადი საფიქრალი გახდება. უცხოელებთან ურთიერთობის გაუმჯობესება მეტ პერსპექტივასა და მოგებას გპირდებათ მომავალში. სასიყვარულო ურთიერთობა არაერთგვაროვანი და ზოგჯერ გაუგებარიც შესაძლოა იყოს. თუმცა, ეჭვიანობის საბაბი არ გექნებათ. მოგზაურობა და დასვენება კი თქვენს ჯანმრთელობაზე პოზიტიურად აისახება.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**საქმესა და ფინანსებში წარმატების მისაღწევად პარტნიორებს ყურადღება მიაქციეთ. თანამოაზრეებს ადვილად იპოვით. თუ უფრო რეალისტიც იქნებით, ახალ წამოწყებასაც საფუძველს ჩაუყრით. მოგებას იოლად მიიღებთ, თუმცა, ასევე იოლად დახარჯავთ. კოლეგებთან ურთიერთობისას ტაქტი გამოავლინეთ, თუ ურთიერთობის დაძაბვა არ გსურთ. კარგი პერიოდია უცხოეთში გასამგზავრებად და ცოდნის გასაღრმავებლად.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**იდეათა სიუხვე ახალი საქმის გააზრებასა და ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში დაგეხმარებათ. გარშემო მყოფთა სიმპათიის მოპოვება და თანამოაზრეებთან დაკავშირება არ გაგიჭირდებათ. სასიყვარულო ანდა საქორწინო კავშირში კი ჰარმონიულობა იკლებს. პრობლემები დაგანახვებთ, თუ რა გაშორებთ ან გაკავშირებთ რჩეულთან. მოგზაურობაზე უარი არ თქვათ და თქვენს თავს, ჯანმრთელობასა და გარეგნობას მეტი დრო დაუთმეთ.**

**თევზები** (19.02-20.03)
**დახმარებისა და რჩევისთვის ბევრი ადამიანი მოგმართავთ და ეცადეთ, უარი არავის უთხრათ. თქვენს ყოფით თუ სამსახურის საქმეებს წარმატება ელის. ოჯახიც ყურადღებას ითხოვს ნებისმიერ საქმეში, ორიგინალური მეთოდებით იხელმძღვანელეთ. კარგი პერიოდია უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. შეყვარებულთან ურთიერთობა კი უფრო სტაბილური გახდება და, შესაძლოა, დაქორწინებაზეც იფიქროთ.**

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 23,24,27 და 29 მაისი**

**16 მაისი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება (პიკი – 08.13); 30 მაისი – ახალმთვარეობა (პიკი – 15.30).**

**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 1. მოლბერტი; 8. ლაფშა; 12. პროტონი; 13. ლინი; 14. ბელმონდო; 15. ბაული; 16. ნიორაძე; 17. დატო; 18. მირაბელი; 22. რჩევა; 23. ბაროკო; 26. დეცი; 27. კომედია; 28. ბინა; 30. რესტორანი; 31. ჩაო; 33. კოლონა; 36. კუპრი; 37. კოლაგენი; 38. ნოე; 39. კორუნდი; 40. ნალია; 41. კირასირი; 45. პარალიზი; 49. სიბილა; 52. ტალავერი; 53. ლიმფა; 54. ასკილი; 56. ნოდია; 57. მისის; 60. კინტო; 61. არბიტრი; 64. კასტეტი; 65. პიჯინი; 66. აბორიგენი.

შვეულად: 2. ოპელი; 3. ბამბა; 4. რენიე; 5. იპონი; 6. ლოპოტა; 7. ტობაგო; 8. ლიბერო; 9. ფიურერი; 10. ალიდადა; 11. ანოტაცია; 18. მოკო; 19. რემბო; 20. ბადრო; 21. ლუარა; 23. ბოსტონი; 24. რეობაზა; 25. კრამერი; 28. ბიკინი; 29. ნაპალმი; 31. ჩინარი; 32. ომერტა; 33. კვოტა; 34. ლაურა; 35. ნედლი; 41. კი; 42. რქა; 43. სტარი; 44. რიელი; 45. პოლაკი; 46. რომანსი; 47. ლიანოსი; 48. ზანდუკი; 49. სია; 50. ბაკმი; 51. ლილ; 52. ტრანსი; 55. ირიბი; 57. მზეს; 58. სვია; 59. საბო; 62. ბეი; 63. ტლე.

**მონეტაბელინიორიონილივერიკოტონიკიროსინანტი**
**გოლიათინათიასულიკოკორიდარაბატირადარიგალია**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 23 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.35 საათზე, ჩადის 19.21 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 01.25 საათზე, ჩადის 12.04 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 03.39 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღე. ტენდენციები:** დღეიდან გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **კუროს** ზოდიაქოში (13 ივნისამდე), რაც ადამიანებში გააძლიერებს პრაგმატულობას, დისციპლინას, ერთგულებას, ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, ტრადიციულობას, მოქმედებას პრინციპით — „შვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“, ხელოვნებისკენ მიდრეკილებას და ასევე სიჯიუტეს და სიზარმაცესაც. დღეს პროვოკაციებს მოერიდეთ და წარმატების შანსები გამოიყენეთ. პარტნიორთან შესაძლებელია რთული საკითხის მოგვარება. კარგი დღეა ქორწინებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმეების წარმოება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემა, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 24 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.34 საათზე, ჩადის 19.22 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 01.51 საათზე, ჩადის 13.13 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 03.48 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღე. ტენდენციები:** დღეს გამახვილებული ინტუიცია სწორ ქმედებებსა და დროული არჩევანის გაკეთებაში დაგეხმარებათ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურისტებთან კონტაქტისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, ქორწინებისთვის, კაპიტალდაბანდებისთვის, სპონსორის საძიებლად, ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა, ექოსკოპია, ანალიზების ჩაბარება, თავის დაბანა, საიდუმლო საქმის წარმოება, ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 25 მაისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.33 საათზე, ჩადის 19.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.41) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 02.15 საათზე, ჩადის 14.20 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 03.57 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.33 საათიდან 01.41 საათამდე. **ტენდენციები:** სასიკეთო დღეა როგორც საქმიანობისთვის, ისე დასვენებისთვის. დროს ნუ დახარჯავთ ფუჭ საუბრებზე. შესაძლებელია გაცნობა, შეხვედრები, პრობლემების მოგვარება. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით. ეფექტურია თირკმლებისა და შარდის ბუშტის მკურნალობა, აკონტროლეთ ემოციები. დღეს ენერგიისა და საქმიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში (5 ივლისამდე), რაც გააძლიერებს ლიდერულ და ორგანიზატორულ თვისებებს, კონტაქტურობას და ასევე, სულსწრაფობას, ეგოიზმს, დიქტატორულ დისტანციებს, უყაირათობასაც. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, ალკოჰოლური სასმელების მიღება. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, ცეცხლსასროლი იარაღის, მჭრელი საგნების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** წითელი იასპი, იაგუნდი, ძოწი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 26 მაისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე, ჩადის 19.24 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 02.35 საათზე, ჩადის 15.25 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 04.04 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ! სასიყვარულო კონფლიქტებისა და ფინანსური უსიამოვნებების ალბათობაა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის (მაგრამ ეცადეთ სულიერად და ფიზიკურად არ გადაიღალოთ), სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, მჭრელი საგნების, იარაღის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, სასიკეთოა შარდის ბუშტისა და თირკმლების მკურნალობა. არ არის სასურველი კამათი, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები, თმის შეჭრა-შეღებვა, ალკოჰოლური სასმელების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 27 მაისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.32 საათზე, ჩადის 19.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.24) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 02.57 საათზე, ჩადის 16.29 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 04.12 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.20 საათიდან 10.24 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მოვლენათა განვითარებას ყურადღებით დააკვირდით, ეცადეთ, წესები არ დაარღვიოთ. პრაქტიკული მიდგომით შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა. ემოციები აკონტროლეთ. ნდობისა და გულწრფელობის ფაქტორი იმატებს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკური საშუალებების შესაძენად, შემოქმედებისთვის, მშენებლობისა და ვაჭრობისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედებები, სულსწრაფობა. მოერიდეთ ორპირ ქარს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მწვანე იასპი, მარგალიტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მერწყულისთვის.

## 28 მაისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.31 საათზე, ჩადის 19.26 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 03.19 საათზე, ჩადის 17.33 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.22 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და ხელოვნების მმართველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **კუროს** ზოდიაქოში (23 ივნისამდე), რაც ხელს შეუწყობს პარტნიორული ურთიერთობისას სტაბილურობას, ერთგულებას, კომფორტისა და სილამაზისკენ მიდრეკილებას, შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქორწინებას. დღეს არ არის სასურველი სულსწრაფობა, სარისკო ქმედებანი, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ორპირ ქარში ყოფნა. კარგი დღეა გაწყვეტილი კავშირის აღსადგენად, ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, მშენებლობისთვის, სამშენებლო მასალის, უძრავი ქონების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარჯანი, ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 29 მაისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.31 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.24) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 03.45 საათზე, ჩადის 18.37 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 04.33 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.11 საათიდან 21.24 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს კარგად დაისვენეთ და გამოიძინეთ. შესაძლებელია საკუთარ თავში უკეთ გარკვევა, მატყუარა მეგობრებისგან თავის დაღწევა. ძილის წინ ზედმეტი ინფორმაციით გონებას ნუ დატვირთავთ. არ არის სასურველი სულსწრაფობა, გარისკვა, კისრის მკვეთრი მოძრაობა, ორპირ ქარში ყოფნა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მშენებლობისთვის, ხელოვნების ნიმუშების, სამშენებლო მასალის, ცხოველების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, ბრონქები, ფილტვები, ხელები. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, გიშერი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.



# მარიუპოლიდან ლტოლვილი ქართული ოჯახი შველას ითხოვს!

***უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ არამხოლოდ მილიონობით უკრაინელის ცხოვრება დაანგრია, არამედ საქართველოს ბევრი მოქალაქეც განსაცდელის წინაშე დააყენა. ერთ-ერთი, ვის ოჯახსაც უკრაინაში მიმდინარე ომის მსახვრალი ხელი პირდაპირ შეეხო, ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი, სამტრედიის მკვიდრი კობა მინაშვილი გახლავთ, რომელიც შველას „საქართველოს ბანკისა“ და ქართული სახელმწიფოსაგან ითხოვს:***

— 2013 წლიდან ჩემი და თავისი ოჯახით **უკრაინაში, ქალაქ მარიუპოლში,** ცხოვრობდა, სამი წლის წინათ კი ჩემი ვაჟიც მათთან წავიდა სამუშაოდ, საკუთარი მაღაზია ჰქონდათ, საკმაოდ კარგ შემოსავალს იღებდნენ და მეც მეხმარებოდნენ — „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ყოველთვიურად მირიცხავდნენ გარკვეულ თანხას. ბანკმა სწორედ მარიუპოლიდან წლების განმავლობაში მიღებული ფულადი გზავნილების საფუძველზე დამიმტკიცა იპოთეკური სესხი, რომელსაც პატიოსნად ვფარავდი, მაგრამ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ გადახდის შესაძლებლობა აღარ მაქვს.

**— თქვენი შვილი და დის ოჯახი დღემდე მარიუპოლში რჩებიან?**

— ისინი ერთ-ერთი პირველები იყვნენ, ვინც მარიუპოლიდან გამოღწევა შეძლეს. ომის დაწყებიდან 23 დღის განმავლობაში, როცა ქალაქი იბომბებოდა და მიწასთან სწორდებოდა, ისინი სხვადასხვა ბუნკერს აფარებდნენ თავს, მერე კი ლვოვში გადასვლა მოახერხეს და იქიდან ჩვენი მთავრობის დახმარებით საქართველოში ჩამოვიდნენ. მადლობა ღმერთს, სიკვდილს გადაურჩნენ, მაგრამ ყველაფერი დაკარგეს — სახლი, მაღაზია, ბიზნესი... მათი დახმარების გარეშე ვეღარც მე ვიხდი ბანკის პროცენტს და უსახლკაროდ დარჩენა მემუქრება.

**— ბანკი არ ითვალისწინებს თქვენს მდგომარეობას, რომელშიც უკრაინის ომის გამო აღმოჩნდით?**

— უკრაინაში ომის დაწყებამდე სესხის დასაფარად თვეში დაახლოებით 1300 ლარს ვიხდიდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მარიუპოლიდან ფულადი გზავნილები შემიწყდა, „საქართველოს ბანკს“ თხოვნით მივმართე, სესხი გადაევადებინათ და ძირი თანხა ისე გადაენაწილებინათ, რომ თვეში 500-600 ლარი მქონოდა გადასახდელი, მაგრამ ჩემი ოჯახის თავზე დამტყდარი უბედურება არ გაითვალისწინეს და კაბალურ მდგომარეობაში ჩამაგდეს. დიახ, სესხი გადამივადეს, თუმცა, პროცენტი ისე გამიზარდეს, რომ **40 500 ლარის დასაფარად 95 000 ლარის შეტანა მიწევს,** თვეში კი 1000 ლარზე მეტი უნდა ვიხადო, რისი საშუალებაც ფიზიკურად აღარ გამაჩნია.

**— თქვენი ყოველთვიური შემოსავალი რამდენია?**

— ინდმეწარმე ვარ და ქუთაისში სამშენებლო მასალების პატარა მაღაზია მაქვს, რომელიც თვეში მხოლოდ 500-დან 1000 ლარამდე მოგებას მიტოვებს. სანამ ჩემი შვილი და ჩემი და უკრაინიდან მეხმარებოდნენ, სესხის დაფარვის პრობლემა არ მქონდა, მაგრამ ახლა მთელი შემოსავალი ბანკს რომ მივცე, როგორ ვიარსებო?

**— „საქართველოს ბანკისგან“ და სახელმწიფოსგან რას ითხოვთ?**

— „საქართველოს ბანკისაგან“ ვითხოვ, სესხი ისე გადამინაწილოს, რომ მისი დაფარვა ჩემი შემოსავლის ფარგლებში შევძლო! **სახელმწიფოც და კერძო ბანკებიც საქართველოში მყოფი უკრაინელი ლტოლვილებისათვის სხვადასხვა სახის შეღავათებს აწესებენ, ყველანაირად უწყობენ ხელს ომის გამო დაზარალებულ უკრაინელებს და ნუთუ საქართველოს მოქალაქეებს, ქართულ ოჯახებს, რომლებმაც უკრაინაში ყველაფერი დაკარგეს და სამშობლოში ლტოლვილებივით დაბრუნდნენ, არანაირი დახმარება და შეღავათი არ ეკუთვნით?** ბევრი ფონდი შეიქმნა, რომელიც უკრაინაში სხვადასხვა სახის დახმარებას გზავნის და იქნებ უკრაინის ომით დაზარალებული საქართველოს მოქალაქეებისთვისაც გამოინახოს რაიმე სახსარი!

ვთხოვ „საქართველოს ბანკს“ და ქართულ სახელმწიფოს — ჩემს ოჯახს, რომელიც მარიუპოლიდან ომსა და სიკვდილს გამოექცა, სამშობლოში უსახლკარობისა და შიმშილისათვის ნუ გაწირავენ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



## კობა მინაშვილი: ვთხოვ „საქართველოს ბანკს“ და ქართულ სახელმწიფოს!



კობა მინაშვილის ვაჟმა მარიუპოლიდან საქართველოში ცოცხალმა ჩამოაღწია, თუმცა...

| ლითონის ფული | იტალიელი კომპოზიტორი | თანავარსკვლავედი ცის ეკვატორულ ნაწილში | ძეხვის სახეობა | ბამბა | სპარსეთის მეფე | ქალაქი საფრანგეთში |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფრანგი ფერმწერი | რისამე სია, ცხრილი | ბოსტნეული | NBA-ს ექს-კალათბურთელი | ... ანჯაფარიძე | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | დონ კიხოტის ცხენი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. მხატვრების სამფეხა საყრდენი ტილოსთვის; 8. დაკოდილი ცხენი, იაბო; 12. ატომგულის შემადგენელი ნაწილი, დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი. 13. ბრიტანელი რეჟისორი; 14. ფრანგი მსახიობი მამაკაცი; 15. პატარა საგზაო ზანდუკი; 16. ქართველი ბალერინა; 17. დღევანდელი რიცხვით (ფინანს.); 18. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 22. ჭკუის სწავლება, დარიგება; 23. მხატვრული სტილი ევროპის ხელოვნებაში; 26. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს მეათედ ნაწილს; 27. ლიტერატურული ნაწარმოები სასაცილო სიუჟეტით; 28. ცალკე საცხოვრებელი სადგომი სახლში; 30. ძვირფასი სასადილო; 31. ნახვამდის (იტალ.); 33. ძეგლი სვეტის სახით; 36. შავი ფისი; 37. ცილოვანი ნივთიერება; 38. ბიბლიური პერსონაჟი; 39. ძალიან მაგარი მინერალი; 40. სასიმინდე (კუთხ.); 41. კავალერიის ჯარისკაცი (ძვ.); 45. დამბლა; 49. წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში; 52. ფანჩატური; 53. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ლიმფურ სადინარებში; 54. ეკლიანი, ველური ბუჩქი; 56. ქართველი ექსფეხბურთელი; 57. მიმართვა ქალბატონისადმი ინგლისში; 60. ძველი თბილისის კოლორიტული ფიგურა; 61. მსაჯი; 64. ცივი იარაღი, საჭიგველი; 65. გამარტივებული ინგლისური ენა; 66. ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლე.

შვეულად: 2. გერმანული ავტომობილი; 3. ბოჭკოვანი მცენარე; 4. ფრანგი პოეტი; 5. წმინდა გამარჯვება ძიუდოში; 6. ტბა კახეთში; 7. სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში — ტრინიდადი და...; 8. თავისუფალი მცველი ფეხბურთში; 9. ასე უწოდებდნენ ჰიტლერს; 10. გეოდეზიური კუთხსაზომი იარაღის ნაწილი; 11. წიგნის, სტატიის შინაარსის მოკლედ გადმოცემა; 18. ყავის სახეობა; 19. ფრანგი პოეტი; 20. სპორტული იარაღი; 21. მდინარე საფრანგეთში; 23. ვალსის ნაირსახეობა; 24. მუდმივი ელექტროდენის უმცირესი ძალა; 25. ამერიკელი რეჟისორი; 28. ქალის საცურაო სამოსი; 29. ლაბისებრი საწვავი პროდუქტი; 31. ალვის ხე; 32. დუმილის კანონი მაფიაში; 33. მიღებული ნორმა, დადგენილი წილი; 34. მსახიობი ... რეხვიაშვილი; 35. გამოუმშრალი, ტენიანი; 41. დასტურის სიტყვა; 42. ყანწი; 43. ჯგუფ „ბითლზის" წევრი; 44. კამბოჯის ფულის ერთეული; 45. ამერიკელი რეჟისორი; 46. პატარა სასიმღერო ლექსი; 47. სავანის ტიპი სამხრეთ ამერიკაში; 48. სკივრი; 49. ნუსხა; 50. მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ; 51. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა; 52. ფსიქიკური აშლილობის ფორმა; 55. ალმაცერი, დახრილი; 57. ნოდარ დუმბაძე — „მე ვხედავ ..."; 58. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 59. ხისგან გამოთლილი ფეხსაცმელი; 62. მდიდარი მესაქონლე ან ვაჭარი შუა აზიაში (ძვ.); 63. სიცხიანის სადები წამალი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 30-ე გვერდზე*

| უზარმაზარი, ვეებერთელა | ქალის სახელი | ა. წერეთლის ლექსი | ხარების ბრძოლა | ყვავილნარის ზოლი ქუჩის გაყოლებაზე | ლოკატორი | ცხოველების ბადისებრი სადგომი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბურთის გატანა კარში | ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული მზის სხივი | ქალიშვილი | გაუშლელი ყვავილი | ფანჯრის ხის საფარი | პათოსით წარმოთქმული სიტყვა | ლატვიის დედაქალაქი | ... ელიავა |
|---|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 23 — 29 მაისი №22 (1434)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.

ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


